გამოდის ოთხშაბათობით

№21 (285)

# ქართული სიტყვა

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ფასი 1 ლარი

27 მაისი – 2 ივნისი 2015 წ. ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა

## „ნაცებიდან“ კიდევ ოთხი ტიპი გაიქცევა?!

მე-2-3-4 გვ.




## „ბევრი შეკითხვაა დღეს ღარიბაშვილის მიმართ!“

მე-9 გვ.





„ხელისუფლება, გარკვეულწილად, ღარიბაშვილმა და თამაზაშვილმა გახადეს „ზონდერების“ თავშესაფარი’და ამის გამოსწორებას უნდა მოანდომოს მთელი თავისი ენერგია... ღარიბაშვილის იმედი ძალიან მქონდა და ყველაფერი გავაკეთე, რომ დავხმარებოდი. მთლიანად ვთანამშრომლობდით და ვეხმარებოდით, მაგრამ ჩვენს რჩევებს დაგეშილი პოლიციელების რჩევები და „ზონდერების“ თავშესაფრის გაკეთება არჩია. ამით გული ძალიან დაგვწყვიტა.“

ირაკლი კაკაბაძე: „გიორგი მარგველაშვილი ისტორიული ფიგურა გახდება!“

### მსაჯების საქმის უცნობი დეტალები

მე-8-9 გვ.

როგორ ჩანერგა გამოძიებამ ოპერმუშაკი და რა პრეტენზიები აქვთ ადვოკატებს

### გადაეცემა თუ არა ფსიქიატრიული პათოლოგიები მემკვიდრეობით

მე-13 გვ.

### „მიგვიფურთხებია კულტურის ასეთი სამინისტროსთვის!“

### ყოფილი პატიმრის სკანდალური წერილი გიორგი მარგველაშვილს!

### ელისო ჩაფიძე: „ანონიმური წყაროს მსხვერპლი გავხდი... კონკრეტულ პირებს დავასახელებ!“

მე-10 - 11 გვ.

## აკურთხე ივერთ მხარეო

*ჯანსუღ ჩარკვიანი*

ცისკრით მინთია სანთელი
და გულის გულში მეგულვი,
ღმერთო, გევედრი ქართველი, –
შენი დღე-ღამის ერთგული.
არ გამიუქმო მკა-თესვა,
ზამთარში მომე ზამთარი,
ღვთისშვილად მიხმე ნათესავს,
აფთარს დაარქვი აფთარი.
სიცხეც მომეცი, - ყინვაცა,
სვანიც მიცოცხლე, მარგალიც,
ვილოცებ, თან ჩაგიმარცვლავ
ქართული სიტყვის მარგალიტს.
გამიზიარე ძმის ხვედრი,
შენგნით შექმნილის ყოვლისა,
უფალო, რწმენას მიხედე
გელათს, მცხეთას და ბოლნისსა!
ეშმაკი ცხრამხრივ ტიალობს,
ცხრა მხრიდან გვინთებს ხანძრებსა,
მიხედე საქრისტიანოს
ხატებანთებულ ტაძრებსა!
სთქვი, კურთხევაი ჭურისა,
ხელისა გამმართავისა,
თანახმად ჩვენი რჯულისა,
თანახმად სამართალისა.
მიხარე, ყველა მიხარე,
ჩრდილიც მიხარე ყველა ხის,
ღმერთო, მიხარე მზის მხარე,
მისი ბაღი და ვენახი.
ქართლ-კახეთიც და იმერიც,
გურულიცა და ხევსურიც,
რუსთველის თვალით მზირველი
მესხი მზისქება-შესხმული.
ჩემი აჭარის ლურჯი ცა,
აფხაზთა სისხლი კოლხური,
სხვაგან მლოცველი გურჯიცა,
მიწა, იმ სხვაგან მოხნული.
სული უბერე ჯავახეთს,
შენ გამიხარე ფშაველი,
ოქრო-ნაქარგი მანახე
რაჭა-ლეჩხუმის მთა-ველი.
თუშს, მოხევეს და მთიულსა
ანდე ვარსკვლავი ცისკრისა,
ვენაცვალე შენს ფირუზსა,
ჭირიმე შენი ცისფრისა!
სუყველა შენთან მარხია,
ვისაც სიცოცხლეს ანიჭებ,
ეს ცა ხომ შენი სახლია,
ეს ცა - იბერთა კარიბჭე.
შთამომავლობით აკურთხე
ვინც უნდა გაჩნდეს ხვალეო,
ცხრა მთა, ცხრა ზღვა და ცხრა კუთხე,
აკურთხე ივერთ მხარეო.
აქ ქვაც არ გდია უბრალოდ,
შენია ნაამაგარი,
ამ სიტყვებს ვამბობ, უფალო,
ლაზარის გორზე შამდგარი.

2 | № 21 (285) | 27 მაისი – 2 ივნისი 2015

ქართული სიტყვა

ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართული სიტყვავ, ქართული სიტყვავ!“

სკანდალური ექსკლუზივი

# „ნაცებიდან“ კიდევ ოთხი ტიპი გაიქცევა?!




**უშიშროების თადარიგის პოლკოვნიკის, უსაფრთხოების ექსპერტის, კონსტანტინე ფორჩხიძის დღევანდელ ინტერვიუს რომ წაიკითხავთ, შეიძლება, იფიქროთ, ყველაფერი ეს ხომ ჩვეულებრივი ფსიქოლოგიური მანიპულაციააო, მაგრამ ვიდრე დასკვნას გააკეთებთ, დაფიქრდით, რამეთუ, როგორც ფორჩხიძე ამბობს, სპეცსამსახური ადამიანების შესწავლას სწორედ მათი მიმიკებით, ჟესტებითა და მეტყველებით იწყებს. მოკლედ, „ქართული სიტყვა“ აგრძელებს სკანდალური ინტერვიუების ციკლს ქართველ სპეცსამსახურელთან, რომელიც, დაზომბირების მეთოდების პარალელურად, აქცენტს „ნაცმოძრაობაში“ დაწყებულ რყევებზეც აკეთებს. ისე, კოტე ფორჩხიძე ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ აცხადებდა, რომ „ნაციონალები“ მიშასგან გამიჯვნას დაიწყებდნენ. „ქართული სიტყვის“ ტრადიციული რესპონდენტი დღესაც ამ აზრზეა და ამბობს, რომ მისი პროგნოზი ახდა.**

**კონსტანტინე ფორჩხიძე:** — ...რიგის სამიტზე აზერბაიჯანის პოზიცია მკვეთრად უარყოფითი იყო, ანუ ევროკავშირთან თანამშრომლობის სურვილი იმ ფორმატში კი არ გამოთქვა, როგორი ფორმატის მომხრეც საქართველოა, არამედ, ყურადღება ორმხრივ ურთიერთობაზე გაამახვილა. დაახლოებით, ასეთივე პოზიცია აქვს ბელარუსს, რომელიც მომხრეა, რომ თავისუფალი ვაჭრობა მხოლოდ ევროკავშირთან კი არა, ევრაზიულ კავშირთანაც ჰქონდეს. მოკლედ, ყველაფერი ეს ევროატლანტიკურ არჩევანს არ ნიშნავს.

— **შეიძლება, მაგრამ რიგის სამიტზე მკაფიოდ ითქვა, რომ საქართველომ ვიზალიბერალიზაცია შეიძლება, დეკემბერში მიიღოს. ამ პერიოდში შესაძლოა, რომ რუსეთმა გარკვეული წინააღმდეგობა შექმნას, ვთქვათ, კონფლიქტურ ან, სულაც, ეთნიკური არაქართველებით დასახლებულ რეგიონებში პროვოკაციები გაამძაფროს?**

— რა თქმა უნდა, შეიძლება. რუსეთი კარგად აცნობიერებს — თუკი საქართველო ევროპასთან ვიზალიბერალიზაციისა და თავისუფალი ვაჭრობის სრულ პაკეტს მიიღებს, ეს იმის ნიშანი იქნება, რომ ჩვენს ოკუპირებულ ტერიტორიებზე პრობლემები შეექმნება, რადგან ე.წ. სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი მხოლოდ ტერიტორიები არაა. იქ ხალხი ცხოვრობს, რომელმაც შესაძლოა, საქართველოს პასპორტის აღება და ვიზალიბერალიზაციით სარგებლობა მოითხოვოს. ამიტომ, რუსეთი შეეცდება, სამხედრო მარწუხებს უფრო მოუჭიროს და ე.წ. ადმინისტრაციულ საზღვრებზე კონტროლი გაამკაცროს. ამის ნათელი დადასტურება 58-ე არმიის სარდლის, გენერალ ხრულოვის აფხაზეთის ე.წ. გენშტაბის ხელმძღვანელად დანიშვნაა. სხვათა შორის, ხრულოვი 2008 წლის აგვისტოს ომში ქართველებმა დაჭრეს. კრემლმა ანალოგიური ნაბიჯი ე.წ. სამხრეთ ოსეთშიც გადადგა.

მეორე, რაც რიგის სამიტზე გამოჩნდა, ვიმეორებ, აზერბაიჯანის პოზიციაა — ოფიციალურმა ბაქომ, როგორც აღვნიშნე, ევროკავშირში ინტეგრაციაზე, პრაქტიკულად, უარი თქვა და რუსეთის ვექტორისკენ შებრუნდა. ამ პოზიციამ თურქეთი გაალიზიანა, რადგან თუკი აზერბაიჯანი რუსეთის ფინანსური და ეკონომიკური გავლენების ქვეშ მოექცევა, თურქეთი ძალიან ბევრი პრობლემის წინაშე დადგება, მით უმეტეს, რომ ბოლო დროს სამხრეთ კავკასიის ქვეყნებზე ოფიციალურ ანკარას სერიოზული გავლენა აქვს.

საერთოდ, ეს იდეოლოგიური კი არა, უფრო ეკონომიკური, ანუ იმპერიული გავლენებისთვის ბრძოლაა. ისე, რუსეთი კაპიტალისტური ქვეყანა, თავისი ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკით არც დასავლეთისგან განსხვავდება და არც — აშშ-სგან.

— **კარგი, რა, ბატონო კოტე, რუსეთში მთელ ბიზნესსა თუ სამოქალაქო სექტორს სპეცსამსახურები აკონტროლებენ და „ლიბერალურ პოლიტიკას“ ამას ეძახით?**

— ოფიციალურ პოლიტიკაზე ვლაპარაკობ, თუმცა სინამდვილეში, რუსეთი ავტორიტარული სახელმწიფოა და კრემლს ეს ავტორიტარიზმიც იმისთვის სჭირდება, რომ თავისი იმპერიული ზრახვები შეინარჩუნოს.

— **თქვენის ნებართვით, საუბრის თემას შევცვლი: მართალია, ექსპერტების უმეტესობა, პრემიერისა არ იყოს, მიიჩნევთ, რომ მიხეილ სააკაშვილი, როგორც პოლიტიკური ფიგურა, დამთავრებულია, მაგრამ ყურადღება მიაქციეთ: ჩვენი ქვეყნის ყოფილი მმართველი რიგის სამიტზე ოფიციალურად იყო მიწვეული...**

— მერე, ეს ვისი ბრალია?..

ისე, სააკაშვილი დღეს უკრაინის ოფიციოზს წარმოადგენს. დიპლომატიაში კი ასეთი რაღაცები არ „მოსულა,“ რომ ოფიციოზის წარმომადგენელს მიღებაზე უარი უთხრან.

— **დიპლომატიური ეტიკეტი მედლის ერთი მხარეა, მაგრამ ხომ არ გვავიწყდება, რომ სააკაშვილზე „შიდა ძებნაა“ გამოცხადებული? საქართველოს ხელისუფლებას, ნუთუ, ერთი ბერკეტიც არ ჰქონდა, რომ რიგაში ძებნილი მიშა დაეკავებინა?**

— ამ ოპერაციის ჩატარებას თავისი იურიდიული საფუძველი უნდა ჰქონდეს.

— **„შიდა ძებნა“ იურიდიული საფუძველი არაა? ბოლოს და ბოლოს, თავის დროზე ნიკიტა ხრუშჩოვი დაიჭირეს და ეს სააკაშვილი რა გახდა?**

— ხრუშჩოვი საბჭოთა პერიოდში აიყვანეს. მიშაზე კი, ძებნა ინტერპოლით არაა გამოცხადებული და ეს ხელისუფლების უნიათობის ბრალია. მითქვამს და კიდევ ვიმეორებ: სააკაშვილის, როგორც პოლიტიკური ფიგურის პოლიტიკური სივრციდან მოშორებისთვის სულ ერთი საათია საჭირო, მაგრამ „ოცნებას“ ამის თავი არ აქვს. ამ დეგენერატებმა თავი გაანძრიონ და ის საკითხი წამოსწიონ, რაშიც სააკაშვილს ბრალი მიუძღვის, ლაპარაკია 2008 წელს მის მიერ კონსტიტუციის დარღვევაზე.

— **ბატონო კოტე, ამ თემებზე დიდი ხანია, ლაპარაკობთ...**

— იმიტომ ვლაპარაკობ, რომ მათ, ვინც ძვირადღირებულ მანქანებში სხედან, ერთი ადგილი გაანძრიონ, თუკი ყველაფერი ეს, მართლაც, გარიგება არაა.

— **რას გულისხმობთ?**

— სააკაშვილისა და „ოცნების“ ხელისუფლებას შორის შესაძლოა, გარიგება მოხდა და ამის ყველა ნიშანი სახეზეა...

— **ისე, თქვენი პროგნოზი, მგონი, ახდა — „ნაცმოძრაობა“ ოთხმა სახემ — ზურაბ ჯაფარიძემ, პაატა კუბლაშვილმა, გოგა ხაჩიძემ და გიორგი მელაძემ დატოვა. კოტე ბატონო, „ნაცებმა“ მიშასგან გამიჯვნა რეალურად დაიწყეს?**

— დიახ, ასეა, რასაც აუცილებლად მოჰყვება „ნაცმოძრაობიდან“ პროდასავლურად განწყობილი სხვა, მათ შორის, მძიმე პოლიტიკური ფიგურების გამიჯვნაც.

— **სხვათა შორის, თავდაპირველი ინფორმაცია, რომ პარტია გიგა ბოკერიამაც დატოვა, არ დადასტურდა...**

— ეს მხოლოდ დროის საკითხია...

— **გაქცეულებზე „ნაცებმა“ ისიც თქვეს, პასუხისმგებლობას ვერ გაუძლესო...**

— პასუხისმგებლობა და ზეწოლა არაფერ შუაშია.

— **აბა, საქმე რასთან გვაქვს?**

— საქმე ისაა, რომ უკრაინაში ე.წ. ქართველი რეფორმატორების მიმართ უარყოფითი განწყობა ნელ-ნელა მატულობს. ადრე ვთქვი, მიშა უკრაინას ორ-სამ თვეში დატოვებს-მეთქი და ყველაფერი აქეთკენ მიდის.

უკრაინაში უკმაყოფილება პოროშენკოს მიმართაც იზრდება, ანუ უკრაინელები აცნობიერებენ, რომ მანაც, მიშასი არ იყოს, რუსული დავალებები შეასრულა.

— **ეს გასაგებია, მაგრამ „ნაცებიდან“ ოთხი „ტიპის“ გაქცევა უკრაინასთან რა კავშირშია?**

— პოროშენკოს, შესაბამისად, სააკაშვილის მისამართით ამერიკული განწყობა უკვე სახეზეა და ამას თუნდაც ჯონ ქერის ბოლო განცხადებებიც ადასტურებს, მათ შორის, ლავროვთან გაკეთებულიც, როცა ქერიმ პოროშენკო არ დაიცვა.

მოკლედ, „ნაციონალების“ ერთი ჯგუფი



გაგრძელება მე-3 გვ.

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა

27 მაისი 2 ივნისი 2015 № 21 (285)



## სკანდალური ექსკლუზივი

მე-2 გვერდიდან

მიშასგან გათავისუფლებას ცდილობს.

ამავე დროს, ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ „მოქკავშირის“ სცენარი განმეორდეს, ანუ თუ გახსოვთ, „ვარდების რევოლუციის“ წინ, „მოქკავშირი“ კი არ დაიშალა, არამედ, გაიშალა. სწორედ მაშინ შეიქმნა „ნაცმოძრაობა“.

**– ანუ, ვარაუდობთ, რომ „ნაციონალები“ ახალ პარტიას შექმნიან?**

– ან ახალ პარტიას შექმნიან, ან არსებულს მიუერთდებიან.

**– მაგალითად, რომელს?**

– ვთქვათ, დავითაიას, ან ხარატიშვილის პოლიტიკურ ძალას ან, სულაც, „ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას“.

ისე, მგონია, რომ ყველაფერ ამის უკან ფარული ამერიკული იტერესები იგრძნობა.

**– რატომ მაინცდამაინც ზემოხსენებული ოთხეული?**

– არც პალიკო კუბლაშვილი, არც ზურაბ ჯაფარიძე და, სხვათა შორის, არც სერგო რატიანი კომპრომეტირებულნი არასოდეს ყოფილან, თუმცა რეჟიმის წარმომადგენლები იყვნენ.

ისე, არ გამოვრიცხავ, რომ „ნაცმოძრაობა“ მალე გიორგი კანდელაკმა, გიგა ბოკერიამ, პატიმრობაში მყოფმა გიგი უგულავამ და მამუკა ახვლედიანმაც დატოვონ და ამით „ნაცმოძრაობაში“ მხოლოდ ფარულად პრორუსულად განწყობილი ძალებიღა დარჩებიან, რომლებიც თავიანთი თავის კომპრომეტირებას თავად მოახდენენ...

**– წინა ინტერვიუში დაზომბირების მეთოდებზე საუბრობდით...**

– დიახ და ახლაც ვიმეორებ, რომ მხოლოდ სააკაშვილი კი არა, ქართულ პოლიტიკურ სივრცეში ბევრია დაზომბირებული! ამ თემაზე კი იმიტომ ვლაპარაკობ, რომ ხალხმა დაზომბირებული ლიდერების გამოცნობა შეძლოს.

საერთოდ, თანამედროვე ცხოვრების სიძნელეებმა და ურთიერთობების გართულებებმა იმ ადამიანების ამოცნობის აუცილებლობა წარმოშვა, ვისთანაც ყოველდღიური საზოგადოებრივი, საქმიანი თუ საყოფაცხოვრებო კონტაქტი გვაქვს. სწორედ ეს კონტაქტი განაპირობებს თითოეული ჩვენგანის წარმატებას...

**– ბატონო კოტე, დამპირდით, რომ ზომბირების ახალ მეთოდებზე ვილაპარაკებდით და ეს რა შუაშია?**

– ვანო, ძალიან გთხოვთ, არ გამაწყვეტინოთ, ბოლომდე მომისმინეთ და მერე, დასკვნა თავად გამოიტანეთ...

**– კეთილი, გისმენთ...**

– ადამიანები, როგორც წესი, ერთს ამბობენ და მეორეს აკეთებენ. ამიტომ, თუკი გვინდა, რომ არ მოვტყუვდეთ, თანამოსაუბრის ზუსტი მიზნების გამოცნობა უნდა ვიცოდეთ.

**– მიზნების გამოცნობას ხომ, მინიმუმ, ტელეპატიის უნარი სჭირდება?**

– ხომ გთხოვეთ, არ გამაწყვეტინოთ-მეთქი?

**– კარგი, ბოდიში...**

– ორი ადამიანის საუბრისას, ინფორმაციის 7 პროცენტის აღქმა სიტყვიერად ხდება, 30 პროცენტის – საუბრის ტონალობითა და ინტონაციით, 60 პროცენტზე მეტის აღქმა კი, – არავერბალური არხებით.

**– არავერბალური არხები რა არის?**

– გამოხედვა, ჟესტები, მიმიკები...

მოსაუბრის სწორად შესაფასებლად საუბარი მხოლოდ სიტყვებით გადმოცემული ინფორმაციით კი არა, არამედ, ინტონაციით, ტონალობით, გამოხედვით, ჟესტებითა და მიმიკებით მიღებული ინფორმაციის ანალიზითაც უნდა აღვიქვათ.

ადამიანები სულიერ შეგრძნებებსა და ემოციებს ორნაირად – კონვენციალურად (მოცემულ გარემოში სტანდარტულად მიღებული ხერხები) და სპონტანურად (არაცნობიერი) გამოხატავენ.

როცა ადამიანი ცდილობს, რომ თანამოსაუბრის მიმართ თავისი რეალური განწყობა დამალოს, ყველაფერი შეიძლება, არავერბალურ მინიშნებებზე დავიდეს. ეს მინიშნებები ზოგჯერ ჭეშმარიტია, თუმცა უმეტესად, დეზორიენტაციას იწვევს.

ადამიანები სიტყვებს არცთუ იშვიათად ვწონით და მიმიკებსაც ვაკონტროლებთ, მაგრამ საგულისხმოა, რომ ერთდროულად მხოლოდ ორი-სამი რეაქციის კონტროლის უნარი გვაქვს. ინფორმაციის მიღება, ანუ სპეცსამსახურის ენით რომ გითხრათ, ე. წ. დაფარული ინფორმაციის ამოღება იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუკი მოსაუბრე შესაბამის ცოდნას ფლობს.

საერთოდ, ყველა ადამიანის რეაქცია ინდივიდუალურია. ქალების ემოციურობის მიზეზის ამოცნობა უფრო ადვილია, ვიდრე – მამაკაცების.

სხვათა შორის, ადამიანის ემოციებს თავის ტვინის მარჯვენა ნახევარსფერო მართავს, ლოგიკას და მეტყველებას კი, – მარცხენა. სხეულის სხვადასხვა ნაწილს კი, ორივე ნახევარსფერო აკონტროლებს. ამიტომ, ის, რისი დემონსტრირებაც პიროვნებას სხვებისთვის სურს, სხეულის მარჯვენა ნაწილზე გამოისახება, ის კი, რასაც რეალურად განიცდის, – მარცხენაზე, თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ადამიანი განცდებს მოძრაობით, მიმიკით, ჟესტებითა და ქცევით გამოხატავს...

### სახის მიმიკა

სულიერი განცდის ზემოქმედებით, ადამიანის სახის გარკვეული სტრუქტურის ცვლილება, ანუ მოდუნება ხდება. გულწრფელ ემოციას სიმეტრიული ცვლილებები მოჰყვება. ტყუილი კი, სახის მარჯვენა და მარცხენა ნაწილებს შორის ასიმეტრიულობას წარმოშობს.

ე.წ. ადვილად ამოცნობადი მიმიკა დროის მცირე მონაკვეთში წარმოიშვება, ხშირად შეუმჩნეველია და ასეთი მიმიკის „დასაჭერად“, რა თქმა უნდა, სპეციალური ცოდნაა საჭირო.

ამასთან, დადებითი ემოციის ამოცნობა უარყოფითზე ადვილია.

განსაკუთრებული ემოციურობით, როგორც წესი, ტუჩები გამოირჩევა და ამის, ასე ვთქვათ, წაკითხვა დიდ სირთულეს არ წარმოადგენს. ასე, მაგალითად, ტუჩების კვნეტა იმაზე მიანიშნებს, რომ ადამიანი შფოთავს, პირის ერთი მიმართულებით „მოქცევა“ სკეპტიციზმისა და დაცინვის ნიშანია.

ღიმილი, როგორც წესი, მეგობრულობისა და კეთილგანწყობის გამოხატულებაა. ღიმილი მამაკაცისთვის კარგი შესაძლებლობაა, რომ აჩვენოს, თავს ნებისმიერ სიტუაციაში ვფლობო. ქალების ღიმილი კი, უფრო საიმედო და ჭეშმარიტია, რომელიც ხშირად ქალის რეალურ მდგომარეობას გამოხატავს.

საერთოდ, შეიძლება, ღიმილი მრავალნაირად აღვიქვათ. ამიტომ, სპეცსამსახურის სახელმძღვანელოებში ღიმილის სტანდარტული განმარტება არ არსებობს და რამდენიმე ტიპის ღიმილს გამოარჩევენ:

სტანდარტული ღიმილი – თუკი თანამოსაუბრე ზედმეტად იღიმის, ეს იმას ნიშნავს, რომ უნდა, მისი ნათქვამი კარგად იქნეს აღქმული.

ირიბი ღიმილი, როცა სახე ერთ ან მეორე მხარესაა მოქცეული, კონტროლირებადი ნერვიულობის ნიშანია.

როცა თანამოსაუბრე იღიმის და ამ დროს წარბები ზევით აქვს აწეული, იმაზე მიანიშნებს, რომ ის მორჩილებისთვისაა მზად. მაშინ კი, როცა ღიმილისას წარბები ქვევითაა დაშვებული, თანამოსაუბრე ხაზს თავის უპირატესობას უსვამს.

თუ ადამიანი გიღიმით, მაგრამ თვალებს არ ახამხამებს და გუგები შევიწროებული აქვს, იცოდეთ, რომ გემუქრებათ.

სახის ტიპური გამომეტყველება კი, რომელიც ამა თუ იმ ემოციას გვამცნობს, ასეთია:

სიხარული – ტუჩები „დაბრეცილია“, მისი კუთხეები უკანაა გადაწეული; თვალებთან წარმოიქმნება მცირე ნაოჭები.

ინტერესი – წარბები ოდნავ აწეული, ან დაშვებულია, ლოყები კი, ოდნავ გაფართოებული, ან შევიწროებული.

ბედნიერება – თვალები მშვიდია, ტუჩების კუთხეები აწეულია.



გაოცება – აწეული წარბები შუბლზე ნაოჭებს ქმნის, თვალები გაფართოებულია, გაღებულ პირს მომრგვალებული ფომა აქვს.

ზიზღი – წარბები დაშვებულია, ქვედა ტუჩი გამოწეული, ან აწეულია და ზედასაა მიბჯენილი; თვალები სიელმის შთაბეჭდილებას ტოვებენ და ადამიანს თითქოს, მაპატიეთ და, გადაფურთხების სურვილი აქვს.

შიში – ოდნავ აწეულ წარბებს სწორი ფორმა აქვს, შუბლზე ჰორიზონტალური ნაოჭებია, თვალები გაფართოებულია, ქუთუთოები კი, – დაჭიმული. პირი, შესაძლოა, ღია იყოს, მისი კუთხეები კი, უკან ისე იყოს გაწეული, რომ ტუჩები თითქოს კბილებს ეკვრის, რაც ემოციის ინტენსიურობაზე მეტყველებს. მაშინ კი, როცა თანამოსაუბრეს წარბები ზემოთ აქვს აწეული და სხვას ვერაფერს ვამჩნევთ, საქმე კონსტრუირებულ შიშთან გვაქვს.

მრისხანება – ქვევით მიმართული შუბლის კუნთები შიგნითაა შეწეული; ცხვირის ნესტოები აწეულია, პირი მჭიდროდაა შეკრული და სწორკუთხოვანი ფორმა აქვს მიღებული. სახეზე სიწითლე აღინიშნება.

სირცხვილი – თავი დაშვებულია, სახე შებრუნებულია, თვალები აქეთ-იქით დარბიან, ქუთუთოები დაწეული, ან ოდნავ ღიაა. სახე საგრძნობლად გაწითლებულია, პულსი აჩქარებულია, სუნთქვა კი, – შეფერხებული.

გლოვა – თვალები ამღვრეულია, პირის კუთხეები დაწეული.

### თვალები და გამომეტყველება

ადამიანის განწყობას ყველაზე კარგად თვალები გადმოსცემენ, ანუ ადამიანს, როგორც წესი, გასცემს:

გამოხედვის ცვლილება, რომელიც რაღაც ემოციაზე რეაგირებაა;

„საგრძნობლად მორბენალი“ თვალები შეიძლება, გამოხატავდეს შიშს, სირცხვილს, შეშფოთებას, ნევრასთენიას.

გაბრწყინებული გამოხედვა აღგზნების, ნაუცბათევი ქცევითი რეაქციის მანიშნებელია;

შეშინებული გამოხედვა მძლავრ სისუსტეზე მიუთითებს, გუგების გაფართოება კი, – ინტერესის გამოხატვასა და მიღებული ინფორმაციით განცდილ კმაყოფილებაზე, თუმცა ეს რეაქცია შესაძლოა, გარე ფაქტორების ზემოქმედებითაც წარმოიშვას, მაგალითად, საკვებით, მუსიკით, ფოტოგრაფირებით, ძლიერი განცდით, ნარკოტიკის (კოკაინი, მარიხუანა) მიღებით;

გუგების შევიწროვება გაღიზიანებაზე, მრისხანებაზე, არაკეთილგანწყობასა და უარყოფით ემოციაზე მიანიშნებს. ეს მდგომარეობაც, შესაძლოა, ზოგიერთმა ნარკოტიკმა, მაგალითად, მორფმა, ან ჰეროინმა გამოიწვიოს.

თუ თანამოსაუბრე თვალებს ხშირად ახამხამებს, ეს იმას ნიშნავს, რომ აღგზნებულია და იტყუება. ადამიანები ერთმანეთს თვალებში მაშინ უყურებენ, როცა საუბარს ისმენენ და არა – უბრალოდ, საუბრობენ.

თუკი სუბიექტი მთელი საუბრის 1/3 დროის განმავლობაში, თვალებში გიყურებთ, იცოდეთ, რომ ან ცრუობს, ან სიმართლის დამალვას ცდილობს. თუკი დაჟინებულად გიყურებთ და ამავე დროს, თვალის გუგები გაფართოებული აქვს, თქვენდამი განსაკუთრებულ ინტერესს გრძნობს, იმ შემთხვევაში კი, თუ თანამოსაუბრე თვალს არ გაშორებთ და გუგები შევიწროვებულია, თქვენდამი მტრულადაა განწყობილი, ან თქვენზე დომინირებას ცდილობს.

ე.წ. თვალის კონტაქტის მოდიფიკაცია, შეიძლება, ასე გავშიფროთ:

ე.წ. არაფრისმეტყველი გამოხედვა კონცენტრირებული გააზრებაა.

გამოხედვის გადატანა გარეშე საგანზე, ვთქვათ, ჭერზე, ან იატაკზე – პარტნიორის გრძელი მონოლოგის გამო, საუბრისადმი ინტერესის დაკარგვა.

თვალებში დაჟინებული მზერა, როცა გუგები შევიწროვებულია, არაკეთილგანწყობის, ბოროტი განზრახვის, ან პარტნიორზე დომინირების განმსაზღვრელია. მაშინ კი, როცა გუგები გაფართოებულია, უნდა ჩათვალოთ, რომ თანამოსაუბრეს სექსუალ-

გაგრძელება მე-4 გვ.

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

## სკანდალური ექსკლუზივი

მე-3 გვერდიდან

ურად იზიდავთ.

გამოხედვის შებრუნება, ან თვალების დახრა სირცხვილზე, ან ტყუილზე მიანიშნებს; გვერდით გახედვა კი, — უნდობლობაზე.

თუკი თანამოსაუბრე პარტნიორს ხან უყურებს და ხან — არა, ეს უნდობლობაზე მეტყველებს.

### სხეულის პოზა

ადამიანის სულიერ განცდებზე მნიშვნელოვან ინფორმაციას სხეულის სტატიკური მდგომარეობა იძლევა. თუკი ერთი და იგივე პოზა ხშირად მეორდება, ეს პიროვნების მდგრადობაზე მიანიშნებს. მაშინ კი, როცა საქმე გრძნობათა ცვლილებებთან გვაქვს, ადამიანი სახეს უფრო კარგად აკონტროლებს, ვიდრე — სხეულს. ზოგჯერ ადამიანის ჭეშმარიტ განცდაზე მიმიკა კი, არა, პოზა მეტყველებს.

ადამიანის სხეულის მდგომარეობა და მისი ფსიქიკური განცდების შესატყვისობა ასე იშიფრება:

თუ ხელები ზურგს უკანაა, თავი აწეულია, ნიკაპი კი, გამოწეული, ეს თვითდაჯერებულობისა და სხვებზე უპირატესობის გამოხატვას ნიშნავს.

თუ კორპუსი წინაა წამოწეული და ადამიანს დოინჯი აქვს შემოყრილი, ეს ნიშნავს, რომ პიროვნება საკუთარ ძალებში დარწმუნებულია და თავის პოზიციას აქტიური მოქმედებითა თუ აგრესიულობით ბოლომდე დაიცავს.

როცა სუბიექტი ფეხზე დგას, ხელები კი, მაგიდაზე, ან სკამზე აქვს დაყრდნობილი, ამით თანამოსაუბრესთან კონტაქტს განსაზღვრავს. მაშინ კი, როცა ხელები თავზე აქვს შემოხვეული, პარტნიორს თავის უპირატესობას აგრძნობინებს.

ხელის ცერა თითის ქამარში, ან ჯიბეში ჩაყოფა აგრესიისა და თვითდაჯერებულობის ნიშანია; ცერა თითის ჯიბიდან ამოღება მაშინ, როცა სხვა თითები ჯიბეშია, პარტნიორზე უპირატესობის დემონსტრირებაა.

ხელების, ან ფეხების გადაჯვარედინება სკეპტიკურ განწყობას, ან თავდაცვას გამოხატავს; იგივე პოზა, როცა თანამოსაუბრეს პიჯაკი გახსნილი აქვს ნდობის დამყარებაზე მიანიშნებს; თავის გვერდზე მიბრუნება — ინტერესის გაღვიძებაზე; თავის დახრა — უარყოფით დამოკიდებულებაზე; თავის უკან ნელი გადაწევა — აგრესიულობაზე.

სკამის კიდეზე ჯდომა იმას ნიშნავს, რომ ადამიანი გაქცევისთვის მზადაა, ან შექმნილ სიტუაციაში გრძნობების დაშოშმინებასა და საუბარში ჩართვისთვის ყურადღების მიქცევას ცდილობს.

ფეხის ფეხზე გადადება და გულ-მკერდზე ხელების დალაგება საუბრიდან გათიშვას მოასწავებს; ფეხის სავარძლის სახელურზე გადადება — გარემოცვის უგულვებელყოფას.

ხელის მტევნების გადაჯვარედინება არაკეთილგანწყობილი ურთიერთობის შეკავებაზე, შიშსა და აღელვებაზე მეტყველებს, ანუ ეს პოზა თვითკონტროლი და ნეგატივისგან დაცვის მცდელობაა.

როცა დგომისას ან ჯდომისას ფეხები გასასვლელისკენაა მიმართული, საუბრის შეწყვეტის სურვილს ნიშნავს; პოზის ხშირი ცვლილება, მაგალითად, ცქმუტვა, შეშფოთებისა და დაძაბულობის ნიშანია.

თუკი ადამიანი საუბრისას წამოდგა, ეს ნიშნავს, რომ საუბარი არ აინტერესებს, რაღაცამ გააოცა, ან დაშოკა; თუკი ორივე ხელის თითები შეერთებულია, ადამიანი ცდილობს, რომ იმედგაცრუება და უარყოფითი განწყობა დამალოს. თუკი მარჯვენა ხელის მტევანზე (ან პირიქით) მარცხენა ხელის თითებია გადაჯაჭვული, ადამიანი ხაზს თავის უპირატესობასა და თვითდაჯერებულობას უსვამს; თუკი პიროვნებას ხელის მტევნები პირის გასწვრივ უჭირავს, ესე იგი, ჭეშმარიტი განზრახვის დამალვას ცდილობს და თანამოსაუბრეს კატათაგვობანას ეთამაშება.

თავის ხელზე ჩამოდება მოწყენილობაზე მიანიშნებს: ნიკაპის ქვეშ თითების მუშტად ისე შეკვრა, რომ ზედ თავი არ ეყრდნობა, — დაინტერესებაზე.

**„მიშაზე ძებნა ინტერპოლით არაა გამოცხადებული და ეს ხელისუფლების უნიათობის ბრალია. მითქვამს და კიდევ ვიმეორებ: სააკაშვილის, როგორც პოლიტიკური ფიგურის პოლიტიკური სივრციდან მოშორებისთვის სულ ერთი საათია საჭირო, მაგრამ „ოცნებას“ ამის თავი არ აქვს. ამ დეგენერატებმა თავი გაანძრიონ და ის საკითხი წამოსწიონ, რაშიც სააკაშვილს ბრალი მიუძღვის, ლაპარაკია 2008 წელს მის მიერ კონსტიტუციის დარღვევაზე“.**

ნიკაპის ე.წ. დიდი თითებით დაჭერა კრიტიკულ შეფასებაზე მეტყველებს; ჭიქის ორივე ხელით აღება — მასკირებულ ნერვიულობაზე; სიგარეტის კვამლის ზევით გაშვება — დადებით განწყობასა და თვითრწმენაზე, დაბლა გაბოლება — ნეგატიურ განწყობაზე, ფარულ და ეჭვიანი აზრების გამოხატვაზე.

### ჟესტები და სხეულის მოძრაობა

ჟესტი სხეულის კი არა, სულის მოძრაობაა, რომელიც ადამიანის სურვილებს და იმ ინფორმაციას გვამცნობს, თუ რას განიცდის პიროვნება. კონკრეტული ადამიანისთვის დამახასიათებელი ჟესტები კი, მის ხასიათს განსაზღვრავენ. ერთნაირი ჟესტები სხვადასხვა ადამიანში შეიძლება, რამეს ასახავს, თუმცა ყველა ადამიანის ჟესტებს საერთო მახასიათებლები აქვთ.

აქტიური ჟესტიკულაცია დადებითი ემოციის კერძო კომპონენტია, რომელიც მეგობრობაზე მიანიშნებს; უზომო ჟესტიკულაცია — ნერვიულობასა და თვითრწმენის ნაკლებობაზე.

ინდივიდის აზრებისა და ემოციების გასასაზღვრად მის არაბუნებრივ ჟესტიკულაციაზე დაკვირვება აუცილებელია:

ხელის გულების დემონსტრირება გულწრფელობაზე მეტყველებს; მუშტის შეკვრა — შიდა დაძაბულობასა და აგრესიაზე (მუშტი რაც მაგრადაა შეკრული, ემოცია უფრო მეტია).

ცხვირის ხელით წვალება ან მოფხანა მიღებული, ან გაცემული ინფორმაციის სანდოობაში დაურწმუნებლობას, ტყუილსა და ახალი კონტრარგუმენტების მოძიებას ნიშნავს. ისე, ალბათ, გახსოვთ, მსგავსი ჟესტიკულაცია მიხეილ სააკაშვილს ახასიათებს!

თითის ქუთუთოსთან მიტანა ტყუილს, ან პარტნიორის მხრიდან ტყუილის გამოაშკარავებაზე მეტყველებს; თავის სხვადასხვა ნაწილის მოფხანვა (შუბლის, ყურის, კეფის) — შეშფოთებაზე, უხერხულობაზე, დაურწმუნებლობაზე; ნიკაპზე შეხება — გადაწყვეტილების მიღებაზე; ხელების უნებლიე მოძრაობა (კანკალი, რაღაცით თამაში, ავტოკალმის ტრიალი, ტანსაცმლის ნაწილების შესწორება) — ნერვიულობაზე, უხერხულობასა და შეშფოთებაზე.

თუ ადამიანი ხელის გულს იფხანს, ესე იგი, აგრესიისთვის მზადაა. ფრჩხილების კვნეტა კი, შინაგანი შეშფოთების მაჩვენებელია; ხელების უაზრო მოძრაობა — მასკირებული ნევროზის.

ტანსაცმლიდან უცხო სხეულის მოცილება, მაგალითად, ძაფის, არაკეთილგანწყობის ჟესტია; საუბრისას საკინძის შეხსნა, ან საყელოს გასწორება იმაზე მიანიშნებს, რომ ადამიანი ეჭვობს, ტყუილში გამომიჭირესო; იგივე მოძრაობა შესაძლოა, მრისხანებასაც გამოხატავდეს.

თუკი ადამიანი სათვალეს ხშირად წმენდს, მოსაფიქრებლად პაუზას იღებს; სათვალის უცებ მოხსნა და მაგიდაზე დაგდება მძიმე საუბარს მოასწავებს; სიგარეტის ჩქარ-ჩქარა ჩაფერფვლება ნერვიულობასა და მძიმე შინაგან განწყობაზე მეტყველებს; თმის ხშირი გასწორება — შეშფოთებაზე, რამეზე მიყუდების ან ჩამოყრდნობის სურვილი კი, — სირთულესა და უსიამოვნებაზე, ანუ ადამიანი ცდილობს, შექმნილი მდგომარეობიდან როგორმე გამოვიდეს.

### ხმის ინტონაცია

ხმა ადამიანის შინაგან მდგომარეობას საკმაოდ ზუსტად ასახავს, ანუ ხმის ტონალობით ობიექტის ემოციის „დაჭერა“ შესაძლებელია. განგაშისა და ნერვიულობისას ადამიანს ხმის ტემბრი ეცვლება. სწორედ ეს დაედო საფუძვლად ე.წ. უკონტაქტო სიცრუის დეტექტორის შექმნას.

ხმამაღლა საუბარი ენთუზიაზმზე, სიხარულსა და უნდობლობაზე მეტყველებს; ფართო დიაპაზონისა და ტონალობის მაღალი ხმა — მრისხანებასა და შიშზე; ზემაღალი გამჭოლი ხმა — შეშფოთებაზე; რბილი, მოგუდული ხმა, როცა ყველა ბოლო ფრაზა დაბალი ინტონაციითაა წარმოთქმული — დაღლილობასა და მწუხარებაზე.

ხმის ფორსირება დაძაბულობისა და ტყუილის გამომხატველია.

ასევე, მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს ე.წ. არავერბალური ხმაც:

სტვენა დაურწმუნებლობისა და საშიშროების მომასწავებელია; არასათანადო მომენტში ხარხარი — დაძაბულობის, ხმის სპაზმა — დაძაბულობის, მუდმივი ჩახველება — შეშფოთების, ტყუილსა და საკუთარ თავში დაურწმუნებლობის.

### ლექსიკის თავისებურებანი

ადამიანის ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე წარმოდგენას მისი მეტყველების ანალიზიც იძლევა. მნიშვნელობა აქვს, თუ როგორ სვამს ობიექტი მახვილს, როგორი სისწრაფით წარმოთქვამს სიტყვებს, როგორაა ფრაზები კონსტრუირებული, იყენებს თუ არა არასწორ სიტყვებს, წყვეტს თუ არა ფრაზებს და მიდრეკილია თუ არა ე.წ. პარაზიტი სიტყვების გამოყენებისკენ.

სწრაფი მეტყველება შესამჩნევ აღელვებასა და შეშფოთებაზე მიანიშნებს. ამ დროს ადამიანს სურს, დაგაჯეროთ, რომ მისი არგუმენტები მართებულია, ან გამზადებთ, რომ პირად პრობლემებზე დაგელაპარაკოთ.

ნელი მეტყველება დაღლილობას, დამთრგუნველ მდგომარეობას, მწუხარებას, ან შესაძლოა, ქედმაღლობას გამოხატავს; ფრაზების გაწყვეტა — დარწმუნებულობას. საუბრისას განსაკუთრებით გამართული მეტყველების გაჩენა — აღგზნებას; ლაკონური მეტყველება — თვითრწმენას; ერთი და იგივე სიტყვების ან ფრაზების გამოყენება დაძაბულობის, ან ტყუილის მაჩვენებელია; გაწელილი პასუხები — დაუინტერესებლობას და უთანხმოებას; სიტყვაძუნწობა — განაწყენებას. საკუთარი აზრების უცაბედი გამოთქმა კი, ზემაღალი აღგზნების მაჩვენებელია...

**ესაუბრა ვანო პავლიაშვილი**

**(თემის გაგრძელება იქნება)**



ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა

27 მაისი 2 ივნისი 2015

№ 21 (285)



პოეზია

# ომარ ხაიამის რობაიები

## (ალექსანდრე ელერდაშვილის თარგმანი)



45
თან ღვინოს დავლევ, თან მოვილხენ, ეს დროც გავა თან,
რჯულსაც წავიხდენ, ურწმუნოსგან განზეც გავალ თან;
რადგან სულ მალე მე სიცოცხლე გამითხოვდება,
ჩემს დალხენილ გულს იმ პატარძალს მზითვად გავატან.
46
ღვინო ლალია და ისე ჩქეფს დოქის წიაღ ის,
რომ სულს ჩაუდგამს, ჯამის კედელს მას ვინც მიაღვრის;
ბროლის ჯამიდან რომ გვიცინის წითელი ღვინო,
სათავე შრება ცრემლისა თუ სისხლის ნიაღვრის.
47
ღვინო დალიე! უკვდავება, გწამდეს, ეს არი!
ვნება თუ უნდა სიჭაბუკეს წვავდეს, ეს არი;
ღვინო იყოს და ვარდებს კრეფდნენ ლამაზმანები...
ვისაც სიცოცხლე უნდოდეს და სწადდეს, ეს არი.
48
რაგინდ განგების ცოდვა-მადლი ხალხში ამრავლო,
რაგინდ სიკეთე ან სიავე გადააბრალო,
არავინ იცის, მის შემოქმედს რა ფიქრი სტანჯავს,
ეგებ ის ჩვენზე ასჯერ მეტად არის საბრალო?!
49
წითლად რომ ელავს, რაც მდელოა და რაც მოლია,
ეს ის სისხლია, ყაყაჩოს რომ ამოჰყოლია;
ეს ნაზი იაც, იმ კეკლუცის ხალი ყოფილა,
ვინც წუთისოფელს შესამუსრად მრავლად ჰყოლია.
50
მიწა, რომელიც დღეს მე და შენ ფეხქვეშ გვიგია,
ერთ დროს რომ დიდი მეფე იყო, იქნებ იგია?!
სახეზე მტვერი რომ გვეყრება, იქნება ესეც
ლამაზ სახეთა მტვერია და ვერ გაგვიგია.
51
ხან კაცს მაგონებს მე ეს მდელო, მთვრალს და ბანგიანს
და ხან ლამაზმანს, ამღერებულს, ხელში ჩანგიანს...
ფრთხილად დაადგი მდელოს ფეხი, რადგან ამქვეყნად
ესღა შემორჩა მავან კეკლუცს, ლალისბაგიანს.
52
ღვინოში მასზე მეტი აზრი, მეტი წესია,
რაც მეფე ყობადს ანდა ქავუსს დაუთესია;
მთვრალი რინდების უდაბნოში ჩუმი კვნესა კი
კარის მლიქვნელთა ცრუ ღაღადზე უკეთესია.
53
სიცოცხლე ქრება, ვიღას ახსოვს ტკბილი და მწარე,
ვის უნდა ბალხის თუ ბაღდადის ზღაპრული მხარე?!
ღვინო დავლიოთ, მე და შენ რომ აღარ ვიქნებით,
გაბადრულ მთვარეს ბევრჯერ შეცვლის ნამგალა მთვარე.
54
თუ თქვენში სიბრძნე ფესვს გაიდგამს მადლის შეწევნით,
გონიერების საგანძურს თუ ყველგან ეწვევით,
ამაოების ბნელ კარიბჭეს გასცდებით, მაგრამ
ზღაპარს იტყვით და მარადიულ ძილსღა ეწევით.
55
ის, ვინც არ ნაღვლობს, წუთისოფლის გზებზე რა ხდება
და უდაბნოში ვინც ზმანებებს გვერდით ახლდება,
ვინც აწმყოს დაგმობს და მომავლის მონა გახდება,
დღეს უქმად ყოფნით რასაც შექმნის, ხვალ ის დახვდება.
56
ვინც დაბერდნენ და აკვნესდნენ, ვინც ცხოვრება ჩაათავა,
სიკვდილს კვალში ისე გაჰყვნენ, ვერვინ შეძლო მასთან
დავა;
ვინც იცხოვრა ტკბილად, ამოდ, არც მას შერჩა
სამუდამოდ...
წავიდნენ და ჩვენც წავალთ და სხვა მოვა და ისიც წავა.
57
რამაც ცა შექმნა, მზე აანთო, მთვარე მოხარა,
ნეტავ ჩვენ გულებს მწუხარება რატომ მოჰგვარა?!
მან ხომ მრავალი ლალის ბაგე და მუშკის ზილფი
შავი ქვესკნელის ზანდუკებში მიყარ-მოყარა.
58
მავანმა შექმნას, რომ მის შექმნილს ფლობდეს მავანი —
ეს არის თურმე ამ საწუთროს ავან-ჩავანი;
კაცს არაფერი ევალება სიხარბის გარდა...
ჯანდაბას ვალი! ღვინო იყოს ოღონდ თავანი.
59
რაგინდ იხილო ნაირგვარი ზეცის თაღები,
რაგინდ სიბრძნეთა მოიარო იალაღები,
გონიერების თავს და ბოლოს მაინც დაკარგავ,
რადგან ვინც კვდება, ხმა არ რჩება ამოსაღები.
60
ჩემი მოყვანით ბედისწერამ თუ რამ მოიგო,
წამიყვანა და მე სანაცვლო ნიშნი მომიგო;
ასე უაზროდ, წინ და უკან რომ მაწანწალა,
მან ამით მკერდზე ნუთუ რამე ჯილდო მოირგო?!
61
ჩვენი სიცოცხლე სასიკვდილო წამით იცვლება,
ზღვაც მარგალიტში ერთი წვეთით გარდაიცვლება;
ყველაფერს ვკარგავთ და, თუ გვრჩება თავები მხრებზე,
ვიფიქროთ ჯამის ავსებაზე, როცა იცლება.
62
აფსუს, მთელი მონაგები ჩვენ ხელიდან გაგვიფრინდა
და სიკვდილმა სისხლის ხელით ეს სიცოცხლე
დაგვიფლითა;
იმქვეყნისკენ ვინც წავიდა, არ მოსულა არავინ და
არც ის უთქვამთ, მოგზაური რა წყვდიადში ჩაიბინდა.
63
აფსუს, ბავშვობის თავფურცელი მოიცვა ბინდმა
და გაზაფხული გადანისლა ზამთრის ამინდმა;
ნეტავ, ის ჩიტი, სიჭაბუკის ხმით რომ გალობდა,
როდის მოფრინდა ჩემს გულში და როდის გაფრინდა?
64
ჩვენმა საწყისმა დასასრულიც უნდა იცალოს
და წუთისოფლის საწყაულიც გამოიცალოს;
ჩვენს დაბადებას არაფერი შეუცვლია და
ვერც იმით შევცვლით, თუნდაც ყველა გარდაიცვალოს.
65
ამ ქვეყანაზე თუ გონიერ ბილიკებს მისდევ,
გონება ასჯერ მაინც გეტყვის - დარდებს ნუ ისევ!
გაიგე, ძმაო, შენ არა ხარ ხორბლის მარცვალი,
შავ მიწაში რომ ჩაგაგდონ და აყვავდე ისევ.
66
რადგან სიცოცხლე შეუცნობი მიზნით შენდება,
ჩვენი მიზანი შეცნობილი ლხინით მშვენდება;
შენც, მერიქიფევ, ნუ გვიყვები ხვალინდელ ზღაპარს,]
ღვინო დაგვისხი, სანამ დილა დაგვათენდება.
67
უბედურება დამდევს კვალში მე სავალ გზაზე,
ჩემი სიკეთე, რა ხანია, გავცვალე ავზე,
და ჩემმა სულმაც, ალბათ, მიტომ შესძახა სხეულს:
„დროა წავიდე, სანამ სახლი დამენგრა თავზე“.
68
ციურ განგებას ვერვინ განსჯის, ვერც გამოიცვლის,
ის ერთს რომ მოკლავს, მოსაკლავად სხვისთვის მოიცლის;
თავს ნუ იტყუებ აღსასრულის გადავადებით,
შენ თუ გცალია მოსაცდელად, ის არ მოიცდის.
69
თუმცა განგება წუთისოფელს ჭრელ სამოსს აცმევს,
იცოდე, მაინც ვერ აცდუნებს გონიერ კაცებს;
დრომ ბევრი შობა, ბევრიც მოკლა შენისთანა და
შენს სიცოცხლესაც ამ სამყაროს ნელინელ სტაცებს.
70
ჩემს ბედისწერას უჩემოდ თუ ქმნიდა განგება,
ჩემი ავ-კარგის ცოდნა ნეტავ რაში ადგება?!
გუშინდელივით დღეის ამბავს თუ არვინ მკითხავს,
რა პასუხს მთხოვენ, ხვალ განკითხვის დღე რომ
დადგება?!
71
რად გსურს, იცოდე კაცად ვინ ღირს, ანდა ვინ არ ღირს,
რად ხარ მძებნელი სურნელთა და ფერთა ნიაღვრის?!
ვინც გინდა იყავ, ჩემო ძმაო, ეგ სულერთია,
შენ საპყრობილე მაინც გელის მიწის წიაღის.
72
არც ხეტიალით, არც სიცოცხლის უამინდობით,
არც ცრემლის დენით, არც ვინმესთან გულით მინდობით
არ შეიცნობა ამ სამყაროს საიდუმლო და,
თუ გსურს შეცნობა, შენს სულს უნდა უთხრა -
„მშვიდობით!“
73
მათ, ვინც შობილან მზიან დღეს თუ მთვარიან ღამეს,
არმად შეერგოთ, ღვინის გარდა, რაც სვეს და ჭამეს;
რა ვქნა, არ მესმის, ეს უგნური ღვინის ვაჭარი,
ღვინოს რომ ყიდის, იმაზე კარგს იყიდის რამეს?!
74
შენ ამ საწუთროს დღეების თვლას ამაოდ უწყებ,
განა ვერ ხედავ?! - კი არ ცოცხლობ, მის ტანჯვას უძლებ;
შენ ეს სიცოცხლე სანთელი ხომ არა გგონია,
რომ შენს ნებაზე კვლავ აანთო, თუ ჩაქრა უცებ.
75
ქვეყნის შემქმნელი ყველაფერს ქმნის ქარაგმასავით,
არავინ იცის, ვინ აუვსო გული მას ავით —
თვით მორწმუნესაც ის მოსისხლე მტერივით დასდევს
და ისღა გვრჩება, ღვინოს ვთხოვოთ შველა ძმასავით.
76
ვარდის სურნელით რომ თენდება ღამე ტიალი,
მაშინ უხდება ღვინით სავსე ჯამებს ტრიალი;
სამოთხის მადლიც, ჯოჯოხეთის შიშიც და ხათრიც
მხოლოდ ჭორია და სიტყვების ორომტრიალი.

77
პურის ნატეხი მშიერ მუცელს ვინც ამყოფინა,
ვისაც განგებამ სხვისთვის ლუკმა გააყოფინა,
ვინც არც მონობა ისურვა და არც ბატონობა,
კაცი მე ვარო, უნდა გვითხრას მან კმაყოფილმა.

78
უბრალო გლეხმაც კარგად იცის, ისიც კი ხვდება,
უაზრო ფიქრს რომ სარგებელი არსაით ხვდება;
გვიჯობს ავავსოთ ჯამები და ერთიც დავლიოთ,
რადგან ამქვეყნად მოსახდენი უჩვენოდ ხდება.
79
საამო დილა წუთისოფელს კვლავ რომ სწვევია,
ვარდი ცვარ-ნამით პირს რომ იბანს, როგორც სჩვევია,
ალბათ, ბულბულიც ყვავილნარში მიტომ გვიხმობს და
ამბობს: „ეს ღვინო მხოლოდ ჩვენი დასალევია“.
80
სანამ სიკვდილი და განკითხვა მოგეზმანება,
ღვინო ინატრე და ქეიფის გაეც ბრძანება!
განა ოქრო ხარ, დროებით რომ ჩაგფლან მიწაში,
შენი დაკარგვა ამ საწუთროს არ ენანება.
81
თუ შენი ყოფნა ანაცვალე არყოფნის მიზანს,
განგებას უკვე დაუსჯიხარ... მეტს რაღას გიზამს?!
რადგან სიკვდილი კვალში დაგდევს, სიცოცხლის ხიზანს,
სჯობს დარდი ღვინოს შესწირო და სიცხადე - სიზმარს.
82
ვის რას მოუტანს საწუთროსთან დიდხანს დარჩენა,
მან თუ თავისი საიდუმლო არვის აჩვენა?
შეგირდს რა ვკითხო, თუ ოსტატსაც არ გაეგება —
რისთვის არსებობს და რა არის ქვეყნად გაჩენა.
83
ბედს თუ ემდური, თუ შეგიპყრეს მწველმა ეჭვებმა,
თუ შენს სიცოცხლეს უცებ სევდა შემოეჭრება,
სატრფოსთან ღვინით მოილხინე, რადგან სულ მალე
სიკვდილით მათთან მისასვლელი გზა მოგეჭრება.
84
შენ რომ ბედნიერ გზაზე დგახარ, ამაყი ხარ და
ჩემსას თუ მკითხავ, გზა ვერ ვნახე, ვაების გარდა.
ჩვენ კარგად ვიცით ჩვენი გზები, მაგრამ ვაი, რომ
ათას შეუცნობ გზას გვიმალავს სიკვდილის ფარდა.
85
ცხოვრების ბაღში ბედი ყვავილს რომ გაალიმებს,
მასაც მოსპობს და სასიცოცხლოს დააწყვეტს სიმებს;
წყალთან ერთად რომ აიყოლოს ღრუბელმა მიწაც,
განკითხვის დღემდე თავს გვასხამდა სისხლიან წვიმებს.

86
შენ თუ განგებამ კიდევ ერთი დღე გიზიარა,
ის დღეც ქეიფით გაატარე, ფიქრით კი არა.
სიცოცხლის ნება მხოლოდ ერთხელ მიეცა კაცს და
როგორც ატარა, სიცოცხლემაც ისე იარა.
87
მეუბნებიან, რომ სამოთხე ყველას გვარგია,
რომ იქ ფერიაც დაგვხვდება და ღვინოც კარგია...
მაგრამ ჩვენ ღვინოს აქაც გვასმევს ლამაზმანი და
სადღა წავიდეთ?! სამოთხეში რა დაგვკარგვია?!
88
სამოთხით მხიბლავ მეც და სხვასაც და სხვის სხვისიანს,
ამბობ: „სინათლით შეიცვლიო დღეებს ნისლიანს! “
თუ ძმა ხარ, ღვინო დამისხი და დამალევინე...
ეს ერთი ნაღდი მირჩევნია ათას ნისიას.
89
ამბობენ - ვინც აქ განიშორა აუგი საქმე,
განკითხვის შემდეგ განწმენდილი აღდგება აქვე.
ღვინოს და სატრფოს აქ მიტომაც არსად ვშორდები,
რომ, ვთქვათ და, უცებ გამაცოცხლონ, გავცოცხლდე აქ მე.
90
ღვინო დალიე, რომ გულიდან ჯავრი წაიღოს,
სამოცდათორმეტ სამყოფშიც რომ კარი გაიღოს.
ამ სასწაულის ერთ წვეთიც საკმარისია,
რომ თავის თავზე ყველა შენი ცოდვა აიღოს.



# გუგული

## გოდერძი ჩოხელი

„გიყვარდეს მტერი შენი“...

თუკი რამ კარგი და ლამაზი მახსოვს, ბავშვობიდან მახსოვს.

გუგულიც იქიდან მახსოვს, იქიდან გამომძახის.

— გუგუ!

— გუგუ!

და თითქოს იყო და არა იყო რა. ბავშვობაზე უკეთესი რა იქნებოდა, იყო ლამაზი ვარსკვლავებით მოჭედილი ცა. გორის იქეთიდან მხოლოდ ყურის წვერი ამოეყო მთვარეს და ეგრე ჩუმად, ფეხაკრეფით შემოდიოდა ხეობაში.

იყო ლამაზი გათენება. ჯერ ამოსულიც კი არ იყო მზე, რომ იმისი სხივები ძილს აღარ მანებებდნენ. „დილით ამდგარსა ყმაწვილსა ღმერთი უმზადებს სადილსა“, ჩამჩურჩულებდა დედაჩემი ყურში და „აბა, მზეს თუ დაასწრებ ადგომასო“, წამოვხტებოდი და მზეს ვეჯიბრებოდი.

იყო ყვითელი შემოდგომა და შემოდგომაზე ფრინველების წასვლით დარჩენილი სევდა. ჯერ მერცხლებს გამოვიგლოვებდით მე და ჩემი თანატოლები, მერცხლებს მიჰყვებოდნენ ტოროლები, გულყვითელები, ბოლოცეცხლები, გუთნის ჩიტები და სხვანი და სხვანი... მიფრინავდნენ გუნდ-გუნდად, თავის ბარტყებთან ერთად, იმ ბარტყებთან, ჩვენ რომ თითქმის ყველას ვიცნობდით, თითქმის ჩვენს ხელში დაიზარდნენ, მიფრინავდნენ და მაშინ ჩვენთვის აუხსნელ სევდას გვიტოვებდნენ. ტყეებში მარტო ჩხიკვები და შაშვები რჩებოდნენ. სოფლის ახლომახლო ყვავი დაყრანტალებდა და ამით ამცნობდა დანარჩენ ყვავებს, რომ ხის კენწეროზე შემორჩენილი მწიფე მსხალი იპოვა და ამიტომ მაგარი, ყოჩაღი ყვავია.

დღითიდღე იცრიცებოდა, იძარცვებოდა შემოდგომა. კვირაში ერთხელ არწივი ჩამოიფრენდა ხეობაში, მიდამოს თვალს გადაავლებდა, შეამოწმებდა, ფრთოსნებიდან რომელიმე ხომ არ დარჩა თბილ ქვეყანაში წამსვლელიო და რომ დარწმუნდებოდა, ისევ ჭიუხებისკენ წავიდოდა ყეფით. ერთიორჯერ თუ შეატყლაშუნებდა ფრთებს, მეტად არა.

დღეები თანდათან მსუბუქდებოდა, გამსუბუქებული დედამიწა თითქოს ზეცისკენ მიიწევდა. ცასა დ მიწას ერთი ფერი დაედებოდა, ახლა ვხვდები, რომ ეს ფერი გარდაცვალების ფერი იყო, მტკნარი და მიტკალივით თეთრი.

და ამის მერე იყო ზამთარი. თოვლის ფიფქები მოდიოდნენ. ზეცის ყვავილობა გეგონებოდა. ყველაფერი თოვლის საბურველში გაეხვეოდა, და არაფერი არ უხდებოდა ბავშვობას ისე, როგორც ზამთარი. ციგაობა, თოვლის კაცების აშენება, გრძელი ზღაპრებით სავსე ღამეები და... ყოველთვის, ეს რომ მოგვწყინდებოდა, სწორედ მაშინ მოვიდოდა გაზაფხული. შეეშინდებოდა ზამთარს, დანაწილდებოდა ნაკადულებად, ზვავებად და გარბოდა, მიწაში იმალებოდა. ზეციდან მოსული იყო, მაგრამ მიწაში იმალებოდა. მიწიდან კი გაზაფხული ამოდიოდა — ენძელებად, იებად, ყოჩივარდებად, თეთრად აფეთქებულ ტყემლებად, კლდის ფხაზე ამოშვერილ

პირიმზედ, ჩრდილში მოსულ გვირილად და ისევ და ისევ ბავშვების ჟრიამულად. და ისევ, თითქოს იყო და არა იყო რა, იყო ლამაზი გაზაფხული ნაირ-ნაირი პეპლებით სავსე. დავდევდით პეპლებს და როგორმე რომ დაგვეჭირა, ვატყუებდით: „დაჯე, დაჯე, პეპელაო, თორემ დედა მოგიკვდება“. პეპლებს, რა თქმა უნდა, დედის სიკვდილის ეშინოდათ და სხდებოდნენ.

გაიხსნებოდა გზები, დაიწყებოდა მგზავრების მიმოსვლა. გაზაფხულობით ჩამოივლიდა ხოლმე მღვდელი, შეკრებდნენ ერთ სახლში იმ წელს დაბადებულ ბალღებს. იყო ერთი სიცილ-კისკისი და ბალღების ჩხავილი. მერე მღვდელი წიგნს გადაშლიდა და კითხულობდა. ბევრს ვერაფერს ვგებულობდით, მაგრამ ერთი რამ ძალიან გვაკვირვებდა — „გიყვარდეს მტერი შენი“...

რატომ?

რატომ უნდა გვყვარებოდა მტერი?!

ვერა, ვერ ვგებულობდით.

ხეობა კი თანდათან ივსებოდა გუთნის ჩიტებით, კოდალებით და ბოლოცეცხლებით. ხეობა სავსე იყო ფრინველთა გალობით და ერთ დღესაც ამ გალობაში გაისმებოდა:

— გუგუ!

— გუგუ!

ეს ხმა ყველაზე მეტად გაგვახარებდა. რატომღაც გვეგონა, რომ გუგულს მოჰყავდა გაზაფხული.

— გუგულო, რამდენი წლისა ვარ? — გავძახებდით გუგულს და ისიც, რა თქმა უნდა, იმდენჯერ დაიძახებდა „გუგუს“, რამდენი წლისაც ვიყავით. მერე დედები გუდებს მოგვკიდებდნენ და გაგვაგზავნიდნენ წიფლიან ტყეში. ჩვენ მთელი დღე ჩასაფრებული ვყავდით გუგულს, რომ თუ რომელიმე ხეზე შემოჯდებოდა, იმ ხისთვის სამჯერ უნდა შემოგვერბინა ძახილით:

— გუგულო, ღალა მოგპარე!

— გუგულო, ღალა მოგპარე!

— გუგულო, ღალა მოგპარე!

თუ ამას მოვახერხებდით, გვჯეროდა, რომ იმ წელს ბარაქიანი მოსავალი გვექნებოდა. გუგულებს კი, თითქოს ეს არ უნდოდათ, მაშინვე გაფრინდებოდნენ იმ ხიდან, რომელსაც გარშემო ვურბენდით. ახლა სხვა ხეზე შემოჯდებოდნენ და ჩვენც იმ ხეს მივეპარებოდით. ამასობაში შევამჩნიეთ, რომ გუგულს ყოველ დღე სამი ნიბლია ჩიტი დასდევდა თან. ჭრელფრთიანები იყვნენ, პატარა, წვრილი ნისკარტები ჰქონდათ. თავზე ისეთი ბუმბულით იყვნენ შემოსილი, თითქოს გუგულის დიასახლისები იყვნენ და თავზე კოპლებიანი თავსახურავები ეხურათ. მერე ისიც შევამჩნიეთ, რომ დილით სამი ასეთი ჩიტი დაჰყვებოდა გუგულს, შუადღისას — ორი, საღამოს კი — ერთი. გაფრინდებოდა გუგული და ისინიც უკან გაჰყვებოდნენ. მე ეჭვი არ მეპარებოდა, რომ ეს პატარა ჩიტები გუგულის დიასახლისები იყვნენ და ერთხელ გუგულის დევნით დაღლილ-დაქანცულმა მღვდელს ვკითხე:

— გუგულს თუკი ჰყავს დიასახლისები, რატომ სხვა ფრინველებს არა ჰყავთ?

— რა დიასახლისები?! — გაუკვირდა მღვდელს.

— აი, სამი პატარა ჩიტი რომ დაჰყვება თან.

— ეგენი დიასახლისები კი არა, გუგულს ყოველდღე სამი ეგეთი ჩიტი უბოძა საზრდოდ ღმერთმა. ერთს დილით სჭამს, მეორეს შუადღისას და მესამეს საღამოს. ერთ ჩიტს მარტი ჰქვია, მეორეს — აპრილი, მესამეს — მაისი, — მითხრა მღვდელმა.

იმ დღის მერე გადავემტერეთ გუგულს. მთელი სოფლის ბალღები ისე აგვაფორიაქა გუგულის საქციელმა, რომ ერთ დღეს „შევიარაღდით“ და გუგულის მოსაკლავად წავედით.

გუგული მუხაზე იჯდა და ხეობას გასძახოდა. მოვმართეთ შურდულები და დავუშინეთ ქვები. გუგული გაფრინდა და ჩიტებიც თან გაჰყვნენ. ორნილა იყვნენ, ეტყობა, ერთი უკვე შეჭამა. გამოვედევნეთ უკან და აღარ მივეცით მოსვენება. შუადღემდე მუხლი არ ჩაგვიხრია. ცოტა ხნით სადღაც დაგვეკარგა და, ხელახლა რომ ვიპოვეთ, ერთი ჩიტიღა დასდევდა თან. როგორც იქნა მოხვდა ქვა. წიფლიდან ჩამოვარდა, პატარა ჩიტიც თან ჩამოჰყვა, მერე ისევ გაგვიფრინდა. ეტყობა ფრთა ჰქონდა მოტეხილი. ნიბლია ჩიტიც თან მიჰყვებოდა. გუგული ღვიის ბუჩქებში ჩაეშვა და კარგა ხანს ველარ ვიპოვეთ, როცა მივაგენით, სანახაობამ ერთად შეგვაყენა და ნაბიჯი ველარ წავდგით — ღვიის ძირში გუგული ეგდო და სულს ღაფავდა. მოტეხილ ჭროღა ფრთაზე წითლად ჰქონდა სისხლი შემხმარი. იქვე, ღვიის ტოტზე მობუზული იჯდა ნიბლია ჩიტი და თავის ტოლა ცრემლები ჩამოსდიოდა თვალებიდან. ჩვენს დანახვაზე არც კი ცდილა, რომ გაფრენილიყო. ამ სანახაობამ ისე დაგვწყვიტა გული, რომ იქვე პატარა საფლავი გავთხარეთ და ჩვენ, ბავშვებმა, პირველად, ჩვენი სიცოცხლის მანძილზე, გუგული დავმარხეთ.

ნიბლია ჩიტი კარგა ხანს იჯდა თვალცრემლიანი ღვიის ტოტზე, მერე კი, თითქოს რაღაც გაახსენდა, უცებ დაიწრიპინა, თავსაფრიანი თავი ჰაერში გააქნია, სუსტი ფრთები გაშალა და საღამოს ბინდბუნდს შეერია.

ახლა, რამდენჯერაც გაზაფხული მოვა, ყოველთვის ის გუგული მახსენდება და მაშინ ნანახზე რატომღაც ახლა ვფიქრობ და ვერ გამიგია, რატომ ტიროდა ეს პატარა ნიბლია ჩიტი. მაისი კი იქ, ჩემს ბავშვობაშიც, წვიმიანი იცოდა.

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

## ახალი ლექსები



## თენგიზ სვანიძე

• • •
ოქროს ფერი
შეპარვია ველს და გორებს,
ყველა დროში ლამაზია ეს სამყარო!..
შემოდგომა მშობიარე
ქალს მაგონებს,
მტერ-მოყვარე ერთიანად გაახაროს!

### ღმერთია ყველაფერი!

სული — უჩინარი მზე და დარი —
ვკვდებით, — ცის სიღრმეებს მიაშურებს...
სიცოცხლე ტკბილი და მწარეც არი, —
ტოვებს დღეებს გულზე მიშაშრულებს.
გადავხვევ სიკვდილს ხელს,
დანამორცხვებს
(ხდება სიყვარულით ყველაფერი),
სულია, რაც გვკლავს და რაც
გვაცოცხლებს,
სული, სული არი ყველაფერი!
სული, ჩვენი სული, ღვთის სულია,
ათას ხიფათს შეგვყრის, სიამესაც..
ამქვეყნად ვინ ნახა, ვინ, სულ ია, —
თვალს ვაჩვევთ თანდათან სიბრმავესაც.
გული ბავშვი არი, ჩვილი ბავშვი,
სული არი მისი დედაწყარო...
ყოველთვის ავივსე, როცა დავშრი, —
მტერი, მტერი რომ არ გავახარო!
დღე ვისთვის თენდება მზის საფერი?
სიცოცხლე მიჰქრის, ვით თეთრი კვიცი,
რადგან ღმერთია ყველაფერი,
ისიც სარწმუნოა, რაც არ ვიცით!

• • •
არ ემღერებათ, მღერიან, —
წვიმს, დარი უდგამთ მზიანი...
მოლაყბე — ბედნიერია,
უბედურია — ჭკვიანი!
უქნარას საქმე — რულია,
ღმერთს ესმის ცოდვილთ მუდარა...
სულელი — მხიარულია,
ბრძენი — მწუხარე მუდამა!

### ჩემო ყველავ!

*გარდაცვლილ მეუღლეს*

გზა წუთისოფლის სულ ბოლომდე
სად თქმულა ამო,
სევდა-წუხილი (პოეტური)
არც შენ მაკმარე...
შენ რომ დამტოვე, საყვარელო,
სამარადჟამოდ,
იმ დღეს გაიჭრა, ჩემო ყველავ,
ჩემი სამარეც!
არავინ იცის, ბედი ვისთვის
რა სასჯელს კერავს,
სწორნი ცრემლიან სულის წმენდას
დაგვით იწყებენ...
გავა დრო, კარგო, დაგივიწყებს
ყველა, ო, ყველა,
ჩემი ლექსები არასოდეს
დაგივიწყებენ!

### ქვრივი ქალბატონი

ო, მშვენიერო ქალბატონო,
სრულო ღვთაებავ,
როცა თქვენ გხედავთ,
გული ჩემი ფეთქავს ალებად.
ადრე გამხილეს დარდიანმა
თქვენმა თვალებმა,
ნეტავ ვიცოდე, ე მაგ გულში
რა იმალება!
მაგ ლამაზ ტან-ფეხს
ვინ ჩააცვა შავი სამოსი?
ქარი თებერვლის...
მწუხარება სასაფლაოსი...
გაზაფხულმა კი ის დღეები
გამოიტირა,
მოველ — გეძახი რა ეშმაკად,
ან რა სიკვდილად!
ფიქრმორეული ჩავუყვები
სკვერებს, გაზონებს...
მე თქვენ მიყვარხართ
და... თავიც კი
ვერ მოგაწონეთ!..

• • •
გულმა გული ვით გარიყოს,
თუკი მუხლს იყრი ხატებთან...
ქვეყანას, ეს მზეც არ იყოს,
სულ სხვა მზე გაანათებდა!
ის გტკივა, გიყვარს რაც უფრო,
იწყება, რაიც მოთავდა...
ცა არის ღმერთის საუფლო,
მიწა — საძვალე მოკვდავთა.

### თორემ

N-s

ველარ გამოდის მზე ბინდბუნდიდან,
გადაათეთრებს
ველ-მინდვრებს თოვა...
ამოაფრინე გული ბუდიდან,
თორემ საცაა
მიმწუხრი მოვა:
მე ვნახე დარდი
გულზე მიფშვნილი
და სევდიანი ქარების ქროლვაც...
მინდა მზესავით გაიღიმილო,
თორემ ცრემლები
ისედაც მოვა.
გულცივი არის ყველა თარიღი,
თუ არ მოიტანს
ტკივილს და თრთოლვას...
ამ ლამაზ დღისთვის გული გაიღე,
თორემ საცაა
ზამთარიც მოვა.
გადაფითრდება ლურჯი ცის ჭერი, —
რა ნაადრევად იწყება თოვა...
ჩვენს სიყვარულზე მინდა იმღერო,
თორემ საცაა,
სიჩუმეც მოვა!..

### მარტი

აღიზიანებს სიმწვანე ყოვლის
და სიხარული გაუფანტია...
თუკი არ მოვა
ქარ-წვიმა-თოვლად,
მითხარით, აბა, რაღა მარტია?!
ქარია მისი ცისფერი მუზა,
თოვლი და სუსხი —
სიცოცხლის ძალა...
თითქოსდა სულში დემონი უზის
და ბავშვურ ღიმილს
ვერაფრით მალავს.
ზოგჯერ წვიმებად იღვრება მარტო
და გადანისლულ
სახეს გვარიდებს
და დიდი სევდის წუთებად ათოვს
გულში ჩამარხულ
მზიან ამინდებს.

### დრო

ქარი ხეშეში ტრამალებზე
წივილით მიქრის,
დრო, უხილავი, დაუშრეტი
წყაროა ფიქრის.
დროს, ვინ არ იყო,
დროს უძლეველს რომ არ უშარა,
დრო მაინც დროა,
მან არ იცის შიში, მუდარა.
იკლებს ველ-მინდვრებს
ქარი ყვითელ ფოთოლთ ამალით,
ჩაესვენება მერე ქარიც,
ქარი ფრთამალი.
ყოველი წუთი იბადება
მოლოდინებად
და უერთდება მარადიულ
დროთა დინებას.



## გიორგი ხანგური

### გამოცანა

ნუშმა იმრუშა მდიდარ აპრილთან
და უკანონო ეყოლა კვირტი,
ჭერამი იცმევს პერანგს ყვავილთა,
ატამს გაუბა ნიავმა ფლირტი.
ალუბლის ყვავილს ფუტკარი წველის,
ვაშლის ტოტებზე დახტის ბეღურა,
ტირიფმა ხშირი მოუშვა წვერი,
ალუჩას ქუდად ნისლი ეხურა;
მიეყრდნო ღობეს დაღლილი თხილი,
მზემ ხელისგულზე შინდი დაისვა,
თუთას დააჯდა პეპელა ფრთხილი
და ბაღმა ჩუმად გაიმაისა...
— გაზაფხულია!

### კოსმიური პირამიდა

მაქვს უცისფრესი ნაღველი, უიშვიათეს ღამიდან,
მყავს ნაგოდები ოცნებით აზრში მოკლული საცოლე
და მე არ ვიცი ამხელა მარტოობაში რა მინდა,
გაჟღენთილია ცრემლებით მთვარენალეწი საწოლი.
გამიწყდა ყველა ფერადი ურთიერთობის ძაფები,
არის მტანჯველი სიჩუმე და მე არსაით მელიან,
საფლავში გამოღვიძებულ კაცივით დავიძაბები,
როცა ოთახში სხეულებს ჩრდილები ემალებიან.
დავიმეგობრე ვარდები — ჩემი გამხმარი ტრაური,
ყველა სურვილი დამეწვა, ყველა სურვილი ალშია.
სევდის აღლუმზე გაისმის შეძრწუნებული ხმაური,
უკანასკნელი აკორდი ჩემი ნერვების მარშია...
ნისლის ზღვიდან რიფებივით ამოყრილან სოფლები,
სადაფისფერ ღრუბლებშია მზის ბაჯაღლოს მონეტა.
ანგელოზი ემუქრება ზეცას წვიმის მოკრეფით,
გახსენება ამტკივდება გასულ სიმარტოვეთა.
ბამბის თეთრი კლავიშებით გაღიმებულ როიალს
ტუჩებს ძილში დავუკოცნი მკრთალ თითების ბალიშით,
ტვინის ნაოჭ ლაბირინთებს როცა ფიქრი მოიარს,
სურვილები ამიტაცებს შენთან ყოფნის გარეშე.
ჩემი გულის ფეთქვის ხაზი კავკასიის ქედებია
უშგულიდან ჯიხვის რქები როცა მთვარეს ენაცვლება,
ღრუბელს ჭმუჭნის ვიწრო ზეცა, მზე რომ გაუმეტებია,
შენი კოპის დაბღვერად და ემოციის შენაცრებად.
გადის, გადის უსასრულო წუთის, წამის საუკუნე,
საათობით ბაგეებზე უკოცნობა იფარება,
ვარსკვლავების დათვლილ სიას შუაღამეს დავუბრუნებ,
რომ მიყვარდა სიჭაბუკის მოწყვეტილი მიბარება.
ავახლიჩე დედამიწას მელნისფერი ოკეანე
და ნიღაბი დავამზადე — გამჭვირვალე ტრაგედია,
მერე შენი სიზმარეთი ფეხშიშველმა მოვიარე,
თითქოს ჩემი წარმოდგენის უცნაური მაკეტია,
ავიზვირთე, ავიტალღე, ნაპირები დავარბიე,
ოქროს ქვიშა დაგისველე — ცხელი მკერდი, პირამიდა,
ატმოსფერო კოსმოსამდე თითის აკვრით გავარღვიე,
ახლა შენი სიახლოვე — ატმისფერი დილა მინდა.

### აგონია

დამღალა ზეცამ, იმდენს ვფიქრობ, ვოცნებობ იმდენს,
მიწას იმდენად დავაწექი, ღერძიდან მოძვრა,
ჩემს ფაშატ ლექსებს ახლადშობილ კვიცივით მივდევ,
დამჭკნარ ფოთლებზე წავიკითხე თებერვლის ლოცვა.
იმატა თოვამ, ჩემი სულით შევკარი გუნდა,
ჩამადნა ხელში უფლის რწმენა, ციური ზოლი
წარმართი გავხდი და ქალწული ნუშებით უნდა
გავხადო მარტი ჩემი ვნებით აშლილი ცოლი.
ვუყურებ წვიმას, ჩემი ქუჩის მტირალა სახეს,
მე მხოლოდ სუნთქვის შეკავებით ვაჩერებ ღრიალს,
ვჩურჩულებ ჯერარდაბადებულ შვილების სახელს
და ისევ ვიწყებ ნერვიულად ოთახში წრიალს.
წავაწყდი აპრილს, ყვავილებით დამტვერილ ალბომს
ვათვალიერე ხალისები, კოცნები, შერწყმა
და გამახსენდა მთვრალი ბაღი, ლოგინი, პალტო
და კიდევ წამი სარკეში რომ ჩახედვის შემრცხვა.
დაღამდა თეთრად, მე უძილო თვალებით ვზივარ
და ჩემი ჩრდილი მაგიდაზე ბოთლივით მიდგას,
ჭიქაში ვისხამ საკუთარ თავს, ძალიან ცივა,
ვამბობ ჯერართქმულ სადღეგრძელოს, მოგონილ სიტყვას
და ისევ ფიქრი, სხვების ნაცვლად ტკივილის განცდა,
ტარება უცხო სიზმრებიდან სხვათა გმირების,
ყველა სურვილი სხეულიდან ღილივით ამწყდა,
უკმაყოფილო სტუმარივით გარბის კვირები.
მტერივით ვებრძვი ჩემს ოთახში გამომშრალ ჰაერს,
ვუკაწრავ მუცელს შხამიანი ფრაზების დაშნით,
შურისძიებით გონდაკარგულს მოვგავარ ლაერტს
და სიკვდილივით მე დედოფლის ბაგეზე დავშრი.
მივაწყდი სარკმელს, წავიკითხე ვარსკვლავთა ქვები,
გარდაცვლილ მზეთა სასაფლაოს მოჰგავდა ზეცა
და გამითეთრდა ერთ ღამეში შიშისგან თმები
და იმ წამივით კვლავ სარკეში ჩახედვის შემრცხვა.

ქართული სიტყვა

ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართული სიტყვავ, ქართული სიტყვავ!“

სპორტული სკანდალი



# მსაჯების საქმის უცნობი დეტალები

## როგორ ჩანერგა გამოძიებამ ოპერმუშაკი და რა პრეტენზიები აქვთ ადვოკატებს

**„არანაირი ჯგუფი არ ყოფილა, ეს ხალხი ერთმანეთს არც იცნობდა, შესაბამისად, არც ჯგუფური ბრალდებაა წარდგენილი. უბრალოდ, ჯგუფურად დააკავეს. როგორც „ნაციონალების“ დროს სოსო თოფურია ხალხს ვაგონით იჭერდა, იგივე სპექტაკლი გრძელდება, თავისი ფარული გადალებებით. საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, ჩანერგილების მეშვეობით, დანაშაულის პროვოცირების გზით, ხალხს აჭერინებს, მოსამართლე უშვებს, ზვიად სიჭინავა კი, სამსახურიდან ათავისუფლებს და მათ ადგილზე თავისიანებს ნიშნავს“.**

**2014 წლის ნოემბერში, მატჩების კომერციული მოსყიდვის ბრალდებით, ფეხბურთის მსაჯები დააკავეს. საქმე 2014 წლის აგვისტო-სექტემბერში ჩატარებულ საფეხბურთო მატჩებს ეხებოდა, თუმცა საფეხბურთო სკანდალი ამით არ დამთავრებულა... 2015 წლის 7 მაისს, თბილისის საქალაქო სასამართლომ ე.წ. ფეხბურთელების საქმე განიხილა. დავით გენძეხაძეს, გიორგი კუხალაშვილს, იოსებ გიოშვილს, ომარ ნაკაიძეს და გიგა ბურჯანაძეს ბრალად ორგანიზებული ჯგუფის მიერ, შეჯიბრების შედეგზე ზეგავლენის მიზნით, პროფესიული სპორტული შეჯიბრების მონაწილის მოსყიდვა, გიორგი გოდერიძესა და თემურ სანიკიძეს — პროფესიული სპორტული შეჯიბრის მონაწილის მიერ, შეჯიბრების შედეგზე ზეგავლენის მიზნით, უკანონოდ ფულის მიღება, ოთარ შენგელიას კი, პროფესიული სპორტული შეჯიბრების გუნდის ხელმძღვანელის მიერ, შეჯიბრების შედეგზე ზეგავლენის მიზნით, უკანონოდ ფულის მიღება ედებათ... შთამბეჭდავი იყო საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის განცხადება — დაკავებისთანავე, ყველა ზემოხსენებული ფედერაციის წევრობიდან გარიცხა. „სამწუხაროა, რომ წარსული გამოცდილება, სახელმწიფო სტრუქტურებისა და სფფ-ის შეუვალი პოზიცია ასეთი ფაქტების მიმართ, ზოგიერთი ფეხბურთელის, მწვრთნელისა თუ ფეხბურთში დაკავებული სხვა პირისათვის საგულისხმო მაგალითად არ იქცა. მიუხედავად ბოლო წლებში გადადგმული მკაცრი სადამსჯელო ნაბიჯებისა, დაჭერებისა თუ საფეხბურთო ოჯახიდან მოკვეთის არა ერთი მაგალითისა, მათ მაინც ვერ გაითავისეს ის რისკები და საშიშროება, რაც ჩაწყობილი თამაშების ორგანიზებასა თუ თანამონაწილეობას მოსდევს. იმედს გამოვთქვამთ, რომ ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელები, მწვრთნელები, მსაჯები თუ კლუბებში დასაქმებული სხვა პირები, ერთხელ და სამუდამოდ, უარს იტყვიან მსგავს გარიგებებში მონაწილეობაზე. მანამდე კი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია გააგრძელებს ამ მიმართულებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან თანამშრომლობას და მხარს დაუჭერს ასეთ ფაქტებში მონაწილე ყველა პირის გამოვლენასა და კანონის შესაბამისად დასჯის ფაქტებს“, — ნათქვამია ფედერაციის მიერ თავის დროზე გავრცელებულ გაცხადებაში. „ქართული სიტყვა“ ე.წ. მსაჯების და ფეხბურთელების საქმეზე დაკავებულთა ადვოკატებს ესაუბრა**

**არჩილ შაბაშვილი, ომარ ნაკაიძის ადვოკატი:** — ე.წ. ფეხბურთელების საქმეზე ბრალდება ამბობს, რომ ერთმანეთს დაუკავშირდნენ პირები, რომლებმაც უკანონოდ სარგებლის მიღების მიზნით, საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის შეჯიბრების მონაწილეთა და საფეხბურთო შედეგების მოსასყიდად ჩამოაყალიბეს სტრუქტურის მქონე ორგანიზებული ჯგუფი, დანაშაულებრივი გზით განიზრახეს პირადად მოესყიდათ და საფეხბურთო შედეგებზე გავლენა მოეხდინათ. ამავდროულად, შეთანხმდნენ, რომ მას მერე, რაც მოისყიდდნენ, გარკვეულ თანხას ტოტალიზატორებში მოათავსებდნენ, მოგებულს კი, ერთმანეთში გაინაწილებდნენ.

ბრალში მითითებულია, რომ 21 მარტს, ზუგდიდის „ლაზიკასა“ და ხარაგაულის „ჩხირიმელას“ შორის გამართულ მატჩზე ონლაინ ტოტალიზატორში ფსონები ზუგდიდის საფეხბურთო გუნდის სასარგებლოდ დაიდო, მატჩის შედეგი კი, წინასწარ იყო ცნობილი. დამნაშავეთა ჯგუფს მოთამაშეები თითქოს მოსყიდული ჰყავდათ. ომარ ნაკაიძეს ბრალად დაედო, რომ 14 ათასი დოლარი ჯგუფის წევრებთან ერთად გაინაწილა. რვაკაციან ჯგუფში სამი ფეხბურთელია, ერთი — მწვრთნელი, დანარჩენები ტოტალიზატორში მოთამაშე მოქალაქეები არიან.

ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი ომარ ნაკაიძე მათთან კავშირში არაა, რომელიმე მათგანთან არც გარიგებაში ყოფილა. ნახსენები ჯგუფის მხოლოდ ერთ წევრს იცნობდა, სწორედ ეს გახდა მისი დაკავებისა და ბრალის წაყენების მიზეზი. ის არც ფეხბურთელია და არც — მსაჯი, რიგითი მოქალაქეა, რომელიც ტოტალიზატორში თამაშობს. რამდენიმე ქვეყანაში ანგარიში აქვს გახსნილი და ამაში კანონსაწინააღმდეგო არაფერია. ნაკაიძეს ბრალად ედება, რომ დანაშაულებრივ ქმედებაში ჯგუფურად მონაწილეობდა.

ამ საქმეში ჩანერგილი ოპერატიული მუშაკი ნაკაიძეს გაეცნო, როგორც ტოტალიზატორის მოთამაშე, რომელსაც ფსონის დადება უნდოდა. შსს-ს ჩანერგილი კონფიდენტი, შვიდი თვის განმავლობაში, ფარულ მიყურადებას, ვიდეოჩაწერას ახდენდა, მთლიანობაში, 50 დისკი გადმოგვცეს. 2014 წლის ოქტომბრის ბოლოს, ნოემბრის დასაწყისში, ე.წ. მსაჯების საქმის მერე გაჩნდა აზრი, რომ კიდევ არსებობდა ჯგუფი, რომელიც ამ საქმეზე მუშაობდა, რაც სიმართლეს არ შეეფერება.

საფეხბურთო ტოტალიზატორი ნებისმიერ ქვეყანაში კანონითაა დარეგულირებული და თანხა შეიძლება, ნებისმიერმა მოიგოს. ვთქვათ, შედიხართ ტოტალიზატორში, მოდის თქვენთან პიროვნება და ამა თუ იმ გუნდზე ფსონის დადებას გთავაზობთ. ითამაშებთ თუ არა, გაიზიარებთ თუ არა სხვის შეთავაზებას, ეს თქვენი გადასაწყვეტია და თუ პროგნოზმა გაამართლა, რა? — ის, ვინც ეს ამოიცნო, დავაკავოთ? ბურთი მრგვალია, შეიძლება ისეთმა გუნდმა მოიგოს, რომელსაც არავინ ელოდება.

რაც ეხება თამაშის ყიდვა-გაყიდვას, საქმე მარტივად არც აქაა: მატჩის შედეგს ერთი მოთამაშე ხომ ვერ განსაზღვრავს? ან მსაჯი უნდა იყიდო, ან მეკარე. ომარ ნაკაიძე თავს დამნაშავედ არ ცნობს, ჯერი სასამართლოზეა. ვნახოთ, 18 ივნისს რას გადაწყვეტს.

**დავით მოდებაძე, საფეხბურთო კლუბ „სტუ თბილისის“ პრეზიდენტის, ოთარ შენგელიას ადვოკატი:** — ფეხბურთში კორუფცია და გარიგებები მსოფლიოსთვის ნაცნობი თემაა. რამდენიმე დღის წინ, ასეთი ჯგუფები იტალიაში დააკავეს. გასულ წელს, საქართველოში ფეხბურთის მსაჯები დააკავეს. მათ შორის იყო ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი, „ფიფა“-ს მსაჯი თორნიკე გვანცელაძე. უნიკალური პიროვნება. მოგეხსენებათ, „ფიფა“-ს მსაჯები თავზე არ გვაყრია. მთელი ფეხბურთის სამყარო გულდაწყვეტილი იყო.

— **გამოძიება მსაჯებს რას ედავებოდა?**

— მსაჯებს ბრალი კომერციული მოსყიდვის ფაქტზე დაედოთ.

— **„კომერციული მოსყიდვა“ რას ნიშნავს?**

— თამაშის გაყიდვას, რის შედეგადაც ფეხბურთის მატჩის შედეგი ზარალდება, დამნაშავე კი, პირად სარგებელს ნახულობს.

— **თორნიკე გვანცელაძის შემთხვევაში ვინ და რა დაზარალდა?**

— გვენცელაძემ, მატჩის მიმდინარეობისას, ექვსი აუტი და კუთხური ამოიღო, მაგრამ ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ყველა მატჩის დასრულების შემდეგ, ფეხბურთის ფედერაციის კომისარი დეტალურად განიხილავს თამაშს, ამოწმებს მსაჯის მოქმედებას. აღმოჩნდა, რომ გვანცელაძემ სრულიად სამართლიანად ამოიღო არა ექვსი, არამედ, შვიდი აუტი. მისი მსაჯობა 84 ქულით შეფასდა. გამოდის, რომ საეჭვო არაფერი ყოფილა.

— **თუკი გვანცელაძე სამართლიანი მსაჯი იყო, ბრალი რატომღა წაუყენეს?**

— მსაჯებისა და ფეხბურთელების საქმეში ყველაზე საინტერესო ისაა, თუ როგორ მოხდა დაკავება. ფეხბურთის ფედერაციასთან შეთანხმებით, ვიტყოდი, ერთობლივი გადაწყვეტილებით, პოლიცია თანამშრომელს ნერგავს. კონფიდენტი პიროვნებებს ეცნობა, როგორც ყოფილი ფეხბურთელი, ან ტოტალიზატორის მოთამაშე, შედის მათთან ნდობაში და იწყებს თავისი მისიის შესრულებას.

— **ასეთი ქმედება კანონიერია?**

— ოპერატიულ სამძებრო ღონისძიებების პირველი კანონის პირველი მუხლი კონფიდენტზე, ანუ საიდუმლო თანამშრომლებზე საუბრობს. კანონით, ჩანერგვა იმ შემთხვევაში ხდება, როცა დანაშაულის შესახებ ინფორმაცია არსებობს, მაგრამ მისი გამოვლენა და დამტკიცება ჭირს.

— **შსს-ს ინფორმაცია ჰქონდა?**

— საქმეც ეგაა, ჩემი დაცვის ქვეშ მყოფნი — თორნიკე გვანცელაძე და ოთარ შენგელია მსგავს ქმედებაში შენიშნულნი არ ყოფილან.

— **შეიძლება, მაგრამ მათ ფული აიღეს, ბატონო დავით.**

— გეთანხმებით, მათ ფული აიღეს, მაგრამ საინტერესოა, თუ როგორ მოხდა ჩანერგვა, ფულის აღება და დაკავება. იცით, მათ ქმედებებში დანაშაულის შემადგენლობა არ იყო? — მსაჯთან მიდიოდა კონფიდენტი, მიზანმიმართულად ტვინს უბურღავდა, პროვოცირებას უკეთებდა, გვანცელაძის შემთხვევაში ითქვა, რომ გარიგების შედეგად სწორედ ექვსი აუტი უნდა „დადებულიყო“. თამაშში შვიდი აუტი დაფიქსირდა, მაგრამ აქ ხელოვნური არაფერი ყოფილა, თამაში ბუნებრივად მიმდინარეობდა, რაშიც ფეხბურთის კომისარს ეჭვი არ შეჰპარვია. ოპერატიული სამძებრო ღონისძიება იმას ნიშნავს, როცა უწყებას ინფორმაცია აქვს, რომ ვიღაც ქრთამს იღებს, ან ნარკოტიკს ყიდის, მაგრამ მამხილებელი მასალები არ არსებობს და ვერ იჭერ. ასეთ შემთხვევაში ხდება ჩანერგვა, მაგრამ როცა პირს დანაშაული არასოდეს ჩაუდენია, მასთან მიდიხარ, ყოველ თამაშზე უჩიჩინებ, აი, ვიცი, რომ ბინა არ გაქვს, აიღე ფული, შვილებს სჭირდება, ვერავინ გაიგებსო, ანუ რაღაცას ძალით რომ ტენი, ეს დანაშაულია. ჩემი ღრმა რწმენით, ის ჩანერგილი სამსახურში აღარც უნდა იყოს.

— **ანუ, კონფიდენტის ჩანერგვა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან შეთანხმებით მოხდა?**

—დიახ, ეს ჩემი გონივრული ეჭვია, შეიძლება, ჩემი ეჭვი არავის აინტერესებს, მაგრამ თუ საქმის მასალებს ყურადღებით გადახედავთ, ამაში თავადაც დარწმუნდებით. როცა მსაჯების ეპიზოდი დამთავრდა, ეს საქმე მაშინვე უნდა შეწყვეტილიყო. საზოგადოება შეცდომაში შეჰყავთ, როცა ინფორმაციას აწვდიან, რომ ეს საქმის სხვადასხვა ეპიზოდია. ეს ერთი მთლიანი გამოძიებაა ერთი გამომძიებლით, ერთი პროკურორით.

— **ჩანერგილიც ერთი იყო?**

— არა, სხვადასხვა.

გაგრძელება მე- 9 გვ.

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა

27 მაისი – 2 ივნისი 2015 | № 21 (285)



## სპორტული სკანდალი

მე-8 გვერდიდან

— **მაშ, ძაღლის თავი სადაა დამარხული?**

— ჩემი აზრით, თორნიკე გვანცელაძეს, სამი შვილის მამას, „ფიფა“-ს საუკეთესო მსაჯს ტვინი წინასწარ განზრახვით აურიეს. რა, საქართველოს ფეხბურთს ასეთი წარმატებული სპეციალისტი ბევრი ჰყავს? მისი ადგილი ვიღაცას უნდოდა და ფეხბურთის ფედერაციამ თორნიკე გვანცელაძე აიძულა, როგორმე სისულელე ჩაედინა. ამ ეჭვს ისიც მიძლიერებს, რომ დაკავებისთანავე, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა, ზვიად სიჭინავამ უდანაშაულობის პრეზუმპცია დაარღვია და განაცხადა, რომ გვანცელაძე სამსახურიდან გათავისუფლებულია. ასევე მოიქცა ოთარ შენგელიასთან მიმართებაშიც, მაგრამ რა უფლებით?

— **ოთარ შენგელიაზე რას იტყვით?**

— „ნორჩი დინამოელის“ ხელმძღვანელთან მიმართებაში საქმე კიდევ უფრო მარტივადაა.

— **ანუ?**

— ჩანერგილი თანამშრომელი ოთარ შენგელიასთან მიდის და ეუბნება, ხვალ მატჩს თუ მოიგებ, 15 ათას ლარს გაძლევო. ის პასუხობს, ეს მატჩი რომ არ მოვიგო, ძმაო, ჯგუფიდან გავვარდები, იმიტომ ვიგებ, რომ მოპასუხე მხარე სუსტი გუნდიაო. მსოფლიო ისტორიაში არ არსებობს, ვინმე ფულს მოგებაში იღებდეს. თამაში, რომლის გამოც ბრალი დაედო, ჩაწყობილი რომ ყოფილიყო, შენგელიას თანხა მოწინააღმდეგე გუნდისთვის უნდა გაეყო, ან ეთქვა, აგერ, ფული, უთხარით მეკარეს, თამაში წააგეთ და ფული ძმურად გავიყოთო... შენგელიას დანომრილი ფული შეაჩეჩეს, პროცესი ფარულად გადაიღეს, გუნდმა თამაში მოიგო და მერე, ბრალი შენგელიას წაუყენეს. ჩანერგილის ქმედებას ელემენტარული ლოგიკა არ ჰქონდა და შსს სულელურ სიტუაციაში აღმოჩნდა. მაფია ის კი არაა, ვინც დაიჭირეს, არამედ ის, ვინც ამ დაჭერებს გეგმავს. ოთარ შენგელია დამნაშავე არაა, ჩვენ გამართლების გზით უნდა წავიდეთ. ხმამაღლა, პირდაპირ, უალტერნატივოდ ვაცხადებ: ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი და პოლიცია ერთობლივად მუშაობენ. სიჭინავა ამბობს, რომ ესენი ქართული ფეხბურთის დამაქცევარნი არიან. იცით, რამ გამოიწვია ყველაფერი? — ფეხბურთის ხელმძღვანელობა, ხელფასისა და სხვა დანამატების სახით, მილიონებს იღებს, ფეხბურთელებს კი, ხელფასი 400-500 ლარი აქვთ.

— **ისე, ამბობენ, ქართული ფეხბურთი მოკვდაო...**

— თუ მოკვდა, მაშინ რისთვისაა ფეხბურთის ფედერაცია და ამხელა ფულს რაში იღებენ?

— **შენგელიას მოშორება ხელს ვის აძლევდა?**

— ოთარ შენგელია დაკავებისთანავე სამსახურიდან გაათავისუფლეს. მან ფული აიღო, მაგრამ დანაშაულის შემადგენლობა საქმეში არ დევს. შეიძლება, ეს საქციელი გამართლებული ზნეობრივად და მორალურად არაა, მაგრამ საქმეში სისხლის სამართლის დანაშაული არ ჩანს. იქნებ, ვინმემ მითხრას, ვინ დაზარალდა მატჩის შედეგით? — გუნდი, ფეხბურთის ფედერაცია? ჩემი პასუხი ასეთია: დაზარალდა სახელმწიფო, როცა ჩანერგილმა ფული გამოიტანა, დანომრა და შენგელიას მისცა. უნიჭოდ დადგმული სპექტაკლის შედეგად შენგელიასგან ფული ვერ ამოიღეს — ეს თანხა დახარჯა, ბიუჯეტიდან გამოტანილ ფულს კი, საკუთარი ჯიბიდან ყოველი ჩვენგანი გადავიხდით.

— **ეს დანაშაული ჯგუფური რატომაა?**

— არანაირი ჯგუფი არ ყოფილა, ეს ხალხი ერთმანეთს არც იცნობდა, შესაბამისად, არც ჯგუფური ბრალდებაა წარდგენილი. უბრალოდ, ჯგუფურად დააკავეს. როგორც „ნაციონალების“ დროს სოსო თოფურია ხალხს ვაგონით იჭერდა, იგივე სპექტაკლი გრძელდება, თავისი ფარული გადაღებებით. საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, ჩენერგილების მეშვეობით, დანაშაულის პროვოცირების გზით, ხალხს აჭერინებს, მოსამართლე უშვებს, ზვიად სიჭინავა კი, სამსახურიდან ათავისუფლებს და მათ ადგილზე თავისიანებს ნიშნავს.

**ესაუბრა ნათია გოგიტიძე**

## სტენოგრამა

# ირაკლი კაკაბაძე: „ბევრი შეკითხვაა დღეს ღარიბაშვილის მიმართ!“

**მოკლედ, აი, როგორ იყო ყველაფერი: დავურეკე და ირაკლი კაკაბაძე ინტერვიუზე იმ პირობით დამთანხმდა, თუკი შეკითხვებს წერილობით გავუგზავნიდი და მის პასუხებში არაფერს შევცვლიდი. რა თქმა უნდა, ასეც მოვიქეცი... რესპონდენტთან ცოცხალი კამათის მომხრე ვარ... პასუხების წაკითხვის შემდეგ, რამდენიმე განსხვავებული მოსაზრება გამიჩნდა და კამათის განწყობაზე დავდექი — რამდენიმე შეკითხვა დამატებით გავუგზავნე და ვთხოვე, პასუხი გაეცა... ვიდრე ინტერვიუს გაგაცნობთ, ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ ჩემსა და ირაკლი კაკაბაძის მიმოწერაში არაფერია შეცვლილი:**

**„გიორგი მარგველაშვილი ისტორიული ფიგურა გახდება!“**

— **ბატონო ირაკლი, ინგლისურ „ვიკიპედიაში“ თქვენზე ინფორმაცია არის, ქართულში კი — არა. რას ფიქრობთ, ეს რისი ბრალია?**

— ეს ქართული „ვიკიპედიის“ უსტაბაშებს უნდა ვკითხოთ. არ ვიცი, რა მიზეზით არ აძლევენ უფლებას, რომ მშრალი ინფორმაცია დაიდოს. თავის დროზე თიკო ლომიძემ ქართული „ვიკიპედიისთვის“ კომპილაცია გააკეთა და უარი უთხრეს. საკუთარ სამშობლოში, ხომ იცით, არავის აფასებენ, თუმცა, მე რა მეთქმის — ქართველებმა ილია ჭავჭავაძე, მერაბ კოსტავა, ზვიად გამსახურდია და ბევრი სხვა მოკლეს. ასე რომ, არ ვჩივი!

— **კავკასიაში ახალი ომის რისკზე ალაპარაკდით. ამაში საქართველოს რა როლი ექნება?**

— ახლა მსოფლიოში რთული პროცესებია — მესამე მსოფლიო ომის ალბათობა იზრდება. ისე ჩანს, რომ იმპერიებს შორის არსებული დეტენტის პოლიტიკას საფუძველი მოერყა, რაც იმას ნიშნავს, რომ ადრე თუ გვიან, მსოფლიო ომია მოსალოდნელი. იმედი ვიქონიოთ, რომ ეს მალე არ იქნება, თუმცა კავკასიაში ამის საშიშროება დიდია ისევე, როგორც ახლო აღმოსავლეთში, ან რუსეთ-უკრაინაში და სხვაგანაც. დღეს მსოფლიოს გლობალური უსაფრთხოების სისტემაში, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ყველაზე დიდი ნაპრალებია. იმედია, ყველაფერი ეს, ღვთის შეწევნით, დალაგდება, მაგრამ ომის ალბათობა კავკასიაშიც და სხვაგანაც ადრეულზე უფრო დიდია. უფრო მეტიც, ბირთვული ომის ალბათობაც საგრძნობლად არის გაზრდილი. საქართველო უნდა ეცადოს, რომ მშვიდობიანი ნიშა დაიჭიროს გლობალური კატასტროფის მოლოდინში — არ კმარა მხოლოდ პოლიტიკური დეკლარაციები. საქართველო უნდა იყოს მრავალხმიანი მშვიდობის ცენტრი. ეს არის მისი ისტორიული მისია.

— **როგორ ვიაროთ დასავლეთისკენ ისე, რომ არ გავაღიზიანოთ რუსეთი? კონკრეტულად, რა ნაბიჯი უნდა გადაიდგას რუსეთთან ურთიერთობაში და ეს ნაბიჯი რით წაგვადგება? როგორია ჩვენი მომავალი?**

— საქართველოს საგარეო პოლიტიკას გლობალური სამხრეთის პოლიტიკური ვექტორი აკლია. რუსეთიც და დასავლეთიც, პოლიტიკურად, ჩრდილოეთის ნაწილებია, ჩვენ კი სამხრეთელები ვართ. გლობალური სამხრეთი, 6 მილიარდი მოსახლით, ძალიან დიდი ძალაა დღეს და მას სრულ იგნორირებას უკეთებენ ქართველი პოლიტიკოსები. აქედან გამომდინარე, გვჭირდება ინოვაციური პოლიტიკა, რომელიც დაგვაახლოვებს გლობალურ სამხრეთთან. მზე ჩრდილოეთიდან აღარ ამოდის, მომავალი არც რუსეთს ეკუთვნის და გრძელხნიანი გათვლით, არც — დასავლეთს. ახლანდელი ვექტორი არის სამხრეთისაკენ. ჩვენ იქაც უნდა გავიჩინოთ მოკავშირეები. მარტო რუსეთი, ან დასავლეთი ვერაფერს გვიშველის.

— **საერთაშორისო ორგანიზაციებს თუ შეუძლიათ, უფრო მეტად დაგვეხმარონ? თუ ევროკავშირში უვიზო მიმოსვლა დაგვიმტკიცეს, რუსეთი არაფერს მოიმოქმედებს?**

— რუსეთის იმპერია, დიდი ხანია, ლპობის გზაზეა. გლობალურ სამხრეთში მისი იმპერიალიზმი და ექსპანსიონიზმი თანაგრძნობას აღარ იმსახურებს. უფრო მეტიც, გლობალურ სამხრეთს რუსეთის მიმართ არანაკლები პრეტენზია აქვს, ვიდრე — დასავლეთთან. თუ დასავლეთი ამის კომპენსირებას სიმდიდრისა და ეკონომიკური განვითარების ხარჯზე ახერხებს, რუსეთის დამპალი იმპერია უკვე ვეღარც რესურსების ადმინისტრირებას ახდენს. ამიტომაც, ჩვენ კიდევ და კიდევ უნდა ვიფიქროთ გლობალურ სამხრეთზე, როგორც ჩვენს სტრატეგიულ მოკავშირეზე. რუსეთი თუ კარგად არ მოიქცევა, ცოტა ხანში ჩინეთი, ინდოეთი და მუსლიმური სამყარო გადაყლაპავს. ჩვენ კავშირი სწორედ ამ ძალებთანაც უნდა დავამყაროთ, რადგან ცოტა ხანში რუსეთის ადგილას ისინი იქნებიან.



— **ბატონო ირაკლი, საერთო ინტერესებზე ლაპარაკობთ, რაც მშვიდობის, ასე ვთქვათ, გარანტი იქნება. რა საერთო ინტერესები აქვთ, პირველ რიგში, საქართველოს და რუსეთს, ასევე, ოსებს, აფხაზებს, სომხებს და აზერბაიჯანელებს?**

— რუსეთს ჭკუა რომ ჰქონდეს, საქართველოსთან ბევრი საერთო ინტერესი აქვს, მაგრამ სამწუხაროდ, დღევანდელ რუს პოლიტიკოსებს ჭკუა გადაკეტილი აქვთ, თორემ აფხაზეთში, სამაჩაბლოსა და უკრაინაშიც საშინელ საქციელს არ ჩაიდენდნენ.

— **თქვით, „ნაცების“ ჩასარეცხად ახალი ხედვაა საჭიროო. ვის აქვს დღეს ეს ახალი ხედვა? ისე, თავდაცვის სამინისტროში თქვენი მეუღლე ახალი ხედვაა?**

— ახალი ხედვა არის მრავალხმიანი — მრავალჟამიერის ხედვა, შიდა და საგარეო პოლიტიკაში. ეს მთავრობა თუ მოინდომებს, დავუდებთ ნამდვილ ქართულ ხედვას, რომელიც ჩვენი ტრადიციებიდან და ფესვებიდან მოდის, მაგრამ სამწუხაროდ, ეს არ ხდება. ეს ხედვა ჩვენ გვაქვს, ანუ ტრანსცენდ-საქართველოს. ეს მეცნიერულად დასაბუთებული ხედვაა.

პირად საკითხებზე შეკითხვებს არ ვპასუხობ. მგონია, რომ სერიოზული გამოცემა ხართ და ყვითელი ფურცლები არ გაქვთ. ვპასუხობ კითხვებს მხოლოდ საკუთარი სახელით.

— **„ოცნებამ“ „ნაცების“ მიერ ქვეყანაში დაწყებული პოლიტიკური დევნა ხელისუფლებაში მოსვლისთანავე შეწყვიტა, თუმცა ახლა თვითონ იგივეს იწყებს. ყოველ შემთხვევაში, საქართველოდან ირაკლი კორძაია, როგორც თვითონ ამბობს, დევნის გამო წავიდა. ამაზე რას ფიქრობთ?**

— ხელისუფლება, გარკვეულწილად, ღარიბაშვილმა და თამაზაშვილმა გახადეს „ზონდერების“ თავშესაფარი’ და ამის გამოსწორებას უნდა მოანდომოს მთელი თავისი ენერგია. დიახ, ბევრი შეკითხვაა დღეს ღარიბაშვილის მიმართ. იმედია, ის შეძლებს პასუხების გაცემას!

— **რიგაში, სადაც პრემიერი ღარიბაშვილიც იმყოფებოდა, მიხეილ სააკაშვილი ოფიციალურად იყო მიწვეული. რა ხდება, ბატონო ირაკლი, თქვენი გათვლით, მოვლენები როგორ განვითარდება?**

— წინასწარი გათვლებისა და მკითხაობის სპეციალისტი არ ვარ!

— **პრემიერისა და პრეზიდენტის მოღვაწეობას როგორ აფასებთ?**

— გიორგი მარგველაშვილი, ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების შემდეგ, საქართველოს საუკეთესო პრეზიდენტია! ჯერჯერობით ასეა და იმედი მაქვს, ბოლომდე ასე იქნება — ის ისტორიული ფიგურა გახდება!

რაც შეეხება ღარიბაშვილს, მისი იმედი ძალიან მქონდა და ყველაფერი გავაკეთე, რომ დავხმარებოდი. მთლიანად ვთანამშრომლობდით და ვეხმარებოდით, მაგრამ ჩვენს რჩევებს დაგეშილი პოლიცაელების რჩევები და „ზონდერების“ თავშესაფრის გაკეთება არჩია. ამით გული ძალიან დაგვწყვიტა. ირაკლი კორძაიას პოზიციას ვიზიარებ — ბესო ხარძიანის და იური ვაზაგაშვილის მკვლელობების მერე სრულიად გაწბილებული ვარ ღარიბაშვილით. მთავრობაში, მის გარდა, ბევრი ღირსეული ადამიანია. მას, ეტყობა, გამოცდილება არ ჰყოფნის. იმედი მაქვს, ვცდები.

— **„ფეისბუქზე“ დაწერეთ, თუ გინდა მშვიდობა, მშვიდობისთვის უნდა ემზადო და არა — ომისთვისო. გვაქვს თუ არა იმის ფუფუნება, რომ მშვიდობისთვის ვემზადოთ და ომზე არ ვიფიქროთ?**

— ფუფუნება კი არა, ეს არის ერთადერთი სწორი გზა — არაძალადობა. ძალადობით ძალადობას მოვიმკით და წავაგებთ კიდევ ბევრჯერ.

— **ისე, 2008 წლის ომი გარდაუვალი იყო, ბატონო ირაკლი თუ მიშა პროვოკაციას წამოეგო?**

— მიშას ეს ომი საკუთარი ძალაუფლების გამტკიცებისათვის სჭირდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთმა ომი 200 წლის წინ დაიწყო, მიშამ 2008 წლის ომი საკუთარი ძალაუფლებისთვის გამოიყენა.

— **ბატონო ირაკლი, უფლებადამცველი ხართ. იანვარში, ერთ-ერთ აქციაზე ხალხს მოუწოდეთ, „ნაცებს“ სახლში შეუვარდეთ და გავუსწორდეთო. ეს გამართლებულია?**

— ეს დამახინჯებული ვერსიაა. მე ვთქვი, რომ ხელისუფლებამ თუ არ ივარგა, ხალხი თავის ხელში აიღებს ხელისუფლებას და თვითონ აღასრულებს სამართალსმეთქი. ეს იმას ნიშნავს, რომ ცუდი ხელისუფლება რევოლუციას უბიძგებს და მერე, ხალხი ახლებურ სამართალს ამყარებს. სახლში შევარდნასთან ამას არანაირი კავშირი არა აქვს. ხელისუფლებამ ხალხი არ უნდა გაამწაროს, თორემ პირველ რიგში, ეს ხალხი მას ემუქრება. ყველა სოციალური და პოლიტიკური თეორია ამაზე ლაპარაკობს. „ნაცისტების“ ასეთი განავარდება მთლიანად ამ ხელისუფლების დამსახურებაა და ახლა უკვე ეს ხელისუფლებაც ინაწილებს პასუხისმგებლობას „ნაცისტების“ დანაშაულზე.

**ესაუბრა ბექა ლიბრაძე**

ქართული იდეა
ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

უმრავლესობის ტრიბუნა

# ელისო ჩაფიძე: „ანონიმური წყაროს მსხვერპლი გავხდი... კონკრეტულ პირებს დავასახელებ!“



**ე.წ. თბილისის პარლამენტში ბოლოს კარგა ხნის წინ ვიყავი. მაშინ დაცარიელებული, თვალებდათხრილი, გაძარცვული შენობა ზამთრის მოლოდინში იყო. დღეს კი, რემონტის ბოლო შტრიხების მიუხედავად, სიცოცხლე ჩქეფს. ისე, თბილისსა და ქუთაისში განთავსებული პარლამენტი „ცისფერი მთების“ ასოციაციას იწვევს... მოკლედ, ტყიბულის მაჟორიტარ დეპუტატს, ჩემს კოლეგა ელისო ჩაფიძეს „თბილისის პარლამენტში“ ვესტუმრე...**

## „პოლიტიკოსო ელისო, ჟურნალისტობის დროს ხმამაღლა რომ გაჰყვიროდი, ახლა რას გაჩუმებულხარ?!“

**— ელისო, ტელეფონზე რომ დაგირეკეთ, სიტყვა პარლამენტთან დაკავშირებულ კურიოზებზე ჩამომიგდეთ...**

— პარლამენტის ორი შენობის გამო კურიოზები, მართლაც, არ გვაკლია. ერთხელ, ტელეფონით გაჭირვებული ქალბატონი მესაუბრა — შვილის გამო პრობლემები ჰქონდა. მერე, მომაკითხა, საშვი დავუშვი, მაგრამ როცა ჩემი წარმომადგენელი დაბლა ჩავიდა, აღმოჩნდა, რომ ქალბატონი ქუთაისის პარლამენტის წინ იდგა. მეორედ, ინტერვიუზე ერთი ტელეკომპანიის ჟურნალისტს შევუთანხმდი, ვდგავარ ქუთაისის პარლამენტის ეზოში, ტრიალ მინდორში. ამ დროს კი, ჟურნალისტი თბილისში, ჩიტაძის ქუჩაზე მელოდებოდა.

კურიოზები იქით იყოს და, მთავარი მაინც ორი შენობის შესანახად გაწეული ხარჯებია, კი ბატონო, კეთილშობილები ვართ, ქუთაისი გვიყვარს და ამ კერას არ ვშლით, მაგრამ უახლოეს მომავალში პარლამენტში ისეთი პოლიტიკური ძალა ვერ წარმომიდგენია, რომელიც კონსტიტუციას შეცვლის.

**— პარლამენტის ორი შენობა ხელს მუშაობაშიც გიშლით?**

— პარლამენტში პერსონალური კომპიუტერი მაქვს, რომლით სარგებლობაც მხოლოდ თბილისში ყოფნისას შემიძლია. ქუთაისში კორესპონდენციებსაც ვერ ვიღებ. მოვალე ვარ, სამ კვირაში ერთხელ, საკუთარ ამომრჩეველს ვეწვიო და პერსონალურ მონაცემებთან წვდომა არც ამ შემთხვევაში მაქვს.

**— ელისო, სიტყვამ მოიტანა და, მაჟორიტარული სისტემის გაუქმებას მხარს უჭერთ?**

— მაჟორიტარულ სისტემაზე, ბუნებრივია, ბევრი პრეტენზია მაქვს. წარმოიდგინეთ ჩემი, როგორც ტყიბულის მაჟორიტარი დეპუტატის მდგომარეობა: უფლება მაქვს, ხალხს შევხვდე და მოვუსმინო, ამ პრობლემების მოგვარება კი, ჩემს „მარიფათსა“ და პირად კავშირებზეა დამოკიდებული. სხვა საქმეა, თუკი მაჟორიტარს ბიზნესი — ვთქვათ, საკუთარი ბანკი აქვს და ადამიანებს ეხმარება...

**— ზოგიერთი რაიონის მოსახლეობა ჩივის, რაც ავირჩიეთ, მაჟორიტარი დაგვეკარგაო.**

— ტყიბულელებს ჩემთან კომუნიკაციის პრობლემა არასდროს ჰქონიათ. სხვათა შორის, დემოკრატიულ ქვეყნებში მაჟორიტარებს ომბუდსმენის ფუნქციები აქვთ... ხშირად ამბობენ, რომ ტყიბულის რაიონში ბევრ ოჯახს სოციალური დახმარება მოეხსნა — მართალია, 250 მოქალაქეს დახმარება გაუორმაგდა, მაგრამ სხვები ამის გარეშე დარჩნენ.

**— ეს როგორ?**

— ბევრმა ოჯახმა, ხელახალი გადამოწმების საფუძველზე, სათანადო ქულები ვერ დააგროვა. ერთ ასეთ შემთხვევაზე გიამბობთ: დედამ შვილი მიატოვა და ამის გამო ოჯახს სოციალური დახმარება შეუწყვიტეს. ბავშვს დოკუმენტაცია არ აქვს, ვცდილობთ, დავამტკიცოთ, რომ ეს ბავშვი ამ ოჯახში ნამდვილად ცხოვრობს... ასეთ დროს ბებიას დახმარება კი არ უნდა მოუხსნა, არამედ, გაუზარდო.

**— ესე იგი, ტყიბულის სოციალური სააგენტო სათანადოდ ვერ მუშაობს?**

— ასობით წერილი დამიგროვდა, ადამიანები დახმარებას ითხოვენ, სოფლებში, მოსახლეობის მონახულების მერე, ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, რომ სოცსააგენტოს თანამშრომლები ოჯახებში საერთოდ არ არიან ნამყოფნი. ასეთ დროს მაჟორიტარის რეკომენდაციები ისე უნდა იქნეს მიღებული, როგორც — სახალხო დამცველის. სხვა შემთხვევაში, მაჟორიტარი ფულის ტომარა უნდა იყოს, რომ დახმარება შეეძლოს. სამწუხაროდ, ამ თემაზე უკმაყოფილებას მას მერე გამოვთქვამ, რაც ტყიბულში სააგენტო შეიქმნა. სააგენტო ქულებს პოლიტიკური მიდრეკილებისა და მოტივაციის მიხედვით არიგებდა. ეს ტენდენცია, სამწუხაროდ, შენარჩუნებულია. არ გამოვრიცხავ, რომ დადგება დრო, როცა კონკრეტულ პირებს დავასახელებ, რომლებიც სოცსააგენტოში მოკალათებულ კადრებს მფარველობდნენ!

**— რევოლუციურ განწყობას, როგორც წესი, სწორედ სოციალური უსამართლობა ქმნის ხოლმე...**

— ადამიანებს უსამართლობა არ უნდა დაანახო! როცა მეზობელი ხედავს, რომ დისკრიმინირებული პოლიტიკური შეხედულებების გამოა, უსამართლობის განცდა ძლიერდება.

...წინასაარჩევნოდ, ზოგ მაღალმთიან სოფელში ამომრჩეველთან შესახვედრად, მანქანას ყველანი ერთად ვაწვებოდით, დღეს კი, ტყიბულის ნებისმიერ სოფელში დაუბრკოლებლად მიხვალთ — ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან ერთობლივი მუშაობის შედეგად, სოფლებში გზები შეკეთდა. ეს პროცესი ქალაქშიც მალე დამთავრდება.

**— მაშასადამე, ტყიბულში „ნარმანიას სახელობის ორმოები“ არ არის?!**

— არა... სხვათა შორის, დავით ნარმანია, ინფრასტრუქტურის მინისტრის რანგში, დაკისრებულ მოვალეობას თავს შესანიშნავად ართმევდა და შეზღუდული ფინანსური შესაძლებლობების ფარგლებში, ტყიბულის რაიონისთვის ყველაფერი გააკეთა. სოფელ მუხურას ცენტრამდე მისასვლელი მობეტონებული გზაც მისი დამსახურებაა. არ ვიცი, თბილისელები ნარმანიას საქმიანობას როგორ აფასებენ, მაგრამ დათო კარგი მენეჯერია. მთავარია, საბოტაჟი, ხელის შეშლა არ მოხდეს.

**— ტყიბულის მაჟორიტარი დეპუტატი ელისო ჩაფიძე, გზების გარდა, კიდევ რითი ამაყობს?**

— ყველაზე მეტად ის მახარებს, რომ წელს, ტყიბულში საცურაო აუზი აღდგება. გარდა ამისა, სპორტის სასახლის რეაბილიტაციაც დასრულდება — საბჭოთა პერიოდში, უნიკალური მოზაიკით ნაშენები სპორტის სასახლე, თბილისის მერე, მთელ საქართველოში საუკეთესო იყო და დიდი ტურნირებიც იმართებოდა. მიწასთან გასწორებული ორივე ობიექტი მალე ფუნქციონირებას დაიწყებს.

ხშირად მეჩვენება, რომ ზოგ ოპონენტს დავალება და სტრატეგია აქვს, რომ კარგი საქმის დისკრედიტაცია მოახდინოს და საზოგადოება შეცდომაში შეიყვანოს... ისე, მინდა, სამუშაოები ქართული კი არა, გერმანული სიზუსტით შესრულდეს!

**— ელისო, „ქართული სიზუსტით“ შესრულებული საქმე როგორია?**

— 2006 წელს, ჩემს მშობლიურ მაღალმთიან სოფელ მუხურაში სკოლა ააშენეს, რისთვისაც მიხეილ სააკაშვილის მადლობელი ვარ. განათლების მაშინდელი მინისტრი, კახა ლომაია სკოლების რეორგანიზაციაზე გადაწყვეტილებებს ისე იღებდა, რომ ნამყოფი სოფლებში კი არა, ტყიბულშიც არ იყო. შესაბამისად, წარმოდგენაც არ ჰქონდა, რომ სოფელში, სადაც ექვსი თვე თოვლია, ავტობუსები ხუთ კილომეტრზე ვერ ივლიდნენ. მაშინ ჟურნალისტი გახლდით, სოფელში ხელმოწერები შევაგროვეთ, რომ სკოლა არ გაუქმებულიყო და თემას ვრცელი სტატია მივუძღვენი. მთავრობამ სკოლის ასაშენებლად 600 ათას ლარზე მეტი გამოყო... წელს, უკვე ამორტიზირებული შენობის დოკუმენტები მოვითხოვე, მაგრამ განათლების რესურსცენტრში ვერაფერი ვიპოვნე, რადგან შენობის მიღება-ჩაბარების აქტიც არ არსებობს. „ნაცმოძრაობა“ აი, ასე აშენებდა.

ახლახან, თეთრიწყაროს რაიონში, სოფელ სამღერეთში სამსართულიანი სკოლა გავხსენით, მკვიდრი ნაგებობაა, რომელსაც მრავალი წლის განმავლობაში მხოლოდ გაფრთხილება და დალაგება დასჭირდება.

**— სამღერეთის სკოლა გერმანელებმა ააშენეს?**

— არა, ქართველებმა, მაგრამ კარგად. სულ ასეთი ხარისხით უნდა ვაშენოთ, ეს ხომ ჩვენი ქალაქები და სოფლებია! ცუდად ნაშენები შენობებისგან საფრთხე შეიძლება, ნებისმიერ ჩვენგანს შეექმნას!

**— „ოცნებას“ საკუთარი საქმეების გახმოვანება, ანუ პიარი უჭირს. რატომ?**

— „ნაციონალურ“ ტელევიზიებსა და საინფორმაციო საშუალებებს მოვლენების შერჩევითი გაშუქება ახასიათებთ, მაგრამ პრობლემას უფრო იმ ადამიანებში ვხედავ, რომლებიც ზეგავლენის ქვეშ ადვილად ექცევიან... მეჩვენება, რომ მედია ისტერიული გახდა — როგორც ქალსა და მოქალაქეს, აგრესიული თემების ნიაღვარი მაწუხებს. რაღაც სიკეთისკენ უნდა შემოვაბრუნოთ! მედიის პრობლემები ქვეყნის პრობლემების კვალდაკვალ ვითარდება. მახსოვს, როცა ქვეყნიდან პროფესიულ ტრენინგებზე გავდიოდი, შინ დამშვიდებული ვბრუნდებოდი. ყოველდღიური სტრესული ინფორმაცია ადამიანებში სიმშვიდესა და მომავლის იმედს კლავს!

**— ელისო, პრემიერი ღარიბაშვილიც პრესკონფერენციებზე ჟურნალისტებს იგივეს გვეუბნება, თქვენ ქმნით სრულ ქაოსსა და აბსოლუტურად განსხვავებულ რეალობასო...**

— ხშირად რეალობის განსხვავებულად ასახვა ხდება. დიდაქტიკური ტონით არ ვისაუბრებ, მაგრამ ბევრი ანგაჟირებულობას არ უნდა კადრულობდეს. ერთ ცნობილ არხზე, ერთ-ერთ გადაცემაში ჩემთვის ნაცნობი პიროვნება ჰყვებოდა, თუ როგორ შეუწყდა სტუდენტის სტატუსი გადასახადის გადაუხდელობის გამო. არადა, ძალიან კარგად ვიცი, რომ უფასო ფაკულტეტზე სწავლობდა. როცა ჟურნალისტი სიუჟეტს ამზადებს, ინფორმაცია უნდა გადაამოწმოს — ეს ელემენტარული ჭეშმარიტებაა. სიმართლე გითხრათ, მეც გავმხდარვარ ანონიმური წყაროს მსხვერპლი. ამიტომ, როცა რამეს ვგეგმავ, გახმოვანებისგან თავს ვიკავებ — ვიცი, რომ ვიღაც, ან რაღაც ხელს შემიშლის.

**— მაინც, ვინ ვიღაც?**

— პოლიტიკური ოპონენტები, რომელთა გეგმებში ჩემი გაკეთებული საქმეები არ შედის. სამწუხაროდ, ზოგჯერ ეს საზოგადოების რჩეული ადამიანები არიან.

**— ჩინოვნიკებისა და მედიის დამოკიდებულებაზე რას იტყვით?**

— ჟურნალისტობისას ის, რაც ჩემს მიმართ ზოგმა ჟურნალისტმა იკადრა, არასოდეს მიკადრებია! საბედნიეროდ, ქართული მედია ასეთი არ არის, ის მაღალზნეობრივი და პატრიოტულია. გამოგიტყდებით და, დღესაც ჟურნალისტები უფრო მიყვარს, ვიდრე — ყველა პოლიტიკოსი ერთად აღებული იმიტომ, რომ ჟურნალისტობა კეთილშობილური პროფესიაა და მედიაში მომუშავენი, დაბალი ანაზღაურებით და ძალიან ცუდ პირობებში, საზოგადოებისთვის საჭირო საქმეს აკეთებენ.

**— თქვენი დაკვირვებით, ჩვენი ე.წ. ყვითელი პრესა სხვა ქვეყნების „ყვითელი პრესისგან“ განსხვავდება?**

— „ყვითელი პრესა“ ყველა ქვეყანაში კანონმორჩილია და სიბინძურეების დაბრალებისთვის პირს შესაძლოა, სერიოზული ფინანსური პასუხისმგებლობაც დაეკისროს, რაც პატიმრობაზე გაცილებით უფრო ძნელია. მე, როგორც მოქალაქე ელისო ჩაფიძე ცილისწამებისთვის პასუხს მოვითხოვდი, მაგრამ რახან პოლიტიკაში ვარ, თმენის ვალდებულება მაიძულებს, გავჩუმდე. გადავწყვიტე, ბოლომდე ასეთი თმენით მივიდე.

**— კონკრეტული პირის მიმართ წყენას გულისხმობთ?**

— არ დავაკონკრეტებ, მაგრამ არიან ადამიანები, რომლებიც ჩემს დისკრედიტაციას ცდილობენ.

**— პარლამენტში, ჩხუბისას, ქალბატონები მანდილის ჩაგდებას რატომ ვერ ახერხებთ? ისე, მახსოვს, ეროვნულ სამოსზე კანონი მიიღეთ...**

— (იცინის) პარლამენტში ასეთი აქსესუარით კი დავდივარ ხოლმე. პარლამენტი გამოხატვის თავისუფლების კანონზე მუშაობს... პოლიტიკური დებატებისას, ბევრი სიბინძურის მოსმენა გვიხდება. თავისუფლების სტანდარტი რომ შევზღუდოთ, ეს ძალიან ცუდად იქნება აღქმული. მთავარია, ხალხმა ცუდ რიტორიკასა და ცილისწამებას სწორი შეფასება მისცეს. ამ შემთხვევაში, საქართველოს ევროპული არჩევანი უფრო მაფიქრებს — ოღონდ დასავლეთისკენ გზა გაგვეხსნას და მირჩევნია, ყველა ცილისწამება ავიტანო! დავფიქრდეთ, ვიდრე წვრილმანებზე დავხურდავდებით. ევროპასთან საზღვრების გახსნა უფრო მნი-

გაგრძელება მე-11 გვ.

## უმრავლესობის ტრიბუნა

მე-10 გვერდიდან

შვნელოვანია, ვიდრე — ერთი სკანდალური სტატია.

— **ამბობენ, კოალიცია „ქართული ოცნება“ იშლებაო?**

— ასე რატომ ფიქრობთ?

— **„თავისუფალი დემოკრატები“ ოპოზიციის გზას დაადგნენ, კულუარებში ხშირად „ოცნების“ ლიდერთა დაპირისპირებებზე ლაპარაკობენ...**

— ნორმალური პროცესია, მაგრამ ხშირად უსაფუძვლოა ეჭვები. თამარ კორძაიაზეც გაავრცელეს დეზინფორმაცია, „რესპუბლიკურ პარტიაში“ გადადისო. პარტია რთული სტრუქტურაა, ვნახოთ, გამოწვევებს ვინ გაუძლებს და ვინ სხვა პლატფორმისკენ გადაიხრება.

— **ბიძინა ივანიშვილის ერთგულებაზე უარი ბევრმა თქვა?**

— პირადად მე, უარის თქმას არ ვაპირებ. მთელი ცხოვრება, ამ ადამიანის მიმართ პატივისცემის გრძნობა არ გამიქრება. 2011 წლის დეკემბერში, იმედი არ იყო, რომ ქვეყანაში რაიმე შეიცვლებოდა, მაგრამ სტიმული გაჩნდა. ქვეყანა სწორი გზით ვითარდება და ამას ყვირილი არ სჭირდება. ხე ნაყოფს წლების მერე გვაძლევს, დარწმუნებული ვარ, ხალხი ამას სათანადოდ შეაფასებს. წინასაარჩევნო პერიოდი უფრო რომანტიკული იყო, პრობლემები თანდათან გაჩნდა, მაგრამ პარტიული კუთვნილება ადამიანთა ბუნებას არ ცვლის. რაც გვაქვს, იმ ადამიანურ რესურსებს უნდა გავუფრთხილდეთ. დღეს მოსახლეობას სტაბილურობის შეგრძნება აკლია. ორი რამ, რაზეც სახელმწიფომ უნდა იმუშავოს, განათლება და დასაქმებაა. პირველადი მოხმარების საგნებზე პროდუქციის წარმოება შესამჩნევად გაზრდის მოქალაქეების შემოსავალს. დიდ პატივს ვცემ ჩინეთს, როგორც ჩვენს სავაჭრო პარტნიორს, მაგრამ ბევრი რამ, რაც ამ ქვეყნიდან შემოგვაქვს, შეგვიძლია, თავადაც ვაწარმოოთ. 2050 წლისთვის, მსოფლიო სასურსათო კრიზისისთვის ემზადება, ამ დროისათვის საქართველო ძლიერი აგრარული ქვეყანა უნდა იყოს, რომ მხოლოდ საკუთარი თავის გამოკვება კი არა, პროდუქციის გარეთ გატანაც შეეძლოს.

— **ჰო, მართლა: ახლახან, პარლამენტში, გენმოდიფიცირებული სოიოს გამო კამათობდით. რაო, რა დასკვნამდე მიხვედით?**

— გენმოდიფიცირებული პროდუქციის წინააღმდეგ ბევრი ქვეყანა გამოდის... მახსოვს, რა ამბავი ატყდა „ნაციონალების“ დროს გენმოდიფიცირებული სიმინდის გამო — წყალში ჩაიყარა გლეხის ფულიც და შრომაც.

— **წელან არასტაბილურობაზე საუბრობდით. რომან გოცირიძემ თქვა, ლარი „ოცნების“ მესაფლავე გახდაო...**

— რომან გოცირიძეს დიდ პატივს ვცემ, მაგრამ როგორც ჩანს, „ოცნება“ არ უყვარს, თორემ გულშემატკივრის პოზიციიდან ისაუბრებდა. მისი ეროვნული ბანკის პრეზიდენტობის დროსაც არ იყო კუპონი და ლარი კარგ მდგომარეობაში. ლარის კურსი საქილიკო თემა არაა. მჯერა, რომ ეს საგარეო ფაქტორებით გამოწვეული პრობლემაა და უახლოეს პერიოდში დარეგულირდება.

— **ელისო, მოდით, „ენ-დი-აი“-სა და „აი-რა-ის“ კვლევებზეც ვისაუბროთ. ეს ორგანიზაციები წყალს ვის წისქვილზე ასხამენ?**

— სოციალურ ქსელში აქცია იყო, სადაც მოქალაქეები ამ შეკითხვას სვამდნენ. ჩემს ათასობით მეგობარსა და მხარდამჭერში ვერავინ ვიპოვნე, ვინც ამ კვლევაში მონაწილეობდა. სოციოლოგიური მეცნიერება ამბობს, რომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს, შეკითხვას ვინ, როგორ, რა ინტონაციით და ფორმულირებით სვამს. როცა ევროკავშირს და მის ინსტიტუტებს ერთმანეთისგან პოლიტიკოსებიც კი ვერ არჩევენ, შეცდომას, ბუნებრივია, შორ სოფელში მცხოვრები, თუნდაც განათლებული ადამიანებიც უშვებენ. ზოგს გარკვეული იმედგაცრუებებიც აქვს და, შესაბამისად, „ოცნებამ“ მხარდამჭერები დაკარგა, მაგრამ გამოწვევებს უნდა გავუძლოთ, ვინც ჩვენს გვერდით ჭირში იყო, ლხინშიც იქნება. პრობლემების გადალახვას კი, დრო სჭირდება.

— **ოპონენტები გსაყვედურობენ, გახმაურებულ მკვლელობებზე შედეგები დღემდე ვერ დადესო. დაპირებული სამართლიანობის აღდგენა სადაა?**

— ამ საქმეში სამოქალაქო ჩართულობას დიდი მნიშვნელობა აქვს. სამართლიანობის აღდგენა საიდან უნდა დაიწყოს? — საბჭოთა პერიოდიდან მოყოლებული, პროტესტს ბევრი რამე იწვევდა. საბჭოური სახელმწიფოს დანგრევის მერე, ბევრმა ნაძარცვი ქონებით ხელი მოითბო და დიდი ფულის პატრონი გახდა. წლების განმავლობაში, ქართული პოლიტიკა სწორედ ასეთი ადამიანების ზეგავლენით კეთდებოდა. იმედი მაქვს, ქართულ პოლიტიკაში ახალი თაობა სუფთა ხელებით, წარსულით, ადამიანებით მოვა და უფრო წარმატებული იქნება. დღეს, მგონია, რომ საზოგადოებრივ ურთიერთობებსა და ადამიანის პატივისცემას, შებრალებას კანონი დაარეგულირებს. სამწუხაროდ, წლების განმავლობაში, ადამიანების საქციელს სათანადო ორგანოების მიერ მათზე დაგროვილ-შეკრებილი კომპრომატები განსაზღვრავდა.

— **მომავალი საარჩევნო კამპანია ივანიშვილის გარეშე ჩატარდება, „ოცნებას“ ეს პროცესი როგორ წარმოუდგენია?**

— თუ ვიტყვი, რომ მომავალზე არ მიფიქრია, გულწრფელი არ ვიქნები.

— **პარლამენტარობისთვის 2016-შიც იბრძოლებთ?**

— თუ ჩავთვლი, რომ ეს ეტაპი და სტადია ამოვწურე, ვეცდები, ახალი მიზანი დავისახო. 2011 წლის 31 დეკემბერს ვერ ვიფიქრებდი, რომ პოლიტიკაში წავიდოდი. რამდენიმე პროექტი და ავსტრიიდან მოწვევა მქონდა. სწორედ ამ დროს ბატონი ბიძინასგან შეთავაზება მივიღე. დიდხანს ვიფიქრე.

— **რატომ?**

— როცა მთელი ცხოვრება შენს პროფესიაზე ფიქრობ და ემსახურები, ორჭოფობ, შიშობ, გგონია, რომ სულ სხვა სამყაროში მოხვდები. არანაირი ტიპის ვაჭრობა არ მიკადრეობა, რახან გადაწყვიტე, ნებისმიერი სამუშაოს შესასრულებლად მზად ვიყავი. ვფიქრობდი, რომ იმ ეტაპზე პოლიტიკაში ახალი ძალის გამოჩენა ქვეყნის გადასარჩენად მნიშვნელოვანი იყო. მიზანი დავისახე და არჩევნებში „ნაციონალური მოძრაობის“ ოდიოზურ ფიგურას, პავლე კუბლაშვილს მოვუგე. მშობლიურ ქალაქში დედა და ახლო ნათესავები მყავს, გარშემო უამრავი მეგობარია, მაგრამ ჩემს წარმატებას, საარჩევნო ხმებს დედას ვუმადლი, რომელიც დღეს სოფელ მუხურაში ცხოვრობს. მან ყველაფერი გააკეთა, რომ ობლად დარჩენილი შვილები გზაზე დავეყენებინეთ.

— **ზოგი დღესაც გაჰყვირის, ქართველი ქალი ნაცარში უნდა იჯდეს და შვილებს ზრდიდესო... თქვენ აქტიური გზა აირჩიეთ.**

— ქართველმა ქალებმა საკუთარ მხრებზე დიდი ტვირთი აიღეს და ქვეყანა გადაარჩინეს.

— **ხაჭაპურს აცხობთ?**

— ჩემთვის საჭმლის მომზადება დიდი სიამოვნებაა. სტუდენტობისას არაფრის კეთება ვიცოდი — ან ქვაბს ვწვავდი, ან საჭმელს, ან ხელს ვიწვავდი. მერე, ყველაფერი ვისწავლე, მაგრამ ხშირად ჭამისთვისაც ვერ ვიცლი.

— **საზოგადოებაში სტერეოტიპები ელვისებურად იმსხვრევა. 2013 წლის 17 მაისის მოვლენებს დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა...**

— აზროვნების რადიკალიზაცია მაღიზიანებს. გამაღიზიანებელია, როგორც თავგამოდებული მორწმუნეების საქციელი — მათი მორწმუნეობა სხვებს თვალში რომ ეჩხირება და, მეორეს მხრივ, იმ ადამიანთა საქციელი, რომლებიც ცდილობენ, გამორჩეულობას ხაზი აუცილებლად გაუსვან, ივაჭრონ და ქულები დაიწერონ. ყველას თავისი ცხოვრების წესი აქვს და ნურავის აიძულებ, რომ შენი განსხვავებულობა ნორმად აღიქვას. ხარ მორწმუნე და ჩემი გადარჩენისთვის ლოცულობ? — ილოცე, მაგრამ ეს ლოცვა ტაძარში აღავლინე და არა — სოციალურ ქსელში. საქართველოში ნაკლები ტოლერანტობაა, რისგანაც ყველა ვიტანჯებით.

— **ელისო, მოდით, ისევ თქვენი მშობლიური ქალაქის პრობლემებს დავუბრუნდეთ. ტყიბულის ქვანახშირი ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრეა, რაც ჩვენს დანგრეულ ეკონომიკას, უდავოდ, წაადგებოდა...**

— 90-იან წლებში, ტყიბულის ნახშირის წარმოება სრულად განადგურდა და „დიდი დეპრესიის“ პირობებში, სპეციალისტები ქვეყნიდან გავიდნენ. 2006 წელს, ტყიბულის ქვანახშირი კერძო მფლობელობაში გადავიდა. ცამეტ-მეგავატიანი თბოელექტროსადგური, როგორც სჩვეოდათ, „ნაციონალებმა“ ნაჩქარევად, ფართხაფურთხით ააშენეს. ამბობდნენ, როცა მიხეილ სააკაშვილმა პულტს ხელი დააჭირა, დიდი ალბათობით, თბოელექტროსადგურის აფეთქება მოსალოდნელი იყო.

— **ტყიბულის მაღაროები მართლა ბეჟუაშვილების საკუთრებაა?**

— დიახ, ასეა, მათ შორის, შახტებიც ბეჟუაშვილების საკუთრებაა.

— **ქვანახშირი სრული დატვირთვით რატომ არ მოიპოვება. ეს ბიზნესი მომგებიანი არაა?**

— ამბობენ, რომ ეს უფრო სოციალური პროექტია, ვიდრე — დიდი ბიზნესი. არ მინდა დავიჯერო, რომ ადგილი აქვს საბოტაჟს, რადგან მაღაროებში მომუშავეებს წარამარა ამცირებენ, ხელფასს უკლებენ. იზრდება უკმაყოფილება — კადრების შემცირება პოლიტიკური ნიშნით ხდება. ხმასაც კი ავრცელებდნენ, რომ ტყიბულის ქვანახშირი უვარგისია. არა, ბატონო, ნედლეული ვარგისიანია. დღეს ტყიბულის ქვანახშირი კერძო საკუთრებაა და მის მართვაში ჩარევა არაკანონიერია. საინვესტიციო ფონდისა და კომპანია „ჯი-აი-ჩი“-ს დაგეგმილი აქვს ერთობლივი პროექტი — ახალი თბოელექტროსადგურის აშენება. მოპოვებული ქვანახშირით შეგვიძლია, ტყიბულის მაღალმთიანი სკოლები გავათბოთ, რაც გაზზე გაცილებით იაფი დაჯდება. ასე რომ, ეფექტური მენეჯმენტის პირობებში, ბუნებრივი სიმდიდრე, რომლის მარაგიც ჯერჯერობით უზარმაზარია, ეროვნულ ინტერესებს მოემსახურება.

— **ანუ, ტყიბული გამდიდრდება?**

— დარწმუნებული ვარ, ჩემი ტყიბული მდიდარი ქალაქი გახდება, მთავარია, შეცდომები არ გავიმეოროთ და აშენებულს, არსებულს გავუფრთხილდეთ. თუნდაც ერთი უმუშევარი და ულუკმაპუროდ დარჩენილი ოჯახის ფასად, პოპულარობა და პოლიტიკური კარიერა არაფრად მიღირს!

— **რას ჰკითხავს ჟურნალისტი ელისო ჩაფიძე პარლამენტარ ელისო ჩაფიძეს?**

— ელისო, რაც გსურდა ყველაფერი გააკეთე?

— **ბანალური შეკითხვაა...**

— (იცინის) პარლამენტარ ელისო ჩაფიძეს ვკითხავდი: პოლიტიკოსო ელისო, ჟურნალისტობის დროს ხმამაღლა რომ გაჰყვიროდი, ახლა რას გაჩუმებულხარ?!

— **და პასუხი რა იქნებოდა?**

— მოდით, ამ კითხვის პასუხი შემდეგი ინტერვიუსთვის გადავდოთ.

— **წარმატებებს გისურვებთ!**

**ესაუბრა ნათია გოგიტიძე**



№ 21 (285)
27 მაისი 2 ივნისი 2015
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

საზოგადოება

# „მიგვიფურთხებია კულტურის ასეთი სამინისტროსთვის!“

**ვიდრე „ცირკის მოღვაწეთა კავშირის“ თავმჯდომარეს, გოჩა ხარატიშვილსა და მის პირველ მოადგილეს, ოლეგ თავაძეს არ შევხვდი, ქართულ ცირკზე ბევრი არაფერი ვიცოდი... მართალია, პატარ-პატარა დასი ადრეც არსებობდა, მაგრამ ქართული ცირკი დასაბამს მაინც მე-19 საუკუნიდან იღებს. მის ფუძემდებლად კი, რომან გამსახურდია ითვლება, რომელიც მოსკოვის ცირკში გამოდიოდა და დიდი გამოცდილება ჰქონდა. თავდაპირველად ცირკი მელიქიშვილის ქუჩაზე, ხის შენობაში განთავსდა. მე-20 საუკუნის 30-იან წლებში, რომან გამსახურდიამ, ლავრენტი ბერიასთან შუამდგომლობით, ცირკი გმირთა მოედანზე გადმოიტანა. ცირკის ქართული დასი კი, 50-იან წლებში შეიქმნა და ამაში დიდი წვლილი კულტურის იმდროინდელ მინისტრს, აკაკი დვალიშვილს მიუძღვის. ქართული დასის ჩამოყალიბების შემდეგ, ქართული ცირკის წარმატებაში მონაწილეობა ბევრმა ცნობილმა ადამიანმა მიიღო.**

## „ცირკის მოღვაწეთა კავშირი“ საპროტესტო აქციებით იმუქრება

**გოჩა ხარატიშვილი:** — სსრკ-ს დროსაც, ცირკს სახელმწიფოსგან მიზერული დაფინანსება ჰქონდა, რადგან წარმოდგენებიდან მიღებული შემოსავალი, საშუალებას გვაძლევდა, ჩვენი თავი ჩვენვე შეგვენახა. 90-იან წლებში დაფინანსებას ძალიან მცირე ხნით ვიღებდით, მერე, ესეც შეწყდა. 2004 წელს კი, ცირკის შენობა ბადრი პატარკაციშვილმა იყიდა.

**— ცირკი რატომ გაიყიდა?**

— შენობას, უსახსრობის გამო, ვერ ვუვლიდით და ნელ-ნელა ზიანდებოდა. ცირკს ვალებიც ჰქონდა. ამიტომ აუცილებლად უნდა გაყიდულიყო. როგორც ვიცი, პატარკაციშვილმა ეს შენობა მიზერულ ფასად იყიდა. კონტრაქტის გათვალისწინებით, 10 წელი ამ ნაგებობას პროფილი არ უნდა შეცვლოდა.

**— გაყიდვის შემდეგ, რამე შეიცვალა?**

— დიახ, ბადრიმ საკმაოდ დიდი სამუშაოები ჩაატარა და ცირკი აამუშავა, თუმცა 2013 წელს გავიგეთ, რომ შენობა ისევ იყიდებოდა.

**— ეს ინფორმაცია ვისგან მიიღეთ?**

— ამ საკითხზე ბევრი საუბრობდა.

**— თუკი 2014 წლამდე შენობას პროფილი არ უნდა შეცვლოდა, 2013-ში მისი გაყიდვის კანონიერი უფლება არსებობდა?**

— არა, შენობა 2014-ში გაიყიდებოდა და პროფილი შეეცვლებოდა.

**— დღეს ქართულ საცირკო სამყაროში რა ხდება?**

— ამჟამად ცირკი ძალიან ცუდ მდგომარეობაშია — მწირი შემოსავლის გამო, დასი თავის თავს ვერ ინახავს, ცირკის ქართველი მსახიობები ქვეყანას ტოვებენ და სამუშაოდ უცხოეთში მიდიან. დასის წევრებს კულტურის სამინისტროსთან ვშუამდგომლობდი, რათა ქვეყანა არ დაეტოვებინათ და თავიანთი საქმე აქ ეკეთებინათ.

**ოლეგ თავაძე:** — გაყიდვის შემდეგ, ქართველი მსახიობები გამოგვყარეს, რა უნდა გვექნა? — პატარ-პატარა ჯგუფები შევქმენით და ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე გავიშალეთ. რაიონებში დავდიოდით და წარმოდგენებს 2-3 ლარად ვმართავდით. დაახლოებით, 12 ჯგუფი გვყავს, რომელთაც კოორდინირებას ვუწევ. მინდა, ყველაფერ ამას ოფიციალური სახე მივცე. ასევე, ვისურვებდი, რომ ყველა რაიონის რესურს-ცენტრი თუ კულტურის სამსახური ჩვენი დასების ჩასვლის თაობაზე ინფორმირებული იყოს და ცირკის მსახიობების ატესტაციაც დაიწყოს.

**გოჩა ხარატიშვილი:** — წარმოდგენებს სკოლებსა და ბაღებშიც ვმართავთ, მაგრამ დიდი გაჭირვებით... საშინელ ზეწოლას ვგრძნობთ განათლების სამინისტროსგან. ლომაიას მინისტრობის დროს მიიღეს კანონი, რომელიც სკოლაში თანხის შეკრებას კრძალავს, რათა კორუფცია არ იყოს, თუმცა იმ ვიგინდარებმა ვერ გაითვალისწინეს, რომ არსებობს ცირკი, თოჯინების თეატრი და ა.შ.

**— ბატონო გოჩა, იქნებ, ასეთი წარმოდგენების გამართვისას კორუფციას გამორიცხავთ?**

— ჩემი აზრით, თუ ბავშვი წარმოდგენის სანახავად 2 ლარს გადაიხდის, არაფერი დაშავდება და ეს „ჯუნგლების კანონია“, რომლითაც არსებობის საშუალებას გვისპობენ. ის კორუფცია არაა, განათლების სამინისტროს გადახარჯვა 3 მილიონი რომ აქვს?!

**— თუკი ასეთი ვითარებაა, სკოლებში წარმოდგენების გამართვას როგორღა ახერხებთ?**

— განათლების სამინისტროში გვითხრეს, წარმოდგენის გამართვის ნებართვა დირექტორისგან აიღეთო, ეს უკანასკნელები კი, ისევ სამინისტროში გვიშვებენ. ისე, შაშკინმა სკოლის დირექტორები დამფრთხალ თაგვებად აქცია და გადაწყვეტილების მიღების უფლება არ აქვთ... განათლებიდან ეკონომიკის სამინისტროსთან გვამისამართებენ, ამასობაში 6 თვე გადის და ასე, წრეზე გვიწევს ტრიალი. ბოლოს და ბოლოს, ჩვენი წარმოდგენები თუ კორუფციაა, ცეკვის, სიმღერისა და სპორტის წრეებს რა სახელი დავარქვათ? განათლების სამინისტრომ ამ საკითხის მიმართ მიდგომა აუცილებლად უნდა შეცვალოს!

**„საშინელ ზეწოლას ვგრძნობთ განათლების სამინისტროსგან. ლომაიას მინისტრობის დროს მიიღეს კანონი, რომელიც სკოლაში თანხის შეკრებას კრძალავს, რათა კორუფცია არ იყოს, თუმცა იმ ვიგინდარებმა ვერ გაითვალისწინეს, რომ არსებობს ცირკი, თოჯინების თეატრი და ა.შ. თუ ბავშვი წარმოდგენის სანახავად 2 ლარს გადაიხდის, არაფერი დაშავდება და ეს „ჯუნგლების კანონია“, რომლითაც არსებობის საშუალებას გვისპობენ. ის კორუფცია არაა, განათლების სამინისტროს გადახარჯვა 3 მილიონი რომ აქვს?! ბოლოს და ბოლოს, ჩვენი წარმოდგენები თუ კორუფციაა, ცეკვის, სიმღერისა და სპორტის წრეებს რა სახელი დავარქვათ? განათლების სამინისტრომ ამ საკითხის მიმართ მიდგომა აუცილებლად უნდა შეცვალოს!“**

**— საბავშვო ბაღებშიც ანალოგიური მდგომარეობაა?**

— დიახ. ქალაქ თბილისის მერიის საბავშვო ბაღების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელობა შოუ-წარმოდგენების ჩატარების სასტიკი წინააღმდეგია და განათლების სამინისტროს მსგავსად, ე.წ. „ჯუნგლების კანონს“ იშველიებს, რის გამოც ისევ და ისევ ქართული საცირკო ხელოვნება ზარალდება.

**— მიუხედავად იმისა, რომ პატარკაციშვილმა შენობა ააღორძინა, კონტრაქტით, 2014-ში ქართული დასი შეიძლება, გარეთ აღმოჩენილიყო. ხელშეკრულების ეს პუნქტი თავის დროზე რატომ არ გააპროტესტეთ?**

— უკმაყოფილება გამოვხატეთ, მაგრამ არავინ გვისმენდა, ალბათ, იმიტომ, რომ ცირკის სახელი დაკნინებულია. ცოტა ხნის წინ, პატარკაციშვილების ოჯახში მიგვიღეს და თანადგომას დაგვპირდნენ, თუ ცირკის გადასარჩენად გეგმას დასახავთ, აქ ვართო.

**— ბატონო გოჩა, „ცირკის მოღვაწეთა კავშირზე“ რას იტყვით?**

— კავშირი წელს, მარტში შეიქმნა, ჩავატარეთ არჩევნები, დამფინანსებელი არ გვყავს. ჩვენი მიზანი ცირკის პოპულარიზაცია და ქართული საცირკო დასის აღორძინებაა.

**ოლეგ თავაძე:** — ზაფხულში ოლიმპიადა ტარდება, მივმართეთ კულტურის სამინისტროს, მერიას, რათა ყურადღება მოექცია — გვსურდა, ოლიმპიადის მიმდინარეობისას წარმოდგენები გაგვემართა, თუმცა ამაოდ. სამაგიეროდ, ანალოგიურ ღონისძიებებზე მოწვევა აზერბაიჯანიდან გვაქვს. სამწუხარო ისაა, რომ აქ ვართ და ყურადღებას არავინ გვაქცევს.

ცირკის შენობა გაგვიყიდეს, მაგრამ დასმა რაღა დააშავა? რახან შენობა აღარ გვაქვს, საცირკო ხელოვნებამაც არ იარსებოს? პრეტენზია არ გვაქვს, რომ წარმოდგენები მაინცდამაინც ცირკის შენობაში გავმართოთ. ბევრი ადგილია, სადაც ეს შესაძლებელია. თუკი სახელმწიფოს ცირკის შენობის გამოსყიდვის საშუალება აქვს, კი ბატონო, გამოისყიდოს. სახელმწიფოს ვთხოვთ, რომ საცირკო აკადემიისთვის შენობა გამოგვიყოს, რათა ხელი ახალი მსახიობების აღზრდას შევუწყოთ! გადმოგვცენ ყოფილი კინოთეატრ „ვარძიის“ შენობა. ამ ნაბიჯის შემდეგ, პატარკაციშვილების ოჯახის იმედი გვაქვს, რომ ცირკის შენობას წარმოდგენებისთვის დაგვითმობენ.

**— თქვენი სურვილები გასაგებია, მაგრამ ამ თემით სახელმწიფოს წარმომადგენლები ინტერესდებიან?**

— კულტურის სამინისტროში, ქალბატონმა წულუკიძემ გვითხრა, კარგი იდეები გაქვთ, ჩამოყალიბდით და დაფინანსების საკითხს სექტემბერში განვიხილავთო...

**— საცირკო ხელოვნების დაფინანსება სახელმწიფოსთვის პრიორიტეტული რატომ უნდა იყოს?**

**გოჩა ხარატიშვილი:** — საქართველოს პარლამენტმა ქართული ცირკის პოპულარიზაციის, აღორძინებისა და გადაუდებელ ღონისძიებათა გატარების შესახებ კანონი უნდა მიიღოს. ნუკრი ქანთარიას შევხვდი, რომელსაც ეს ინიციატივა მოეწონა, მთხოვა ორგანიზაცია შემექმნა და სწორედ ამ ორგანიზაციის ეგიდით დავწერეთ კანონპროექტი. ახლა მოგვხედონ და შემდეგ, ბიუჯეტში შემოსავალს ჩვენც შევიტანთ.

**ოლეგ თავაძემ საუბარი ემოციურად დაასრულა:**

— თუ ჩვენი იდეები და მოთხოვნები ყურად არავინ იღო, ჯერ ხელმოწერებს შევუგროვებთ, შემდეგ კი, აქციებსაც გავმართავთ. ყველაფერ ამის ბოლო კი ის იქნება, რომ ყველანი ვიტყვით: მიგვიფურთხებია კულტურის ასეთი სამინისტროსთვის და ისეთი საქართველოსთვის, რომელშიც მამა-შვილური თავში წამორტყმა ძალადობაა და ბავშვებისთვის სულიერი საზრდო არ არსებობს. თუ იმის შნო არ აქვთ, რომ დაგვაფინანსონ, მაშინ საქმიანობაში ხელს ნუღა გვიშლიან!

ესაუბრა **დავით გალაშვილი**



ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა

27 მაისი 2 ივნისი 2015 | № 21 (285)



აქტუალური თემა

# გადაეცემა თუ არა ფსიქიატრიული პათოლოგიები მემკვიდრეობით

**აქამდე ფსიქიატრიული საავადმყოფო მხოლოდ ფილმებში მენახა. ჰოდა, ვიდრე რეალურადაც ვნახავდი, შეცდომით, სისხლის ბანკში შევაბოტე. რამდენიმე წუთის შემდეგ კი, თავი სტუდენტებით სავსე კაბინეტში ამოვყავი და კარის ჩარჩოს მივეყრდენი... დავით ზურაბაშვილმა შემომთავაზა, ამ ხალხთან დასამალი რა გვაქვს, საუბარი დავიწყოთო... მოკლედ, ცნობილი ავლიპ ზურაბაშვილის შვილიშვილი, ფსიქიატრი დავით ზურაბაშვილი ადამიანის ფსიქიკაზე ზოგად წარმოდგენას შეგიქმნით...**

**– ბატონო დავით, ფსიქიკურ პათოლოგიებს რა იწვევს?**

– იმით დავიწყებ, რომ საზოგადოება ფსიქიკური აშლილობის მქონე პიროვნებას ხშირად გიჟს უწოდებს, თუმცა ეს სამედიცინო ტერმინი არაა და ამ სიტყვას ერთი ექიმიც არ უნდა იყენებდეს. უკეთესი იქნება, თუ სიტყვა „გიჟს“ უფრო დადებით კონტექსტში ვიტყვით.

რაც შეეხება შეკითხვას, კარგი იქნება, თუკი ამა თუ იმ დაავადების სიხშირეს ასაკობრივი პერიოდების მიხედვით განვსაზღვრავთ. მაგალითად, თუ 9-დან 16 წლამდე ბავშვებში ფსიქიკური აშლილობა შიზოფრენიული ტიპით მიმდინარეობს და უფრო ავთვისებიანი, ამასთან, რთულია, 20-დან 35 წლამდე დიაპაზონში უფრო ხშირი შიზოფრენიის გამოვლინებაა, 35 წლიდან კი, ორგანული ფსიქიკური აშლილობა ვლინდება.

ფსიქიკური პრობლემები შეიძლება, უამრავი ფაქტორისგან იყოს გამოწვეული. ამის ერთ-ერთი მთავარი განმაპირობებელი უძილობაა. თუ ადამიანს, დაახლოებით, 5-6 დღე არ სძინავს, მისი ტვინი მუშაობას სხვა რეჟიმში იწყებს, რასაც ბიო-ქიმიური ცვლილებები მოჰყვება. ეს კი, სხვადასხვა დაავადების საწყისი ეტაპია. ისიც უნდა ითქვას, რომ უძილობა თვეში ერთხელ ძილის რეჟიმის დარღვევას არ ნიშნავს, ფსიქიკური აშლილობის გამომწვევი უძილობის განგრძობითობაა.

მეორე არსებითი რამ, რაც ფსიქიკაზე მოქმედებს, ცხოვრების არაჯანსაღი წესია. ამ შემთხვევაში, ნარკოტიკების მოხმარებას ვგულისხმობ.

**– ნარკოტიკად მარიხუანასაც თვლით?**

– ვფიქრობ, მარიხუანა ისევე, როგორც სხვა ნარკოტიკული საშუალებები, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში აკრძალულია, ხელმისაწვდომი არ უნდა იყოს. ადამიანს, ყველა სახის ნარკოტიკი, თუ ექიმის მითითებით არაა დანიშნული, ვნებს. ზოგ ქვეყანაში მარიხუანა ლეგალიზებულია, თუმცა ამ მცენარის გამოყენება სამკურნალო მიზნით ხდება.

**– ფსიქიკურ პრობლემებს ალკოჰოლის ჭარბი მიღებაც ქმნის?**

– ალკოჰოლთან, განსაკუთრებით ღვინოსთან ქართველები ვმეგობრობთ, თუმცა სასმელის მიღების რაოდენობა ადამიანის ასაკისა და მდგომარეობის მიხედვით უნდა განისაზღვროს. წარსულში, სიმთვრალე უხერხულად მიიჩნეოდა და ღვინოს სათრობად იშვიათად სვამდნენ. ამიტომ ღვინის კულტურის სწორი აღქმა ცხოვრების ჯანსაღი წესის განმაპირობებელია.

**– ზემოხსენებული სამი მიზეზიდან ფსიქიკურ აშლილობას ყველაზე ხშირად რომელი განაპირობებს?**

– დღეს ყველაზე დიდი პრობლემა, ვფიქრობ, ნევროზული რეგისტრის აშლილობაა. ტერმინები – „დეპრესია“ და „ნევროზი“ საკმაოდ პოპულარულია, თუმცა ორივე არასწორი მნიშვნელობითაა გააზრებული. დეპრესია ემოციური ფონი, უხალისობის დიდი ხნის განმავლობაში განგრძობითობაა. ადამიანი, რომელიც საქმიანობს და თავის თავს უვლის, არ შეიძლება, დეპრესიაში იყოს.

**– ბატონო დავით, შესაძლებელია, რომ ადამიანს თანდაყოლილი ფსიქიკური პათოლოგიები ჰქონდეს?**

– ფსიქიატრიაში არსებობს ცნება – მე-10 საერთაშორისო გადასინჯვა, რომლის მიხედვითაც ადამიანების ფსიქიკური მდგომარეობა ფასდება. ამ გადასინჯვის მიხედვით, შეგვიძლია, ყველა კონკრეტული სიტუაცია შევაფასოთ. თუ ადამიანი ქუჩაში ქვებს ისვრის, ეს ჩემთვის საბაბია, რომ პიროვნებას ფსიქიკურად დაავადებული ვუწოდო. ფსიქიკური გადახრა კი, ფართო ცნებაა – ეს უცნაური ადამიანის მიმართ, ალბათ, საზოგადოების დამოკიდებულებაა. ამ შემთხვევაში, უკეთესი იქნება, თუ „პრობლემების მქონე პიროვნებას“ ვიტყვით. ადამიანი აგრესიული შეიძლება, რაღაც მიზეზის გამო იყოს, არის შანსი, ეს აგრესიულობა საზოგადოებამ სხვანაირად მიიღოს და აღიქვას. ზედმეტი გაუგებრობებისა და ინტერპრეტაციების თავიდან ასაცილებლად, ყველა სკოლასა და ბაგა-ბაღში უნდა იყოს ფსიქოლოგი, რომელიც ასწავლის მშობელსა და ბავშვს, თუ როგორ მოაგვაროს ესა თუ ის პრობლემა. როცა ბავშვს აღენიშნება პათოლოგიური ქცევები, პირველ რიგში, ვარკვევ მშობლის შესაძლო „ბრალეულობის“ საკითხს, ესე იგი, საკითხავია, ვის უნდა დავუნიშნო მკურნალობა – მშობელს თუ ბავშვს?

ფსიქიატრიაში არსებობს ცნება – მე-10 საერთაშორისო გადასინჯვა, რომლის მიხედვითაც ადამიანების ფსიქიკური მდგომარეობა ფასდება. ამ გადასინჯვის მიხედვით, შეგვიძლია, ყველა კონკრეტული სიტუაცია შევაფასოთ. თუ ადამიანი ქუჩაში ქვებს ისვრის, ეს ჩემთვის საბაბია, რომ პიროვნებას ფსიქიკურად დაავადებული ვუწოდო. ფსიქიკური გადახრა კი, ფართო ცნებაა – ეს უცნაური ადამიანის მიმართ, ალბათ, საზოგადოების დამოკიდებულებაა. ამ შემთხვევაში, უკეთესი იქნება, თუ „პრობლემების მქონე პიროვნებას“ ვიტყვით. ადამიანი აგრესიული შეიძლება, რაღაც მიზეზის გამო იყოს, არის შანსი, ეს აგრესიულობა საზოგადოებამ სხვანაირად მიიღოს და აღიქვას. ზედმეტი გაუგებრობებისა და ინტერპრეტაციების თავიდან ასაცილებლად, ყველა სკოლასა და ბაგა-ბაღში უნდა იყოს ფსიქოლოგი, რომელიც ასწავლის მშობელსა და ბავშვს, თუ როგორ მოაგვაროს ესა თუ ის პრობლემა. როცა ბავშვს აღენიშნება პათოლოგიური ქცევები, პირველ რიგში, ვარკვევ მშობლის შესაძლო „ბრალეულობის“ საკითხს, ესე იგი, საკითხავია, ვის უნდა დავუნიშნო მკურნალობა – მშობელს თუ ბავშვს?“

ხშირია ფაქტები, როცა ადამიანების პათოლოგიურ ქცევებში დიდი წვლილი გარემო ფაქტორებს მიუძღვის. აგრეთვე, შესაძლებელია ჯანმრთელ მშობლებს ავადმყოფი შვილი ჰყავდეთ ან პირიქით, ამიტომ გენეტიკურობის როლი ნელ-ნელა კნინდება.

**– ფსიქიკური დაავადებებისგან სრულყოფილად განკურნება შესაძლებელია?**

– არსებობს ისეთი დაავადებები, რომელთა მკურნალობას ძალიან დიდი დრო სჭირდება, ხდება პირიქითაც. იმ პირს, რომელსაც ქრონიკული დაავადება აწუხებს, სახელმწიფო დაფინანსებით უზრუნველყოფს.

**– პაციენტს ფსიქიატრიულ დაწესებულებაში რა შემთხვევაში ათავსებენ?**

– სტაციონარში მოხვედრის ორი გზა არსებობს – შეიძლება, პაციენტი ექიმთან თავისი ინიციატივით მივიდეს და მდგომარეობა აუხსნას, შემდეგ კი, ექიმი წყვეტს, განათავსონ თუ არა საავადმყოფოში. როცა ადამიანს საკუთარი მდგომარეობის კრიტიკის უნარი დაკარგული აქვს და თავის ნებისმიერ ქმედებას ნორმალურად აღიქვამს, დაწესებულებაში სასწრაფო დახმარებას მოჰყავს და მორიგე ექიმი აფასებს, თუ რამდენად საშიშია თავისი თავისა და გარშემო მყოფებისთვის. თუ პაციენტი სტაციონარში განთავსებასა და მკურნალობას არ ეთანხმება, ექიმს უფლება არ აქვს, ეს მოსამართლის განჩინების გარეშე მოიმოქმედოს.

**– ამჟამად, ქართულ ფსიქიატრიაში როგორი მდგომარეობაა?**

– ქართული ფსიქიატრიული სკოლა გერმანულ სკოლაზეა დაფუძნებული. რაც შეეხება ფინანსურ საკითხს, ისევე, როგორც მთელ მსოფლიოში, საქართველოშიც დეფიციტური დაფინანსება გვაქვს. ეს დარგი სახელმწიფოსთვის ყოველთვის დიდი ტვირთია.

**– პაციენტებზე ცდები საქართველოშიც ტარდება?**

– პაციენტებზე ცდების ჩატარება ძალიან მძიმე იურიდიული პროცედურაა, ამიტომ კარგა ხანია, ჩვენს ქვეყანაში ეს პროცესი აღარ მიმდინარეობს.

**– ბატონო დავით, ფსიქოლოგიასა და ფსიქიატრიას შორის რა ძირეული განსხვავებაა?**

– ეს ორი სფერო ერთმანეთისგან, რა თქმა უნდა, გამიჯნულია. ფსიქიატრია სამედიცინო განათლებაზეა დაფუძნებული, ფსიქიატრს, ფსიქოლოგისგან განსხვავებით, წამლებით მკურნალობის უფლება აქვს, თუმცა პაციენტის გამოსაჯანმრთელებლად ყველაზე ეფექტური საშუალება ამ ორი პროფესიის თანხვედრაა.

**– სუიციდის მიზეზი ყველაზე ხშირად რა არის?**

– ბოლო დროს, სუიციდი საკმაოდ აქტუალური თემაა, რასაც ხელი მედიამაც შეუწყო – თვითმკვლელობის ფაქტები ხშირად შუქდება, მაგრამ პროცენტული მაჩვენებელი, წინა პერიოდებთან შედარებით, არ გაზრდილა. სუიციდის მიზეზი, მარტივად რომ ვთქვა, სხვადასხვა ფსიქიკური პრობლემაა და ამ ფაქტის თავიდან აცილება ფსიქოლოგთან კონსულტაციით შეიძლება.

**– ნახევრად ხუმრობით გკითხავთ: თქვენი ინტერესის არეალში პოლიტიკოსები თუ ხვდებიან?**

– პოლიტიკურ სივრცეში ფსიქიატრიის დატვირთვა, პრაქტიკულად, ნოლია, მაგრამ ფსიქოლოგთათვის საინტერესო უნდა იყოს.

ესაუბრა დავით გალაშვილი



მიშას ციხიდან ბიძინას თავისუფლებამდე!

# ყოფილი პატიმრის სკანდალური წერილი გიორგი მარგველაშვილს!

**„მზეგრძელობაზე დიდი ბედნიერება არ არსებობს — როცა ცას შეჰყურებ და ხედავ, რომ ცა თავისუფალია!.. როცა გრძნობ, რომ შენი გათავისუფლებით სარკმლიდან ის მზეც გათავისუფლდა! და დღეს ციური სხეულები აღარ არიან დაპატიმრებულნი! მინდა, ეს წერილი წაიკითხოთ და მერე... იფიქროთ... მაშინვე ნუ იტყვით კი-ს ან არა-ს... უბრალოდ, იფიქრეთ იმაზე, რომ ნინო 2008 წლიდან პატიმარია, ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ საკმარისზე მეტად დაისაჯა... ახლა კი, ქალს, რომელმაც პენიტენციურ სისტემას ის მკერდი მიაბარა, რომლითაც თავის დროზე შვილი გაზარდა, დრო აქვს, შინ წავიდეს და საკუთარ შვილთან ერთად იბრძოლოს... დღეგრძელობისათვის... მთავარია, თქვენ გადაწყვიტოთ მისი მზეგრძელობა, დღეგრძელობაზე კი, უფალი იზრუნებს!“**



ბატონო პრეზიდენტო!

მინდოდა, ძალიან, ძალიან დიდი ხანია, მინდოდა, თქვენთვის წერილი მომეწერა და მეთქვა, რა მტკივა, რა მაწუხებს, რა მინდა, რისთვის გწერთ... ამიტომ, შორიდან დავიწყებ...

ჩემთვის არაფერს გთხოვთ, არც აქამდე მითხოვია, მაგრამ მოქალაქეობრივი განცდა არ მაძლევს უფლებას, რომ დავმშვიდდე, ბალიშზე თავი დავდო და წინ აღარ გავიხედო...

უკან მოხედვის მეშინია, ბატონო პრეზიდენტო, უკან ბევრი შეცდომაა, წინ კი, გზა, რომელ გზაზეც, მინდა, უშეცდომოდ ვიარო...

ვიცი, რომ თქვენც ასე ხართ!

განვლილი გასახსენებელი არ არის, გასავლელია გასახსენებელი და აი, ასე...

მეც გწერთ, გწერთ ერთი ქალის ისტორიას, რომელიც „ოსმალეთში“ გავიცანი...

ეს ქალი ნინო შამათავაა...

მას გარეთ არ ვიცნობდი, გავიცანი იქ, ციხეში, სადაც მზე გისოსებში ფქვილის საფანელივით მოცოცავს, სადაც მზე გაცრილია, სადაც თვლი, რომ ცხოვრება დამთავრებულია და მაინც... მაინც, გჯერა სასწაულების...

ბევრი ქალი ვიცი, ვინც, ჩემთან ერთად, სასჯელი მოიხადა, ვინც ნარკოტიკების რეალიზატორი იყო, მაგრამ ითანამშრომლა და სასჯელის ზომა მინიმალურზე დაუვიდა...

მაგრამ...

ოჰ, ეს „მაგრამ“...

შამათავა, მეგობრებთან ერთად, დააკავეს. მახსოვს, სასჯელი არ უღიარებია და ამბობდა, რომ დამნაშავე არ იყო...

ბევრი, ძალიან ბევრი ვიცი, ვინც ამბობდა, რომ უდანაშაულოა, მაგრამ ამ ძალიან ბევრი ადამიანისგან მხოლოდ ცოტასი მჯეროდა და მჯერა, რომ უდანაშაულო, ან შეცდომით იყო იქ მოხვედრილი.

და ამას მიტომ გწერთ, რომ ნინოსი მჯეროდა.

მჯეროდა, რომ არაფერ შუაში იყო...

ყველაზე მხიარული, ვინც მახსოვს, ნინოა, ყველაზე ერუდირებული და შეუპოვარიც...

სასჯელი დიდი ჰქონდა, ალბათ, — 16, ან 20 წელი...

დანაშაული კი, — ერთი...

მის დანაშაულს მეგობრობა ერქვა...

მეგობარს გაჰყვა — საკუთარი ავტომობილით სადღაც მიიყვანა და აი, ასე დარჩა ბოლომდე ერთგულ მეგობრად. მეგობრის დანაშაულიც გაიზიარა და აღმოჩნდა იქ, „ოსმალეთში“... ნარკოტიკების შენახვაზე...

2012-მა ბევრი რამ შეცვალა, როგორც ჩემს, ისე თქვენს ცხოვრებაშიც...

ნინოს ცხოვრებაშიც მოხდა ცვლილები:

პირველი: სასჯელი შეუმცირდა...

მეორე: მკერდი მოკვეთეს, დღეს ქიმიას უკეთებენ...

სენმა სძლია ძლიერ ქალს და მოტეხა...

საკანში მარტო დარჩა...

არავისთან აღარ საუბრობს...

აღარც კონტაქტობს.

მას სიცოცხლისფობია აქვს!

რას ვაკეთებთ ამ დროს?

ალბათ, დღეგრძელობას და მზეგრძელობას ვუსურვებთ ხოლმე.

დღეს დღეგრძელობა უფლის ნებაა, მზეგრძელობა კი, — თქვენი!

არ ვიცი, მან მოგმართათ თუ არა შეწყალებით, მაგრამ მე მოგმართავთ!

არ ვიცი, რას აკეთებს შეწყალების კომისია, მაგრამ ვიცი, რომ ნინო შესაწყალებელი არ არის, უბრალოდ, ნინოსგან ჩვენ უნდა შევიწყალოთ ჩვენი თავები!

არ ვიცი, ამ წერილს წაიკითხავთ თუ არა, მაგრამ ვიცი, რომ ნინოს სახლში მოხუცი დედა ელოდება.

ელოდება ბიჭი...

და ელოდება კიდევ ერთი შვილი, რომელიც იშვილა — დედობა გაუწია, პრაქტიკულად, მეგობარს აბორტის გაკეთება აუკრძალა და პატარას თავად აჩუქა სიცოცხლე... მერე, გაზარდა, ბავშვი 9 წლის იყო, როცა მისი მიტოვება მოუწია და... ცხოვრება „ოსმალეთში“ ჩვენთან ერთად განაგრძო...

ნინოს დედა 90 წელს მიღწეული უნდა იყოს.

არ ვიცი, ახლა ცოცხალია თუ არა, მაგრამ ნეტა, ცოცხალი იყოს...

ყოველ კვირა, აკანკალებული ხელებით, სადილს ამზადებს და ციხეში მოაქვს, მანამდე არ მიდის, ვიდრე მისი გული არ იგრძნობს, რომ ნინომ ერთი ლუკმა შეჭამა...

არ ვიცი, გაუხარდება თუ არა ნინოს ეს წერილი, მაგრამ ვიცი, რომ მე უნდა მომეწერა...

არ ვიცი, რას გააკეთებთ, მაგრამ მაინც გეტყვით: მზეგრძელობის მადლს ნუ დაიშურებთ!

მზეგრძელობაზე დიდი ბედნიერება არ არსებობს — როცა ცას შეჰყურებ და ხედავ, რომ ცა თავისუფალია!

როცა გრძნობ, რომ შენი გათავისუფლებით სარკმლიდან ის მზეც გათავისუფლდა!

და დღეს ციური სხეულები აღარ არიან დაპატიმრებულნი!

მინდა, ეს წერილი წაიკითხოთ და მერე... იფიქროთ...

მაშინვე ნუ იტყვით კი-ს ან არა-ს...

უბრალოდ, იფიქრეთ იმაზე, რომ ნინო 2008 წლიდან პატიმარია, ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ საკმარისზე მეტად დაისაჯა... ახლა კი, ქალს, რომელმაც პენიტენციურ სისტემას ის მკერდი მიაბარა, რომლითაც თავის დროზე შვილი გაზარდა, დრო აქვს, შინ წავიდეს და საკუთარ შვილთან ერთად იბრძოლოს... დღეგრძელობისათვის...

მთავარია, თქვენ გადაწყვიტოთ მისი მზეგრძელობა, დღეგრძელობაზე კი, უფალი იზრუნებს!

მადლობა, ბატონო პრეზიდენტო, რომ მომისმინეთ!

ტყუილი არ მიყვარს და ახლაც ვცდილობ, ისე მოვყვე, რომ ადამიანის ღირსება და პატივი არ შევლახო!

**მაკა მოსიაშვილი**, ყოფილი პატიმარი

რეპორტაჟი

# სოფელ დიღმის სასათბურე სასაფლაოები

**ლოკაციის ადგილი: თბილისი, კონკრეტულად, ვაკე-საბურთალო, უფრო კონკრეტულად კი, სოფელი დიღომი. დანიშნულება: ერთ დროს კიტრისა და პომიდვრის მოყვანის მთავარი ეპიცენტრი. ახლა? — დანიშნულებადაკარგული რაიონი. მიზეზი: განვითარებას მოყოლილი „რეპრესიები“, ანუ გენმოდიფიცირებული ბოსტნეულით ჩანაცვლება.**

## უცხოურმა ბოსტნეულმა ქართული სასათბურე მეურნეობა მოსპო!

ყველაფერი სათბურების გაშენებით დაიწყო, ბიზნესი პირველ ნაბიჯებს დგამდა... კიტრის მოგებამ დიღმელ გლეხს სურვილი გაუჩინა, ახალი კულტურა, პომიდორიც მოეყვანა. საქმე კარგად მიდიოდა... სათბურების ქსელი მთელ დიღომს მოედო. სამუშაო საკმაოდ მძიმე და შრომატევადი იყო, მაგრამ გაუსაძლისი ნამდვილად — არა. მუდმივი მორწყვა, შეწამვლა, გასუფთავება. ბოსტნეული მოდის, წვალებით, მაგრამ მაინც მოდის. შრომისა და ჯაფის ანაზღაურება არცთუ ცუდია, მაგრამ ადამიანის გული უფრო მეტს ითხოვს. დროთა განმავლობაში, ქართულ ბაზარზე სოფელ დიღმის კიტრმა და პომიდორმა სათანადო ადგილი დაიკავა და სხვა ქვეყნის ბოსტნეულს ჯანსაღ კონკურენციასაც უწევდა.

ცხოვრება ჩვეულებრივი რიტმით მიდიოდა. ბიზნესი შეძლებისდაგვარად „ყვაოდა“ მაგრამ, აკაკის არ იყოს, „მარტო წვრთნა რას უზამს, თუ ბუნებამც არ უშველა“?! აი, სად დაასვა განვითარებამ, უფრო „წინსვლამ“ დაღი სოფელ დიღმის ბიზნესს: ბაზარზე თურქული, ჰოლანდიური და ირანული ბოსტნეული გამოჩნდა. ქართულ კიტრსა და პომიდორს მუშტარი ნელ-ნელა უქრებოდა და... კრიზისმა მოიცვა დიღომში ყველაფერი — სიმწრით მოვლილი ბოსტნეული გლეხს უფუჭდებოდა, ან ჩალის ფასად აბარებდა ე.წ. ვაჭარს.

— რას ვიზამთ, შვილო, ყურადღებას არავინ გვაქცევს, ყველას თავისი საქმე აღელვებს. უმრავლესობას კი, ბრძოლა გადარჩენისთვის გვიწევს. ჩვენი შემოსავლის ძირითადი წყარო უკვე სულს ღაფავს, — ამბობენ დიღმელი გლეხები, თუმცა ვინაობის გამხელა არ უნდათ. მიზეზს ვეკითხები, თუ რატომ არ უნდათ, რომ მათი სახელი და გვარი გაზეთში დაიწეროს.

მპასუხობენ:

— რამდენსაც გინდა, დაგელაპარაკებით, ოღონდ საჯაროდ არ გამოგვაჭენო, შენ გახარებას. რაღა დროს ჩვენი გაზეთია.

მათ სურვილს ვითვალისწინებ და, რა თქმა უნდა, საჯაროდ არ „ვაჭენებ“.

— კიტრისა და პომიდვრის მოვლა რთულია? — ვინტერესდები.

ღიმილით მიხსნიან:

— ადამიანზე რთული მოსავლელი ნამდვილად არაა. ვყიდულობთ თესლს, ვთესავთ „ჩაშკებში“, თუ ზამთრის პერიოდია, აუცილებლად ვაკეთებთ „პარკებისგან“ კარავს, რადგან ტემპერატურა სტაბილური იყოს და თესლმა გაღვივება დაიწყოს.

— ხელის შემშლელი ფაქტორი ბევრია?

— „ჩაშკაში“ ჩათესილ თესლს მუსრს ძირითადად ჭია ავლებს, მაგრამ ყველაფერი ხომ უკვე „იმპორტულია“ — „ჩაშკებში“ სპეციალურად ნაყიდ, ნეშომპალით გამდიდრებულ მიწას ვყრით და თესლიც ადვილად ღვივდება.

— კიტრს, როგორც ვიცი, დამტვერვაც სჭირდება, — არ ვჩერდები.

— კი, ნამდვილად ეგრეა, მაგრამ აქაც შეიცვალა ყველაფერი: როცა ქართულ კიტრს ვრგავდით, დასამტვერად აუცილებლად ფუტკარი იყო საჭირო. ახლა კი, ჰოლანდიიდან ისეთი ჯიშის კიტრის თესლი შემოდის, რომ

ფუტკარი კი არა, მგონი, მალე მიწაც აღარ დასჭირდება.

— თქვენი მოყვანილი ბოსტნეული უფრო ძვირია თუ „იმპორტული“?

— აღარ იყიდება და ძალიან ბევრმა, ვისაც 2 ან მეტი სათბური ჰქონდა,

დაშალა. ყველაფერი ხომ ფინანსებთან მიდის. ვაჭარს კი, კაპიკებად უნდა

ჩავაბარო ეს სიმწრით მოყვანილი ბოსტნეული. არა, შვილო, ნამდვილად არ გვიღირს.

— ანუ, სოფელ დიღმის სასათბურე მეურნეობა განადგურდა?! — ვასკვნი.

კვერს მიკრავენ:

— მოისპო! სოფელ დიღომში სასათბურე მეურნეობა თითქმის აღარ არსებობს.

დახმარება და ყურადღება გვჭირდება, მაგრამ ჩვენი ვის ესმის?

სოფელ დიღმის მოსახლეობა იმედოვნებს, რომ სიტუაცია ოდესმე

გამოსწორდება, მაგრამ არავინ იცის, ეს „ოდესმე“ როდის დადგება!

**ბელა ჭულუხაძე**

პრობლემა

# „ყელამდე ნეხვში ვარ!.. აღარ შემიძლია, ძალიან დავიღალე!“




**„გვერდზეეეე... გვერდზეეეე... არა... არა... რააა... ერთით გვერდზე... აუ, სად ჩააგდოო... ფუ, გამხვრიტაააა...“ ცოტა უცნაურია, მაგრამ როგორც „ქართული სიტყვის“ ინკოგნიტო რესპონდენტი ამბობს, სწორედ ამ ფრაზებს გაიგებს კაზინოში შესული ახალბედა აწ უკვე „სტაჟიანი“ მოთამაშეებისგან. უფასო სასმელი, სუფთა გარემო, მოგების შანსი – კაზინო საუკეთესო მაცდური საშუალება და საკუთარი თავის გამოცდისთვის საკმაოდ ღრმა უფსკრულია. თბილისში აზარტული თამაშებით ბევრი ახალგაზრდაა გატაცებული. ჩემი თანამოსაუბრე თავისი „ლასვეგასური“ ცხოვრების დეტალების გამხელაზე იმ პირობით დამთანხმდა, თუ მის ვინაობას არ გავასაჯაროვებ – მშობლებმა და სანათესაომ მისი გატაცების შესახებ არაფერი იცის... პირობას, ცხადია, ვასრულებ და მხოლოდ იმას გეტყვით, რომ ინკოგნიტო რესპონდენტი 21 წლისაა და თსუ-ს ერთ-ერთი ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტია.**

**– ცოტა ბანალურად ჟღერს, მაგრამ თავიდანვე მითხარი, კაზინოში შესვლა რამ გაიძულა?**

– ათასი ამბავი მქონდა მოსმენილი, თუ როგორ გააუბედურა კაზინოში თამაშმა ახალგაზრდა ანგელოზივით ბიჭი, როგორ დაიწყო ოჯახიდან ნივთების ჩუმად დალომბარდება და ასე შემდეგ. ჰოდა, ინტერესი გამიჩნდა – საკუთარი თავის შემოწმება მომინდა, მაგრამ მთავარი მიზეზი მაინც ის იყო, რომ გამარჯვებას ფული მოჰყვებოდა. აქედან გამომდინარე, მოტივაციაც საკმაოდ მაღალი მქონდა. ქუჩაში, ყოველ ნაბიჯზეა რეკლამა, კაზინოში 100, 200, ან 300-ათასიანი საპრიზო ფონდი თამაშდებაო, ანუ „შხამს“ კარგად „ფუთავენ“.

**– თამაში რომ დაიწყე, რამდენი წლის იყავი და „სადებიუტო გამოსვლა“ მოიგე თუ წააგე?**

– 18-ის როგორც კი გავხდი, მესამე დღეს, ძმაკაცებთან ერთად, კაზინოში წავედი. ის დღე ახლაც მახსოვს: არანაირი ე.წ. დღის შუქი, მხოლოდ შიდა საკმაოდ მიმზიდველი განათება და ალბათ, საოცარი იქნება, ეს გარემო ვინმეს რომ არ მოეწონოს. ვიდრე კაზინოში შევიდოდით, მეგობრები გავაფრთხილე, რომ ეს დღე დაემახსოვრებინათ. მათი არ ვიცი, მაგრამ მე რომ დღემდე მახსოვს, ფაქტია. განსაკუთრებით იმიტომ დამამახსოვრდა, რომ 500 ლარი მოვიგეთ და საოცრად ბედნიერები ვიყავით. ამას „ეშმაკის სახლში“ მეორე „გასეირნებაც“ მალევე მოჰყვა და მარტო თამაშისას, ვიდრე მოგებულზე ორჯერ მეტი არ წავაგე, კაზინოს მწარე, ძალიან მწარე გემო მანამ ვერ გავიგე.

**– თამაში რომ დაიწყე, მუშაობდი და კაზინოში საკუთარი ფულით შედიოდი თუ მშობლები გაძლევდნენ?**

– უნივერსიტეტში სწავლის პარალელურად, ტექნიკის მაღაზიაში, კონსულტანტად ვმუშაობდი. ჩემი ფული სათამაშოდ სრულიად მყოფნიდა, მაგრამ როცა ისეთი პერიოდი დამიდგა, რომ აღარ მყოფნიდა, სესხება დავიწყე. პირველად 70 ლარი ვისესხე. ბევრისთვის შეიძლება, სასაცილო იყოს, მაგრამ ეს მაშინ მიუღებლად მიმაჩნდა. ვალის გადახდას ზუსტად 2 თვე მოვუნდი...

**– თამაშს რატომ აგრძელებდი – „ზამასკა“ გქონდა თუ ფულის მოგება გინდოდა?**

– ორივე, თუმცა, როცა ვიგებდი და არ ვჩერდებოდი, ეს იმას ნიშნავდა, რომ საშინელი „ლომკა“ მქონდა. მოგებულს მთლიანად რომ წავაგებდი, მერე ვხვდებოდი, თუ რა „ლორიც“ ვიყავი. იყო შემთხვევები, როცა საღამოს 9 საათზე შესული, კაზინოდამ დილის 6 საათზე გამოვსულვარ, რა თქმა უნდა, წაგებული. აღარც დღესასწაული ვიცოდი და აღარც – არაფერი. თვეში 25 დღე კაზინოში „ვიჯექი“.

**– პირველ ვალს მეორეც „მიაყოლე“?**

– კი, 200 ლარი ვისესხე, თუმცა უფრო მალე გავისტუმრე, რადგან ერთ შესვლაზე მოგების გემო „გავიხსენე“, მაგრამ ეს გამარჯვება არ ვიკმარე და ვალის გასტუმრების შემდეგ, ისევ კაზინოში შევედი და, მოგებულთან ერთად, ჩემი ხელფასი მთლიანად წავაგე...

თამაშის დაწყებიდან ერთი თვის მერე, უძილობა დამეწყო და 3 წელია, თვალებდასიებული დავდივარ... რომ დავინახე, ასეთ დეპრესიაში ვიყავი, მოწევაც დავიწყე და წარმოიდგინეთ, 18 წლამდე სიგარეტი გასინჯულიც კი არ მქონდა, ახლა კი, 3 ღერს ზედიზედ ვეწევი.

**– რას ამბობდი, როცა შინ ხელფასი არ მიგქონდა?**

– ათას ტყუილს ვიგონებდი. ამ მარაზმში ზუსტად ორი წელი ვიცხოვრე... მერე, სამსახურიდან წამოვედი და ვალების მოზღვავებაც დაიწყო. როცა ბოლომდე გავიყვლიფე, სტუდენტური სესხით, 700-ლარიანი მობილური გამოვიტანე და ვაგზალზე, 500 ლარად გავყიდე. ამ ფულით ვალის ნაწილი გავისტუმრე, დარჩენილი კი, შინ მივიტანე – ვანახე, რომ ხელფასი ავიღე და როცა დაიჯერეს, ტელეფონები ჩემი ძმაკაცების სახელზეც გამოვიტანე და ისინიც გავყიდე. სულ 3 210 ლარი შევაგროვე... ტელეფონების განვადების ფულს ერთი წელი ვიხდიდი, რამაც ცალკე ათასი პრობლემა შემიქმნა: ხან პროცენტის თანხას ვერ ვშოულობდი, ხან – რასაც ვიშოვიდი, იმასაც ვაგებდი... 400-ლარიან ვალს 600-იანი მოჰყვა, 600-იანს 1000-იანი და დღეს უკან დასაბრუნებელი 8000 ლარი მაქვს...

**– ისევ თამაშობ?**

– ჩემი თავისაც მრცხვენია. იქ ვხედავ ხალხს, რომელიც წამის მეასედში ამაზრზენად იგინება. ზოგს ყოველგვარი მორიდება და ზრდილობა დაკარგული აქვს და, წაგების შემთხვევაში, იმაზეც წამსვლელია, რომ სრულიად უცხოს, ვინც გვერდით თამაშობს, ფული სთხოვოს. ჩემთვის ბევრჯერ უთხოვიათ და მიმიცია, მაგრამ საკუთარ თავს ყოველთვის ვახსენებდი, რომ მათ დონემდე არ უნდა დავცემულიყავი, თუმცა რაღა მიკლია? – ვალებში ვარ გადავარდნილი და რაღა აზრი აქვს, ფულს ვის გამოვართმევ? ყველაფრის მიუხედავად, კიდევ ვთამაშობ და გზას ვერ ვხედავ, თუ როგორ უნდა გავჩერდე.

**– ფსიქოლოგთან მისვლა, მშობლებთან დალაპარაკება არ გიცდია?**

– რაც უნდა მოხდეს, ჩემებს არაფერს ვეტყვი. კაზინოსთან დაკავშირებით სხვის ამბებს რომ გებულობენ, მაშინ გიჟდებიან და წარმოდგენაც კი რთულია, თუ რა დაემართებათ, როცა გაიგებენ, რომ მათი შვილიც თამაშობს.

რაც შეეხება ფსიქოლოგს, მივედი, უამრავი მხრიდან მომიდგა და ჩემი დამოკიდებულების აღმოფხვრას ეცადა. იყო პერიოდები, როცა მასთან საუბრის შემდეგ, აზარტულ თამაშებს 3-4 კვირა არ ვეკარებოდი, მაგრამ ამ პაუზის მერე უფრო სასიამოვნო ხდებოდა თამაში – ის მენატრებოდა, რასაც მაშინ განიცდი, როცა „რულეტკის“ ბურთი ტრიალებს და ეკრანს ნერვიულად უყურებ, თუ რა ბურთი „ჩააგდო“. როცა ხედავ, რომ ის ჩააგდო, რაც გინდოდა, სიხარულთან ერთად, გაიძახი, უფრო ბევრი რატომ არ მედო, მეტს მოვიგებდიო. წაგებისას მოსმენილი ფრაზები ზოგჯერ ჩემთვისაც სასაცილოა, მაგრამ თუ მე ვაგებ, ესე იგი, „მხვრიტავს“.

სხვათა შორის, მამაოსაც ვესაუბრე და პირველად მაშინ გავიგე, რომ სამი ძირითადი ნარკოტიკიდან, კაზინო, დამოკიდებულების მხრივ, პირველ ადგილზე ყოფილა... ვხვდები, რომ ყელამდე „ნეხვში“ ვარ!

**– ისევ უმუშევარი ხარ?**

– არა, მე-4 კურსზე ვარ, თან ერთ-ერთ რესტორანში მიმტანად ვმუშაობ, ხელფასი 350 ლარი მაქვს. ამ ქვეყანაში წელზე ფეხს იდგამ და 350 ლარს გაძლევენ, მერე, გაუკვირდებათ, ბიჭების 90 პროცენტი აზარტულ თამაშებს რატომ თამაშობსო..

ისე, ძალიან ბევრი ჩემხელა გოგოც თამაშობს – ახალგაზრდები ვართ, გართობა, ფული გვინდა და იქიდან გამომდინარე, რომ საკმარისი ფული არაა, ვდგებით და „მარტივი ფულის“ შოვნის გზას იმ იმედით მივმართავთ, რომ ოდესმე „ეშმაკის სახლს“ „გავძარცვავთ“!

**– ძმაკაცები არაფერს გეუბნებიან?**

– რა უნდა მითხრან? ფულს აღარ მაძლევენ – იციან, რასაც ვიზამ... მე თუ არ მოვინდომე, ვინც რა უნდა მითხრას, სულს ის ჭია მაინც გამიღრღნის, რომელსაც კაზინოში შევყავარ... ვიცი, რომ ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული და ნელ-ნელა იმასაც ვხვდები, რომ ფულის მოგება იმდენად აღარ მაინტერესებს, რამდენადაც თვითონ თამაში და ის განცდა, რაც მის დროს მეუფლება. არ ვიცი, ვინ ან რა იქნება ჩემი საშველი. თუ ვერაფერი შევცვალე, მაშინ მონასტერში წავალ და რამდენიმე თვე ვიცხოვრებ. იქნებ, რამე მეშველოს, მაგრამ ამ ვალებს ვინ გაისტუმრებს? ათასი საფიქრალი მაქვს და ტვინი აზროვნებას, ალბათ, ძალიან მალე შეწყვეტს!

**– სხვათა შორის, მომავალ წელს აზარტული თამაშების აკრძალვას აპირებენ და იქნებ, ამან გიშველოს?**

– მიშველის?.. ფულის შოვნის ერთადერთ გზად ამას ვთვლი და ესეც რომ დამეკეტოს, მერე რა ვქნა? ნეტავ, მაშინ დაკეტილიყო, ვიდრე პატარა ვიყავი?!

**– ოდესმე სახლის ან აგარაკის გაყიდვაზე გიფიქრია?**

– კი და წარმომიდგენია, თუ რა მოხდება, სახლი ჩუმად რომ გავყიდო...

ერთხელ, მეგობარმა მითხრა, შენი ოჯახის შემხედვარე რას ვიფიქრებდი, თუ ოდესმე მსგავსი პრობლემა შეგექმნებოდაო... საქმე ისაა, რომ კაზინოებში არც „მაშავებენ“. რა აღარ გავაკეთე, რომ „გავეშავებინე“, მაგრამ ჩემნაირი კლიენტის დაკარგვა, რომელიც, ახალგაზრდულ ასაკში, მოგებულის წაგებიანად, ცოტაც და, ალბათ, მილიონის ერთ მეოცედზე მეტ ვალს დაიდებს, ვის უნდა?!

აღარ შემიძლია, ძალიან დავიღალე! ვნანობ, რომ ვერ ვჩერდები და მესმის იმ ძალიან აზარტული ხალხის, ვინც ამბობს, თუ დაიწყებ, ვერ გაჩერდებიო. ნებისმიერ კაზინოს რომ ჩავუვლი, გული საშინლად მიცემს და ასე მგონია, გამისკდება.

**– ცხადია, ვერ გეტყვი, გამარჯვებით გევლოს-მეთქი, მაგრამ გისურვებ, შენი ცხოვრება მალე შეიცვალოს!**

– მადლობა...

ესაუბრა გიორგი ნემსიწვერიძე

№ 21 (285)
27 მაისი – 2 ივნისი 2015
ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

კულტურა

# ზაქარია ფალიაშვილის უხილავი ხატი

**შემოქმედება ბუნებისა და ადამიანის უტყუარი ღვთივშემავალი სახეა, უდიდესი სულიერი და გონებრივი სიამოვნებაა... უსასრულობაში მიგნებულის, დანახულის, შეგრძნებულისა და წარმოსახვის მარადიულობაა ღვთიური სივრცით. ვარსკვლავეთიდან საოცრებად მოვლენილი სხვადასხვა სახეობის ხელოვნების შედევრებიდან სულისმიერი მგზნებარე მელოდია მოედინება, მსმენელთა გამაკეთილშობილებელი; მათგან დავასახელებ მუსიკას, ფერწერას, პოეზიას, პროზას, არქიტექტურას თუ ქანდაკებას. ამჟამად თქვენთან ერთად მთელი სულიერი არსებით გავუერთიანდეთ სვეტიცხოვლის ტაძარს, ღვთის სახლს და შინაგანი ლოცვით დათრობამდე ვუმზიროთ დიდხანს, თანდათანობით მოწოდებულ უნიკალურ ფორმათა მხატვრული მშვენიერების და სიდიადის აღქმის შემდგომ ჩვენდა გარდამქმნელად მოგვივა იდუმალი მუსიკის უჩვეულოდ განსხვავებული ხმა: უმალ მისგან ზეციურად ავმაღლდებით და სიამით ჩავიძირებით ღვთიურ მელოდიებში. თითქოსდა შორეთიდან მომდინარე დაწმენდილი ბგერათა წყობა მთის წყაროს ნაკადებად იღვრება არქიტექტორული ტაძარ-ქანდაკებიდან, რის გამომხატველ ბგერით-ჰარმონიულ ტონალობას მზის ულამაზესი სხივთგანათებები იძლევა, ამინდის სხვადასხვაობითი განწყობილებათა ნიუანსები, მთვარიანი ღამის ვერცხლთფეროვნება ან ვარსკვლავთსავსე უსასრულობაში გადაჭიმული ცის უთვალავი სიღრმისა და ფერის ურთულესი გუმბათი. ჩვენდა საამებლად ტაძრიდან ლოცვასავით ხშირად მოგვესმის ზაქარია ფალიაშვილის რჩეული გენიალური საოპერო ჰანგები, ნიაღვარივით რომ მოჩქეფს, თავბრუდამხვევი, უნატიფესი, ახლობელი.**

ზესივრცისკენ აღმავალი უძველესი მცხეთის ჯვრის მონასტრიდან ძალიან ხშირად გამაოგნებელი, უკიდეგანოდ მწვდომი, გარემოს დამატყვევებელ ხმათა ჟღერადობა გაისმის, რა ფორმის და რომელი სახეობის ორკესტრიდან – ამისი ამოცნობა და გაგება ჩემთვის მიუწვდომელია.

ღამღამობით კი უხილაობანი ქართულ უძველეს ქორალებს ანგელოსთა ზეციური ხმებით გვთავაზობენ განუწყვეტლივ და ამით ამკობენ მონასტრის ზღაპრულ გარემოს. საიდან, როგორ და ვისგანო, შეგვეკითხებიან, ამაზე პასუხის გაცემა ამდაგვარად შეიძლება: წმიდათაწმიდა ქართული სულიერი გონებრივ-გენეტიკური და შორეულიდან მოყოლებული უძველესთა ინტელექტუალურ საოცრებათა სიმდიდრის ღია სკივრიდან...

ჯვრის მონასტერი, თავისი მკვეთრი, ნატიფად დახვეწილი მაღალმხატვრული გეომეტრიული ფორმების სულჩადგმული და გასაგები ენით მოსაუბრე სახეხატული ქვების ჰარმონიით, უძველესი ეგვიპტის მზის პირამიდების გვერდით დგას. და ჩემი აზრით, ალბათ, უფრო რთულად და განსხვავებულად მოიაზრება.

პირამიდები თავიანთი დიადური სიმარტივით და უბრალოებით ცის კაბადონისაკენ აიზიდებიან, მარადიული პატრონი ვერ იმეტებს მათ, რადგან მიწიერი და კოსმოსური იდუმალი ხელოვნება მზის სხივებითაა გადაწნული...

ვეახლოთ და მივწვდეთ პლანეტის ქანდაკების ზეფორმულა „ვენერა მილოსელს“. ბუნებით სავსე, კოლხური თეთრა, მონეტა – სავსე მთვარეს, მისგან სებასტიან ბახის ხავერდოვანი მუსიკა მოდუდუნებს შორეული ათასწლეულის ფერთა შეუცნობელი ნაკადებით. მათთან ერთად აუცილებელია მოვიგონოთ დიდი ვან-გოგის მზის ჩასვლის და სოფლის პეიზაჟების საოცარი ფერწერული ტილოები, ამ სურათებიდან ხომ ლუდვიგ ბეთჰოვენის მუსიკალური შედევრები გაისმის, ან ცალკე გამოვყოფ იმავე ავტორის ფერწერის ნიმუშ-ბრილიანტს – „წვიმის შემდეგ“. სურათი პატარა ზომისაა, მაგრამ მხატვრული თვალსაზრისით უკიდეგანო დონის და ზღაპრული განწყობილების, თითქოსდა უძველესი ვერცხლის ჯვარი ზეციური წმიდათაწმიდა ნამითაა განბანილი. სამყაროს ცოცხალი, შიშველი ნერვია რიტმულად მფეთქავი. ფერწერის ამ ქმნილებისაგან შოპენის, მთის მწვერვალის, მოწმენდილი ცის გამჭვირვალე ჰაერის ფერთა კამკამა მუსიკის ჰარმონიული მელოდიები ნიავად მოედინება.

ახლა კი ვესტუმროთ პლანეტის უმთავრესსა და უპირველეს შემოქმედს – ლეონარდო და ვინჩის, მისი მეოხებით უფრო ვრცლად განვიხილოთ და საგულდაგულოდ გავარჩიოთ დიდი მუსიკისა და ფერწერის ღვთიური ურთიერთობის ზეალმტაცი რაობა. პლანეტის საოცრება ფერწერულ ქმნილება „ჯოკონდაში“ უხმო მუსიკის – გარდამავალ ფერწერულ ფერთა ურბილესი ბურუსოვან-მრავალპლანიანი ტონალური მოსვლაა და სურათიდან მათი შეუმჩნეველი თანმიმდევრული გადინებაა, ამ სრულიად განსხვავებული შედევრის გარემოცვაში იდუმალების მარადიული ჰაეროვანი ფორმა და მოდელია თითქმის შეუვალი სამყაროსი. ფერთა უმდიდრეს ნიუანსურ გადასვლათა ღრმა ფილოსოფიური აზრი და ფიქრია უძირო. პორტრეტი ზედმიწევნით გაცოცხლებულია, აქ პოეზია და ფერწერა მღერის აღორძინების ხანის იტალიური მელოდიის შეუდარებელი ჰანგებით. მაინც საგრძნობლად და მოჩვენებითი სიჯიუტით შეჩერებულა, უჩვეულოდ გარინდულა მზერა პორტრეტისა და დაუნჯებულა უშორესის მიუწვდომლობით, მაგრამ ბოლომდე არა! ფერწერის ამ უიშვიათეს ქმნილებას ყურადღებით ჩავწვდეთ და იქვე აღმოვაჩენთ, თუ როგორი უხილაობის ფიქრ-აზრთა ქვედინებაა, ოკეანის, ზეცის მშთანმთქმელი, უსასრულო წყლის დარად სტიქიური მოქცევა და მიქცევააო, იფიქრებ მისი სიდიადისგან გონებადაბინდული. აქ გამოძერწილი ხილული და უხილავი ფორმა, მიუწვდომელი სახე და აზრი მარადიულია. სურათის ყოველგვარი შეუცნობელი ნიუანსიც გათვლილია უდიდესი მეცნიერის მათემატიკური გაანგარიშებით. თითქოსდა უფრო სტატიკურია პორტრეტის ქმნილების მთლიანობა და ამავე დროს ღრმად ფსიქოლოგიური, უხილაობაში მარად მოძრავი მზერა. ამდაგვარი რწმენით და მხატვრული მეთოდების მიღწევებით ქვეყნიერების მხსნელი გვიმზერს მრავლისმეტყველი, კეთილი. ხოლო ზეციური იდუმალი ღიმილი „ჯოკონდასი“, დაშორდები და უმალ გამოცანად რომ გვევლინება, მიწიერის და კოსმოსურის უცხო ირონიათა ზოგად ფსიქოლოგიურ ფორმათა ჰაეროვანი გადაკვეთაა, რომელსაც მრავალი კითხვის ნიშანი აქვს დასმული.

კაცობრიობის დიდ ხელოვანთა ფონზე ტიტანური შემოქმედი სახლობდა ლეონარდო და ვინჩში. აღორძინების ხანის უდიდესი და მრავალმხრივ ნიჭიერი მხატვარი მეცნიერული ფორმულით გვმოძღვრავს. „ფერწერა უხმო მუსიკაა, ხოლო მუსიკა უფერო ფერწერაო“. უთუოდ ამდაგვარი ჭეშმარიტი სიბრძნე გახლავთ ზუსტი და ასევე ასტრონომიული ფორმულა ჯადოდ მოვლენილი ორი მთლიანობიდან განშტოებით ამოსული ხელოვნებისა და მათი იდეურად მართალი ორგანულ-თვისობრივი ურთიერთკავშირ-განუყრელობისა. ფერის სიმბოლიკას უძველესი ისტორია აქვს. ფერთა წაკითხვას ადამიანები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, რამაც თავისი ასახვა ჰპოვა მითოლოგიაში, ხალხურ გადმოცემებში, ზღაპრებში, სხვადასხვა რელიგიურ თუ მისტიკურ სწავლებაში. ფერთა სიმრავლეა მუსიკაში, პოეზიაში, პროზაში და თავად ფერწერაში, ფერთა დაუტევლობა და გახელებაა კოსმოსში... სამწუხაროდ, ფერი არ სჭირდება უკუნეთ საფლავებს და ისიც გაურბის უკვალოდ... როგორც მოგახსენეთ, ლეონარდო და ვინჩში სიახლე მეცნიერულ-ფილოსოფიური დაკვირვებით და უფლის დიადი თანხლებით, მესამე, წრიულად მოარული სამყაროსეული გონებით და ლეგენდარული მაესტროს ხელით ქმნიდა ზეადამიანურ, ხილვად ღვთიურ აზროვნებათა ხელოვნების ნიმუშ ფანტასტიკას. ამდაგვარია უსასრულობის და უხილაობის შემოქმედებითი გენიის ღვთიური თანამგზავრი, რითაც ფიზიკურად უახლოესს, მიმზიდველს, შეხებითს, რეალურს, მაგრამ ჩვენთვის ბოლომდე მაინც მიუწვდომელ შედევრებს გვაწვდიან და ზნეობრივად ამაღლებულს ხდიან ჩვენი სიცოცხლის და არსებობის სულიერ ნებას.

ხელოვნების დიდი ნაწარმოების მოვლინება პლანეტაზე ხელახალი შობაა მაცხოვრისა და ქვეყნიერების მხსნელის. ღვთისგან მოვლენილი მხატვრული ნებისმიერი ქმნილება სამყაროს სრული ფილოსოფიურ-იდეური სახეა – შედარებით-შეხებითი და ზეაზროვნებად გარდასახული. ხოლო კომპოზიტორი, კოსმოსური სამყაროს, მზის სისტემის ყველა შემოქმედისგან სრულიად განსხვავებული უფაქიზესი წესრიგით... მოუსვენარი და დღედაღამ უძინარი ხელოვანი, როგორც მიწის ყოველ კუთხე-კუნჭულში, ასევე დღენიადაგ, ბგერათა და ჰანგთა მაძიებლად ზეცაშიც დაქრის. შესაძლებელია წმიდან ანგელოზებთანაც ჰქონდეს სულიერი ურთიერთობა. მათ იდუმალ ბგერათა, პოეტურობის და უკეთილშობილეს ზეჰარმონიათა ჰაეროვან რხევას შინაგანად იზიარებდეს, რისი მეოხებითაც იდუმალებით მუსიკალური სავსეობით შემოქმედებითად მდიდრდებოდეს; ჰანგთა, ბგერათ და მელოდიათა შემკრები, უჩვეულო მოვლენა ქვესკნელის მიუწვდომელი უხილაობიდან კრეფს მთვარის ბინდმოსილ ხმებს, მერმე გამაოცებელი სიზმარეული ფოსფორივით მომწვანო-მოლურჯო რხევად ჰაეროვან სვეტად ამონათებული, ხელშესახებ ნოტებად დაღვრის მუსიკის უცრემლო, მოცისფრო მარად მბრუნავ სევდას, საფლავები ხომ გარდასულთა კოსმოსურ-მითოსური სამოსახლოა და მათგან მოსულ ხმებს ცრემლი არ მოჰყვება. ის მხოლოდ ფიქრია უძირო და უნაზესი, სევდიან რხევათა დინებაა, სიბნელეჩატყვევებული მიწისქვეშეთისა. წარმოსახვითი სიახლე, მუსიკათ შემქმნელი, ამდაგვარადვე პოულობს და აგროვებს უხმო, ჩვეულებრივ ადამიანთა ყურთმიუწვდომელ ბგერებს, ჰანგებს, მელოდიებს; მერმე ალქიმიკოსის პროფესიონალურობით შემოქმედებით ქურაში გაატარებს მათ და ახალ უმშვენიერეს, თვითმყოფად, ინდივიდუალურ მუსიკალურ ნაწარმოებად გარდაქმნის. ამ შემთხვევაში კომპოზიტორი ხმათა, ბგერათა და ჰარმონიათა გონებით მიუწვდომელის გამოცხადების მაცნე, გრძნეული აღმქმელ-გამომგონებელია.

ნაღდი შემოქმედი ქვეყნის თეთრი მარმარილოს ამბიონზე წმიდანივით დგას და ზეციური მუსიკით ქადაგებს ღვთიურ კანონ-ჰარმონიებს.

კომპოზიტორი მუსიკალურად სიახლის მელოდიათა შობაა ურთულესი.

უეჭველია, კეთილი, მიმტევებელი და მოსიყვარულე უფალი სტუმრობს უცნაურ ხელოვანს და ეხმარება ღვთიური მიდგომით. ჩემეულ ამ გულლია ქებათა-ქებაშივე აუცილებლად უნდა დაიხატოს კიდევ ერთი, მუსიკალური გარემოს საოცრება – ხელოვანი პოეტი, რომელიც ამაღლებული აზროვნებით და მუსიკალური რითმ-ჰარმონიითაა შეპყრობილ-დამუხტული, რითაც მომავალი ოპერისათვის წერს ლიბრეტოს, უფლისმიერ სიბრძნემომადლებულს და წარმოუდგენელი წარმოსახვით ამკობს კომპოზიტორის მუსიკალურ სივრცეს. ამ შემთხვევაში პოეტიც უფალია შემოქმედი...

ჩვეულებრივი ადამიანები ორი, საკმაოდ განსხვავებული სულიერი და ფსიქოლოგიური მეობის მატარებლად გვევლინებიან. გენია კი – სამი გონმიუწვდომელი ხედვით ანუ პლუს სიბრძნეგაჯერებული კოსმოსურით. ეს კი ნიჭის უძირობაა, შემქმნელის აუწონავი სიმდიდრე სიდიადისა...

განუზომელი დრო და სივრცე მათ ხელთაა, სამყარო მიზნობრივად დუმს შემოქმედის წინაშე...

მშვენიერებითი წარმოსახვებისაგან მოჯადოებული კომპოზიტორი, ალმოდებული შემოქმედებითი ალმაფრენით, ხშირად აიჭრება ცაში და უხსოვარი დროიდან უსასრულობის სივრცეში შეგზავნილი კოსმოსური ჰარმონიების სასწაულ განწყობილებებს კრეფს, თავისად ჩამოაქვს და ამდაგვარად ამდიდრებს პირადი ნოტების ცოცხალ მუსიკალურ ფონდებს.

ქვეყნიერების სივრცე უსასრულოა და ამდენად სამყაროც შესაბამისად უკიდეგანო ტევადობისაა. როგორც მიწაზე, ასევე ზეცაში ირევიან უთვალავი ფერები, ხაზები, ხმები, ბგერები, მელოდიები, ზეშთაგონებები, ფანტაზიები, ინსტინქტები, სიხარულის ტალღები, ტრაგედიის, ტკივილისა და მწუხარების შავი ლაქები. მრავალმხრივი სიყვარულის ხშირი გამონათებები, სევდის მუქი ცისფერი ქსოვილი, გლოვის შავი უწვრილესი ხაზები და მაინც უპირატესად, მომავლის მჭვრეტელი ფერადი გაბრწყინებული ბადეა ყველგან განფენილი სულისფერ განწყობილება-ნიუანსებში.

უსახო შურსულიანი ბოროტი ყველგან დაძრწის და ვერავის ეგუება, თავისი თავის ჭირადაც გაჩენილი.

ყოველი დიდი კომპოზიტორი ღმერთია, შემოქმედ ადამიანად გარდასახული, ნაზავი ყოველგვარი ღვთიური ბუნების სიყვარულის და სიბრძნის უკეთილშობილესი განძია ამა ქვეყნიურისა...

სიცოცხლეშივე მითოსურ მუსიკათ შემთხზველი, როგორც მოგახსენეთ, უსაზღვრო ფანტაზიის მეოხებით ნათელ სვეტად ზეცაში ადის, ხშირად იქიდან (წმიდანივით) უსმენს თავისი ერისა და ქვეყნის შინაგან ხმას, ლანდშაფტს – მდინარეებს, ზოგჯერ მათ ადიდებაგახელებას; ხშირ ტყეებს, მინდორ-ველებს, ამინდს, თოვლს, წვიმას, ნიაღვარს, ქარს, დღე-ღამეს, ნივთებს, საგნებს, ადამიანთა მრავალ ფენას, მზის ამოსვლა-ჩასვლას, ნებისმიერ ცოცხალ არსებათ, მდინარის, ტბისა და ზღვის თევზებს, ფრინველთ ჟრიამულს, ქვეწარმავალთა დუმილს, მწერების, განსაკუთრებით ფუტკრების გაუთავებელი შრომით გამოწვეულ შრიალ-შიშინს, ჭიანჭველების მოუსვენრობას და ფაცა-ფუცს. მცენარეები? მათგან ყვავილების ფერადოვანი დამატკბობელი ჟღერადობის მოსმენა მხოლოდ კომპოზიტორთ შეუძლიათ, ყველა და ყოველი ხომ მეუფე კომპოზიტორის უახლოესი შემოქმედებითი წყაროსთვალია, მუზაა წარმოსახვითი, ფერებასხმული... ნებისმიერ მათგანს განსაკუთრებული და ინდივიდუალური ბუნებრივი ხმა აქვს.

დედამიწა, უფლისაგან დაკანონებულად, სიკვდილ-სიცოცხლის პლანეტაა, და მისგან მოგუდული გასაკვირველი ყრუდ სმენადი შორეული მელოდია მოდის უსასრულოდ...

რახან ადამიანის სიცოცხლე გარკვეული დონით წვალებაა, პარალელურად, ჩვენი პლანეტაც ხომ არ იტანჯება სამყაროში? მილიარდობით წელია, კატასტროფის შიშით ცახცახებს, ვინ იცის, კიდევ რამდენ უთვალავ ტრილიონ წელს შეშინებული იტორტმანებს, რათა მის სხეულზე სამყაროს უნიკალური და უიშვიათესი სიცოცხლე არ მოისპოს კოსმოსური კატასტროფების შედეგად, ანუ კაენის მოდგმამ თავადვე არ დაწვას. კეთილი დედამიწა კრუხივით დაჰფოფინებს თავის სხეულში ჩასახულ სიცოცხლეს; სიკვდილს ვერ იტანს, მაგრამ უმაგისოდ ალბათ პლანეტარიუმის წონასწორობა დაირღვეოდა...

უხსოვარი დროიდან მოყოლებული, მარტოხელა განდგომილი, თვით კოსმოსისთვისაც მიუდგომელი და ჩაუწვდომელი ღია – ცას ბნელით შემყურე დედამიწის მარადიული სევდაჩატანილი მიცვალებულთა დასახლება – ეს სასაფლაოებია; გარემოს ცოცხალ ფერთა ფენა რომ არ ფარავდეს მათ, ჟრუანტელის მომგვრელი შესახედავი იქნებოდნენ; გარდაცვლილთა მუდმივი უსახო დუმილი, არამიწიერი ფიქრი, განყენებული და თითქოსდა არა მკვდარი, რაღაც სხვა გამოუცნობი სივრცე, ჩვენი პლანეტის დახშული აზრი და სევდა ხომ არაა სასაფლაოები?! პატრონ მიწისგანაც განზე, ურეაქციოდ, ცივად მდგომნი, სამყაროს შეუვალი სიკვდილის უმთვარო და უვარსკვლავო ბნელი უჯრედი ხომ არ გახლავთ რაღაც უცხო სისტემის შემადგენლობისა? პლანეტის სასაფლაოები, ვილაცების და ასევე არავის საკუთრება, ყოველთა და ყველაფრის მიმართ დაუმორჩილებელნი, უშიშარნი, ურეაქციო, უსიყვარულონი და ყოველგვარ ემოციებს და სიძულვილს მოკლებულნი. მხოლოდ უფალი ურთიერთობს მათთან, ცოცხლებთან გაურკვევლად მუდამ გაბუტულნი და მარად მდუმარებაზე უფრო რაღაც იქითა შორეული, კუნაპეტი ბნელით მოცულნი მხოლოდ სიზმრებსა და ფიქრებში თუ გამოილანდებიან, ესაა და ეს, ამით მთავრდება მათთან ჩვენი მოჩვენებითი გულჩათხრობილი ურთიერთობა...

უშუქო სივრცე, კოსმოსური სისავსე და მისიქითა მიუწვდომლად ყოველთა მიერ საცოდავი სიცარიელე. ნებისმიერი ეს სიუცხოვე სამყაროსეული შეუცნობადი, უცხოდ არსებულის კუთვნილებაა და თავისებურ დაუსრულებელ გლოვით სავსე მელოდიას გამოყოფს. შედეგად, კომპოზიტორისაგან, სადაც მათი მუსიკალური ბგერები – ხმები და ჰარმონია პროფესიონალურადაა შეთხზულ-შეზავებული, უსიტყვოდ სევდამოფენილი ნაწარმოებ-შედევრია.

უფერო და უხმოდ გაურკვეველ სივრცეში, მრავალფერთა და მელოდიათა აღმომჩენია კომპოზიტორი...

დედამიწის ყველაფრისაგან განდგომილი სასაფლაოები უთუოდ შორეულ, შუქთმთვლემარე გალაქტიკებს გვაგონებს, ჩვენთვის ახლოს არსებულ და ამავდროულად ფანტასტიკურად მიუკარებელს. სამწუხაროა, მაგრამ პლანეტის ყველა ცოცხალშობილი ამ უკუნეთი სიბნელისაკენ მიმავალია. ალბათ ზეძალებისთვისაც ბოლომდე გაურკვეველი უსინათლო

გაგრძელება მე-17 გვ.

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

27 მაისი – 2 ივნისი 2015 | № 21 (285) | 17

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა

## კულტურა

მე-16 გვერდიდან

შეუცნობადი ფიქრ-უკარება მიუწვდომლობაა. ნაღდი კომპოზიტორი ნებაყოფლობითი გოლგოთაა განუმეორებელი.

ამ ურთულეს, ათასნაკვთოვან საიდუმლოებებს გრძნეული კომპოზიტორი ხმით, ბგერებით, ჰარმონიებით და მაღალი პოეზიის მგზნებარე ჯადოსმიერობით აღიქვამს, მათგან უხმოს, ხილულსაც და უხილავსაც. ყოველივე ავტორის პიროვნული წარმოსახვების, ზეციური ხილვების, ფანტაზიისა და ინსტინქტების ზესწრაფვების მუსიკალურად წესრიგში მოყვანა, კომპოზიციურად დალაგება, ყოველთა ხმოვანთა შეჯერება, შეკრება. მერმე ქმნილების ჰარმონიულად გამთლიანება, გამართული სივრცის გამოხმობა თავისებური ქაოსიდან, სადაც წესრიგი და სინქრონიზმი გამორიცხულია. ბოლოს კი დიდი მაესტროს ნებით ჩამოსხმული, მუსიკალურ ნაწარმოებად შობა.

გზააბნეული და აღგზნებული დემონი მუდამჟამს დაბორიალობს შემოქმედის ირგვლივ, მაგრამ უშედეგოდ...

უფალი, ანგელოზები და ღვთისმშობელი უთვალავი წმიდა ზეციური სახეებით და სულით მეტ-ნაკლებად ნებისმიერ ადამიანებშია ჩასახული. სამწუხაროდ, ძალიან ბევრში ჭირთმთესველი სატანაა დამკვიდრებული, უკეთურს მათში ხან სძინავს, ხან ბოროტად აბობოქრდება და საშინელებას ახდენს. კომპოზიტორი ამ მძვინვარე ხმასაც მიუგდებს ყურს და უმძიმეს – ფერმკრთალ ბგერებს გამოსტაცებს, საჭიროებისდა მიხედვით გაითავისებს და იქმნება სრული მუსიკალური ტილო, მარადიული მხატვრული სახე რთულზე ურთულესი ქვეყნიერების სურათ-არსისა... მაგალითისათვის ისევ ლუდვიგ ბეთჰოვენი, გენიალური კომპოზიტორი: მის „მეცხრე სიმფონიაში“ ზემოთ აღწერილი ფერწერული ფორმების სრული მაღალმხატვრულ ლაკონიურ ხაზთა არქიტექტონიკის ჰარმონიულობაა შექმნილი, რაც რომელიმე პლანეტის ფიზიკური წონისა და ღირსების სამყაროსეულ აბობოქრებულ ხმათა სულისფერ ტაძარს წარმოადგენს, წარსულის ბინდმოფენილი საუკუნეები ჩახუნებულ სიღრმისეულ ფერთა სიძველეებს გამოხატავს. ბეთჰოვენი, საიდუმლოდაფარული მუსიკალური იდუმალებაა; ის გაფიქრებს, გიზიდავს, იქვე მარად მიუწვდომელია. ამ შემთხვევაში რაღაც ღვთიური გაანგარიშებაა, მაღალი ფანტაზია თავისი საიდუმლოებით, რომელიც უსასრულოდ მიმზიდველია და ჰარმონიათა სიმდიდრის უსაზღვროობით სრულიად ხელოვნების სიახლე იშვება... ასევე ვახსენოთ დიდი ვაგნერი, მისი მგზნებარე და მბორგავი ქმნილებები; ოპერათა აღმშენებელი უდიდესი მუსიკალური არქიტექტორი გენიალური ჯუზეპე ვერდი, კოსმოსში მონავარდე ისევ სასწაული სული ანგელოზი მოცარტი. მსოფლიოს ტაძართა გალობა – ღვთიური ბახი, ჰანგებსინარნარე და მიუწვდომლობა ჩაიკოვსკი, ბიზე, მარადიული კლასიკური ქართული მოვლენა ზაქარია ფალიაშვილი; მუსიკალური საუკუნით წინ მავალი სიახლე პროკოფიევი, შუბერტი; შაშვი და ბულბულთ გალობა – შოპენი, კოსმოსური ცეცხლოვანი წრის ჰარმონიული ტრიალი – იოჰან შტრაუსი, რახმანინოვი, სტრავინსკი, ხაჩატურიანი, ნიკო სულხანიშვილი, ყარა-ყარაევი, მაჭავარიანი, ბალანჩივაძე, ვაჟა აზარაშვილი, კიდევ რამდენიმეს ხსენება აუცილებელია, მაგრამ, მაპატიეთ და, უნდა შევჩერდე: ზემოთ ხსენებული კომპოზიტორები მოვლენაა ღვთიური, ისინი ქვეყნიერების ნებისმიერ ხმებს ისმენენ და გადმოაქვთ თავიანთ ნაწარმოებებში და ამ ვარსკვლავთ სხივთნაზავი გზით იქმნება შემოქმედებითი სული ცოცხალი. სრული, მძაფრი სიმფონიური უნიკალური სრულყოფილება კლასიკური მუსიკისა, გონმანათობელი ჩვენი...

მოგახსენებთ, არსებობს ისეთი დარგი, როგორიცაა მუსიკათმცოდნეობა, მაგრამ ნუ უარვყოფთ, რომ ასევე არსებობს მუსიკაზე უსაზღვროდ შეყვარებულთა მართალი და გულწრფელი შემეცნებითი მომსმენეობა, სულმნათხმოვანებით და ჭეშმარიტი შინაგანი სმენით. პირადად მე, მეორე, გაშლილ თვინიერ მუსიკალურ სფეროს ვეკუთვნი. ხოლო რასაც აქ ვწერ და ვსაუბრობ კომპოზიტორებზე, კერძოდ, დიდ ზაქარია ფალიაშვილზე, ეს გახლავთ კოსმოსური, მოწოდება სრულიად განსხვავებული ხედვა და გააზრება პირადი წარმოსახვების საფუძველზე... ბედნიერი ვარ, ზაქარია ფალიაშვილის მუსიკას გულისყურით რომ ვუსმენ, ვუგებ და კომპოზიტორი ღრმა სულიერებით მიყვარს და ჩემი შინაგანი მეობის განუყოფელი ნაწილია. ის უშუალოდ შემოდის უხილავი ძალებით და მთლიანად მიპყრობს: წმიდათაწმიდა მუსიკალური უფალია – ჩემი უხილავი ხატი, სულიერი ჰანგებით მქადაგებელი, შემოქმედებითად ცეცხლშემკეთებელია პირადი ხელოვნებისა....

ავბედით მძიმედ მგლოვიარე ზაქარია ფალიაშვილი თითქმის ყოველდღე გამოეცხადებოდა სიკვდილისგან მიტაცებული ერთადერთი უსაყვარლესი ყრმის სანუკვარ საფლავს, ცივ ლოდზე ხანგრძლივად მჯდომი უკვე მწირი, თავჩაღუნული, თვალებამომშრალი, უტყვი და გაქვავებული სახით დიდხანს მისჩერებოდა მდუმარე ჟანგმოდებულ მიწას. მათ შორის დრო ჩამდგარიყო უძლეველი და მიწა ჩაწვა ყოველთა გამრიგე. ორთავე ამ წუთებში გაუბედურებულ კომპოზიტორს კოსმოსურ ხანგრძლივ შემწყნარებლად ევლინებოდა: სიკვდილი გამქრალიყო და იქაურობას არ ილანდებოდა... შემდეგ ცასა და მიწასავით განსხვავებულ ორფეროვან შვილსა და მამას შუა იდუმალი ია-იისფერი ძაფი გაიბმებოდა ნაღველმოფენილ სივრცეში და ცრემლით განბანილი ნოტების ფურცლებზე უხმო და უფერო მუსიკა იქმნებოდა.

ყოველ საფლავს ახლავს თავისი ბიოგრაფია, მითი, ლეგენდები და ჭირისუფლის მოგონებათა გულში ჩამწვდომი სევდის წიგნია მარადიული...

ერთი პერიოდი ბატონი ზაქარია გულმძიმედ განეშორა მუსიკალურ სამყაროს და მიეცა ხანგრძლივ შინაგან გლოვას, სევდამორეულ ბნელისფერ ურვას და სულმტანჯველი დარდით ივსებოდა მისი სხეული, რაც ქართული მუსიკალური კულტურის დაცემას მოასწავებდა და საუბედუროდ, ეროვნული ერთ-ერთი გენიის დამღუპველი წინა პირობები გამოიკვეთა, მაგრამ მოხდა ღვთიური სასწაული – იმქვეყნიური ირაკლის, შვილის, მიცვალებულის უკეთილშობილესი სული გამოეცხადა და შეევედრა მამა-შემოქმედს: – კვლავინდებურად წერე, მამაჩემო, მუსიკა და მეც მშვიდად დავისვენებ ამ ბნელით მოცულ სამარეში. ჩემი უკიდურესად სულთამხუთავი და ამწიოკებელი სიბნელე მხოლოდ შენ შეგიძლია გაანათო. უფლის ნებაც ასეთია, მამა! – მერმე, ღვთის მადლით, თავდაუზოგავი შრომის შედეგად აღმოცენდა ორი უნიკალური ოპერა (მესამე ოპერაზე, „ლატავრაზე“, სხვა დროს მექნება საუბარი).

შემდეგ, გულდათუთქულმა და სნეულმა კომპოზიტორმა, გონებით გაუხსნელი მწუხარება, სულმწარე ტკივილი, სევდა და მდუღარე ცრემლგადასხმული განცდა, სიახლე მუსიკალურ შედევრებში გააცხადა. ახლა კი, გატაცებით მოვუსმინოთ ჩვენშივე მუდმივად ჩაღვრილ უკეთილშობილეს წმიდა სიყვარულს შეწირული მალხაზის არიას; ურთულეს გარემო-სივრცეში და ცის კაბადონზე არწივივით მფრინავ კიაზოს, გაუბედურებული მაროს გოდებას, გოლგოთაზე მაცხოვრის ჯვარცმისაგან ტანჯულ მარიამ ღვთისმშობელს რომ გვიხატავს. როგორი მძაფრი და ურთულესია ამ ტრაგიკულ მუსიკალურ თხზულებათა მოსმენა და ჩაწვდომა, კოსმოსურ-მიწიერი სივრცის ურთულეს მოვლენათა რეალური სურათია ქართულ ჰანგთშემკული, უსასრულობას ნაზიარევი ოქროორნამენტული მელოდიები; ამაღლებული, მსუბუქ ნიავშესული, დაუტვირთავი და ყოველგვარი გადამეტებულობის გარეშე, რწმენა, განცდა ზომიერი, ზეციურ ზეალმტაც ხმათა სისადავე; სინატიფე, თითქოსდა სპარსულ უძველეს ხალიჩაზე ქართული მარადიული და გაუტეხელი ჟინსავსე სულია აცეკვებული.

უმდიდრესი გარემოს ჰანგთა ნარნარია წარმტაცი... სრულიად დამოუკიდებელი მუსიკალურ-კომპოზიციური, წმინდა ეროვნული სტილი, შემოქმედებით მსოფლიო მუსიკალურ მაღალ კულტურას და მთლიანობას შერწყმული. გამაოგნებელია დიდი მაესტროს სრულყოფილებითი ინდივიდუალიზმი, რომელიც გამგებ მუსიკათმცოდნეთათვისაც კი საკვირველია, რადგან მელოდიურ ხმათა ჯანსაღ სივრცეში სანუკვარი ღვთიური ფერადოვნებაა განფენილი. მთლიანობაში ორივე ოპერა უფრო უფლისმიერ ზეემოციებზეა შეთხზულშობილი, ვიდრე ჩვეულებრივ ადამიანურზე.

ერთადერთი შვილის მოულოდნელმა დაღუპვამ და აუღწერელმა ტრაგედიამ ტანჯულ კომპოზიტორს გაუმძაფრა სმენა, ხილვა და ხედვა სევდიან ხმებ-მოტივებზე და მძაფრ, მუსიკალურ სივრცეში დაიბადა საოცრება ოპერები: „აბესალომ და ეთერი“ და „დაისი“, ორთავე ქმნილება ხელოვნების შედევრია უდავოდ, ყოველგვარ პიროვნებათა და მიუღებელ გემოვნებათა ჟღერს გადასინჯვების გარეშე, მათ მხოლოდ მოსმენა უნდა სულიერი სიყვარულით და თავად ამ მუსიკის შინაგანი საკუთრება უნდა გახდე, შენი მეობის ინტელექტუალური მთლიანობა მასთან უნდა შერწყა და მუსიკალურად შეუსისხლხორცდე. მერმე მთლიანობაში ყველაფერს შედარებით ადვილად ჩაწვდები და გაიგებ, როგორც მიწიერს, ასევე ზეციურს. ორთავე ოპერაში ყოველი ზემოთ აღწერილი მუსიკალური სურათი ძალიან მძაფრადაა დახატული, დაწერილი, მოქანდაკე როდენისმიერი ხელით გამოძერწილი და აშენებული უზადო და უნიჭიერესი კომპოზიტორული პრინციპებით.

ოპერა „დაისის“ საოცარი უვერტიურა, მისი ბადალი მსოფლიოს გენიალურ კომპოზიტორებს რომ დაუდებს ტოლს.

ჩვენ მაცხოვრის ყრმობის სურათების ხილვა, ზეციური სიამის სულიერი განცდა, მისტიკური მიუწვდომლობის აღქმა და ღვთიური ჭეშმარიტების ჩაწვდომა თუ შეგვიძლია უთუოდ უფლის მეოხებითვე შექმნილი ოპერა „დაისის“ თავბრუდამხვევი უვერტიურის ზეალმტაცი ინტონაციების შეგრძნება, სულში ჩამწვდომ ჰანგთა ღვთიური ნაკადის ზიარება, გონისმიერი განჭვრეტა და მისი დაუშრეტელი მუსიკალური ხიბლის შეცნობაც ძალგვიძს...

პლანეტარიუმის სამფლობელო ხომ ტრაგედიაა თავისი ურთულესი და უსასრულო კოსმოსური მოძრაობის შინაარსით – ვარსკვლავთა სისტემა განუწყვეტლივ და უკიდეგანოდ იწვის, იშლება, მოძრაობს, ქმნის, წარმოშობს ახალ პლანეტებს, გაუთავებელი ბრძოლა და ციურ სხეულთა გაქრობაა შავ ხვრელებთან, მერმე ისევ აღადგენს, განუწყვეტლივ აშენებს, ნათელი ზეციური ხვრელები კი... აი, ესაა სამყარო თავისი მარადიული მოძრავი კანონებით. დანარჩენი სულიერი, უმდიდრესი მრავალსახეობანი უსასრულო სივრციდან ნიუანსური გამონაჟონია, რომელიც მიუწვდომელი მთლიანობის გამუდმებით დაკანონებულ შემოქმედებით პროცესს წარმოადგენს.

ადამიანი ფიზიოლოგიურად სამი კოსმოსური საშოდან მოსვლა-უკუგადინებაა თავისი უნიკალური ფუნქციებით. მათგან პირველი, ციური უხილაობიდან ჩასახვითი გაჩენა-შობაა, მეორე – დედამიწაზე გარკვეული დროით სიცოცხლის ფენომენის გატარება, მერმე თანმიმდევრული და გარდაუვალი გარდაცვალება, რომელიც მესამედ შობის წინა ცისფერი პერიოდია, შემდგომ უსასრულობაში სულიერი მოგზაურობა ანუ ზეციურ ურთულეს სივრცეში ზეთვისობრივი მოძრაობა, ყოველივეს არსი და ფორმა მეცნიერულადაც უსაშველოდ ამოუცნობია.

უკიდეგანო სივრცეში ორი ძირითადი და უმთავრესი სამყაროა – უხილავი და ხილული, მათი სრულყოფილების ნიმუშია ადამიანი...

დაბადება, ადამის მოდგმა სამყაროს მიმსგავსებული ნაწილია მრავალსახის შემადგენლობით; მიახლოებით შეიძლება მათი ჩამოთვლა: ფიზიკურით, სულიერით, გონებრივით, ფსიქოლოგიურით, ფილოსოფიურით, იდეურით, რაც ნიშანდობლივია, ღვთიურ-მითოსური, ვარსკვლავეთური და ურთულესი ნერვული სისტემით; ფიქრითაც ხომ მიუწვდომელი კოსმოსური მოდელია სამყაროს ურთულესი სისტემისა. მთლიანობაში უცნაურზე უცნაური პირადი ზეალმატებულობით, გამაოცებელი ბუნებით, მაგრამ ზეციურ სიდიადესთან შედარებით მაინც, ძალიან სუსტი და საცოდავი...

ბაასსა და მსჯელობას უფალზე, სულზე, უხილაობა-წარმოსახვებზე, შეუცნობელობა-ფიქრთმიუწვდომლობაზე, იდუმალების წვდომაზე და კიდევ მათი სახის მრავალ ფენომენზე ფიქრი და საუბარი... რატომღაც მგონია, ზაქარია ფალიაშვილის ფენომენალური იდუმალი შემოქმედების, განხილვასა და გაშუქებას დაახლოებით ამ ჩემეული მეთოდით შემაძლებინებს.

ადამიანი სამყაროს ხიფათსავსე ატომია, ძნელად შესასწავლ-მისაწვდომი, სამწუხაროდ, დღენიადაგ ეშმაკეული ზნეობისაკენ მიდრეკილი. პლანეტაზე რელიგიათსწავლება და მათი მაღალი ზნეობრიობა რომ არ იყოს, ადამიანები ურთიერთს ამოწყვეტდნენ და ულმერთობით დაავადებულნი მშობლიურ დედამიწას გადაღლიდნენ; მერამდენედ თავიდან გაჩენა, მერმე გარკვეული დროით – მრავალმხრივი განვითარება და ისევ ბარბაროსული მოსპობით...

განმდგომთა – მიცვალებულთა საფლავების დუმილსევდიან ხმებს ღვთიური იდუმალებით აღიქვამენ ზეგამრიგეობიდან რჩეული ადამიანები, მათგან განსაკუთრებულ ჯგუფს ეკუთვნიან სხივთნათელი კომპოზიტორები, ფერმწერები, პოეტები, მწერლები, ფილოსოფოსები, ვარსკვლავთმხილველნი და ასე შემდეგ. ხმა, ფერი, ფორმა, ხაზი და ბგერები, როგორც მოგიყევით, თავიანთი მელოდიურობით არ ქრება უსაზღვრო სივრცეში, ისინი მხოლოდ ტალღური სისტემით გადაადგილდებიან. შესაძლოა, გარდაცვალების შემდგომ წაიშლება ცოცხალი არსების პიროვნული სახე, გონება, გული და ინდივიდი, მაგრამ ბოლომდე მაინც არა, რადგან კოსმოსის უძლიერეს მეხსიერებაში მტკიცედ ინახება მისი სრულყოფილი გამოსახულება (სული ხომ მარადიულია და...). აქედან გამომდინარე, უნდა მივიდეთ იმ დასკვნამდე, რომ არაფერი არ იკარგება და მუდმივად განთავსებულია სამყაროს მიუწვდომელ ტევადობაში, რომელსაც არ გააჩნია საწყისი, წონა, ზომა, ბოლო და განზომილება...

ამაზე კაცთა გადამეტებული ფიქრიც ზეტანჯვის მომგვრელია, რადგან აურაცხელი ნიუანსთაგანი ვარსკვლავეთივით უთვალავია. კომპოზიტორი ამ დრამატულ-ტრაგიკულის უშუალო შეგრძნების ერთ-ერთი უხილავი და შორეული ჰაეროვანი ცოცხალი პლანეტაა, ფართომასშტაბიანი წვით რომ არსებობს.

ჭეშმარიტი – უფალია ადამიანში; სიკეთის ქმედებითი გადაადგილებით და უსასრულობის თავისუფალხმოვანი, გამჭვირვალე იაიისფერი, მარად მოძრავი, მძლავრი სულიერი ტალღაა კოსმოსში...

დიდი კომპოზიტორი, ბრძანებენ ხოლმე, თავისი არსება-ქმედითობით ბედნიერიაო! არა, ბატონებო, ის მოჩვენებითი მოვლენები მხოლოდ ილუზიური და დროებითია, რადგან მათ პიროვნებაში უთვალავ გრძნობათა და მრავალშინაარსიან მოქმედებათა სრული გარდაქმნების, ხმათა და ბგერათა გარდამავლობაა, ირგვლივი მდგომარეობათა მოქმედების უმძიმესი საწყისებიდან გამომდინარე...

ბედნიერი სტატიკურობა საგნებსაც არ გააჩნია...

ყველაზე უძლიერესი სულიც ნატრობს სრულყოფილ ბედნიერებას...

ამდაგვარი უხილავი ხატებაა გენიალური ქართველი კომპოზიტორის, ზაქარია ფალიაშვილის ზეადამიანური ხელოვნება. ის გახლავთ ქართულ ხმებგაზავებული უძირო კოსმოსის მპყრობელი. ეროვნულიდან საკაცობრიო ქმნილებად მოვლენილი, თავისი ქვეყნის უშრეტი სული, სიბრძნის სიკეთე, ფრთებასხმული სევდა და უზადო რაინდული ფიქრი.

ხალხური მუსიკა-ცეკვები, ხუროთმოძღვრება, პოეზია, პროზა და შუა საუკუნეების უნიკალური ფრესკები... ამას მოსდევს ზაქარია ფალიაშვილი თავისი ღრმად ეროვნული მუსიკით და ნიკო ფიროსმანაშვილის ფერწერა – ესაა სრულყოფილი სახე დამოუკიდებელი ქართული ცივილიზაციისა...

ეროვნული უსაზღვრო უხილაობიდან მოვლენილი ხალხური სასიმღერო და საცეკვაო მუსიკა ზეკლასიკამდე აიყვანა კომპოზიტორმა და ღვთიურ ტანთ მოძრაობას მიუახლოვა, რითაც კაცთა მოდგმის უპირველეს ხელოვნებათთაგანად იშვა...

ჩვენი ულამაზესი და სიცოცხლით სავსე პლანეტა თუ გაქრა სამყაროში (ღმერთმა ნუ ქნას!) სატანად გარდაქმნილ ადამიანთა ხელით, ანუ ციური სხეულების კატასტროფიდან გამომდინარე, უსაზღვრო დროის შემდეგ შორეული პლანეტელები ზაქარია ფალიაშვილის ქართულ ოპერებზე იტყვიან – სადღაც მიუსავლეთში რა საოცარი და წარმტაცი მუსიკა არსებულაო, ნეტავი რომელი ციური სხეულის საკუთრება იყოო ოდესღაც, და უსასრულობის ინსტინქტით ნაღვლიანად ამოიკვნესებენ... ვარსკვლავეთის სივრცის ურთულესი ღია ლაბირინთებიდან გამომდინარე, კოსმოსურ საკუთრებად გარდაქმნილი გენიალური კომპოზიტორის შედევრების თავწყაროს ვერასოდეს მიაგნებენ, ჩვენი გალაქტიკის, ირმის ნახტომის მარადისობის მუსიკალური საკუთრება და სიმდიდრე კი იქნება აურაცხელ პლანეტელთა მაამებელი...

უფლის მორჩილებით უნდა ვირწმუნოთ, რომ ზაქარია ფალიაშვილის სულიერებით გარდმოვლენილი განძი, ზეციური სიმდიდრის ოქროს ქანდაკებებად ჩამოქნილი ნაწარმოებები და კომპოზიტორის მშობლიური საქართველო მარადჟამს იარსებებს ირგვლივ მოძრავი აურაცხელი მანათობლით სავსე უმდიდრეს სამყაროში ულამაზეს დედამიწასთან ერთად. გენიალური კომპოზიტორი სულიერად, ფიზიკურად და მორალურად უსასრულოდ მაცოცხლებელი ფესვია თავისი ერისა და კაცობრიობის გენიის ფასდაუდებელი მუსიკალური კლასიკაა მუსიკათმშობელის ნეტარსმენადხილული უიშვიათესი საოპერო ქმნილებებით...

**რეზო ადამია, მხატვარ-პროზაიკოსი**

№ 21 (285)

27 მაისი 2 ივნისი 2015

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

## არა-ჩვეულებრივი გვერდი

### ანჯელინა ჯოლი და ბრედ პიტი კერძო საკუთრების დაკარგვის წინაშე დგანან

როგორც დასავლური მედია იუწყება, ჰოლივუდელმა თანამეცხედრეებმა — 39 წლის ანჯელინა ჯოლიმ და 51 წლის ბრედ პიტმა კალიფორნიაში, კერძოდ, სანტა-ბარბარას სანაპიროზე მდებარე მიწის ნაკვეთი, რომელიც 4 ჰექტარზე მეტია, შესაძლოა, დაკარგონ. ამის მიზეზი კი ოკეანეში ნავთობის ჩაღვრა გახლავთ.

მიწის ეს ნაკვეთი წყვილმა რამდენიმე წლის წინ, 5 მილიონად შეიძინეს.

### მსოფლიოს ლამაზფეხება დიაცთა ათეული

ერთ-ერთმა დასავლურმა გამოკითხვამ იმის თაობაზე, თუ ვინაა მსოფლიოში ყველაზე ლამაზფეხება ქალი, გამოკითხვა ჩაატარა. გამოკითხულთა უმეტესობამ ყველა დროის ყველაზე ლამაზფეხება ქალად აწ განსვენებული მერლინ მონრო დაასახელა. ამავე რეიტინგის მიხედვით, მეორე ადგილზე მომღერალი კაილი მინოუგი გავიდა, მესამეზე კი, — მე-20 საუკუნის 60-იანი წლების ტოპ-მოდელი ტვიგი.

ლამაზფეხებიანთა ათეულში, ასევე, მოხვდნენ: თინა ტერნერი, ჯერი ჰოლიუელი, ბეტი გრეიბლი, ქეით მიდლტონი, ანჯელინა ჯოლი, ვიქტორია პენდლტონი და ოდრი ჰეპბერნი.

ტოპ-მოდელ ნაომი კემპბელს, მომღერალ ტეილორ სვიფტს და მსახიობ კემერონ დიასს პირველ ათეულში ადგილი არ ხვდათ, თუმცა სუპერმოდელებ ქეით მოსსა და ჟიზელ ბიუნდჰენთან ერთად, ლამაზფეხებათა ოცეულში შევიდნენ.

აღსანიშნავია, რომ გამოკითხვაში მხოლოდ 16-დან 55 წლამდე დიაცები მონაწილეობდნენ.

### 54 წლის ანტონიო ბანდერასს 20 წლით უმცროსი ჰოლანდიელი შეუყვარდა

ჰოლივუდელ ანტონიო ბანდერასს ახალი შეყვარებული ჰყავს, რომელიც საზოგადოებას კანის კინოფესტივალზე გააცნო: 54 წლის ანტონიოს რჩეული 34 წლის ნიკოლ კემპელია.

ცნობისთვის: ანტონიო ბანდერასი ცოლს, მელანი გრიფიტს შარშან, 18-წლიანი თანაცხოვრების შემდეგ გაშორდა, რის შემდეგაც თავს მსუბუქი ყოფაქცევის დიაცებით ირთობდა. ბოლოს კი, 20 წლით უმცროსი ნიკოლი შეუყვარდა.

შეიძლება, ასაკობრივი სხვაობის გამო, ვარსკვლავი ნიკოლთან ურთიერთობას მალავდა, თუმცა „კატათაგვობანა“ მობეზრდა და აღიარა, რომ შეყვარებულია.

„მართალია, რომანი ახალგაზრდა ჰოლანდიელთან მაქვს, მაგრამ მელანის მიმართ გრძნობა არ გამნელებია“, — ამბობს ბანდერასი.

### კეიტ ბლანშეტის აღსარება

„ქალებთან ხშირი რომანები მქონია და ამ გზით ფილმ „კეროლისთვის“, სადაც ჰომოსექსუალური ურთიერთობების თემა იშლება, აუცილებელი ცხოვრებისეული გამოცდილება მივიღე“, — ამბობს კეიტი და დასძენს, რომ ჰომოსექსუალური გამოცდილება ზემოხსენებული ფილმის გადაღებამდეც ძალიან ბევრჯერ ჰქონია.

კეიტ ბლანშეტს პოპულარობა ფილმებმა — „ელიზაბეტი“, „ბეჭდების მბრძანებელი“, „ბენჯამინ ბატონის საინტერესო საქმე“, „ავიატორი“ და „ნიჭიერი მისტერ რიპლი“ მოუტანა.

ვარსკვლავი 17 წელია, სცენარისტსა და მონტაჟის რედაქტორ ენდრიუ აპტონომის ცოლია. წყვილს სამი ვაჟი და ერთი ქალიშვილი ჰყავს.

„ავიატორმა“ ბლანშეტს, როგორც ქალის საუკეთესო მეორეხარისხოვანი როლის შემსრულებელს, „ოსკარი“ მოუტანა.





ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა

27 მაისი 2 ივნისი 2015 | № 21 (285)





## ჯონი დეპმა კანონი დაარღვია

ჰოლივუდელი ჯონი დეპი ავსტრალიაში, ძაღლებთან ერთად, ფილმ „კარიბის ზღვის მეკობრეების“ მეხუთე ნაწილის გადასაღებად ჩავიდა, თუმცა ადგილობრივი ხელისუფლება ამის თაობაზე წინასწარ არ გააფრთხილა, შესაბამისად, ძაღლებს, კანონის თანახმად, არც ვეტერინარული კონტროლი გაუვლიათ და არც კარანტინი, რამაც ადგილობრივი ხელისუფლება, რბილად რომ ვთქვათ, გააბრაზა.

„დროა, ბუ და პისტოლი შეერთებულ შტატებში გაემგზავრონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ ძაღლების დაძინება მოგვიწევს“, — განაცხადა ავსტრალიის სოფლის მეურნეობის მინისტრმა.

ცნობისთვის: ავსტრალიაში, უნიკალური ფაუნის გამო, ცხოველებთან დაკავშირებით, მკაცრი კანონები მოქმედებს, რომლის თანახმადაც, ცხოველებმა აუცილებლად უნდა გაიარონ ხანგრძლივი კარანტინი. ის ნივთები კი, რომლებიც მათ მოსავლელად გამოიყენებოდა, კარანტინის შემდეგ ნადგურდება.

რაც შეეხება „კარიბის ზღვის მეკობრეების“ ახალ სერიას, მისი გადაღებები ავსტრალიის საკურორტო ქალაქ გოლდ-კოსტ ჰელენსვეილის გარეთ მიმდინარეობს, სურათის ბიუჯეტი 250 მილიონია. პრემიერა 2017 წლის ივლისში გაიმართება.

## 21-ე საუკუნის მონა ქალები

21-ე საუკუნეშიც არსებობს რამდენიმე ქვეყანა, სადაც ქალებს არაადამიანურად ექცევიან. ამ მხრივ აღსანიშნავია ავღანეთი — ამ ქვეყანაში გოგონების უმეტესობა 16 წლამდე თხოვდება. 85 პროცენტი კი, ექიმის დახმარების გარეშე მშობიარობს. შესაბამისად, ყოველ 30 წუთში, ერთი მშობიარე იღუპება.

გვატემალაში ქალები მხოლოდ ოჯახური ძალადობის კი არა, ხშირად გაუპატიურების მსხვერპლნიც ხდებიან.

დღემდე კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის აღმოსავლეთ ნაწილში ომია, რომელმაც უკვე 3 მილიონი ადამიანი შეიწირა. ფრონტის წინა ხაზზე ქალებიც იბრძვიან და ისინი ხშირად ძალადობის მსხვერპლნი ხდებიან: ოფიციალური სტატისტიკით, კონგოში, ყოველდღიურად, 1000-ზე მეტ ქალს აუპატიურებენ. 1996 წლის შემდეგ, 200 000 ასეთი შემთხვევაა რეგისტრირებული. ორსულთა 57 პროცენტს ანემია აწუხებს...

ინდოეთში შიდსით დაავადებულთა 39 პროცენტს ქალები შეადგენენ. დიაცთა 79 პროცენტი კი, ოჯახური ძალადობის ქვეშაა. მეოცე საუკუნეში, ინდოეთში 50 მილიონი გოგონა მოკლეს, 100 მილიონი კი, ადამიანებით მოვაჭრეთა მსხვერპლი გახდა. ამ ქვეყანაში გოგონათა 44,5 პროცენტი მცირე ასაკში თხოვდება.

სადამ ჰუსეინის რეჟიმისგან გათავისუფლების შემდეგ, ერაყი ქალებისთვის ნამდვილ სექტანტურ ჯოჯოხეთად იქცა... 2014 წლის ბოლოს, „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლებმა 150-ზე მეტი ქალი სიკვდილით იმ მიზეზით დასაჯეს, რომ მათ ე.წ. სექს-ჯიხადში მონაწილეობაზე უარი თქვეს.

მალში, რომელიც მსოფლიოს ერთ-ერთი ულარიბესი ქვეყანაა, ქალების მხოლოდ მცირე რაოდენობა ახერხებს, სასქესო ორგანოების წინადაცვეთის მტანჯველ პროცედურას გაექცეს.

არცთუ დიდი ხნის წინ, პაკისტანი რელიგიური ექსტრემიზმის გავლენის ქვეშ მოექცა, რომელიც ქალი პოლიტიკოსებისა და ადვოკატების წინააღმდეგ იყო მიმართული. ამ ქვეყანაში არ არსებობს კანონი ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ, რის გამოც ქალების 90 პროცენტი სასტიკი ქმედების მსხვერპლი ხდება, 82 პროცენტი კი, მამაკაცებზე დაბალ გასამრჯელოს გამოიმუშავებს.

სომალის დედაქალაქ მოგადიშოში 4-11 წლის გოგონების 95 პროცენტს აუპატიურებენ. ქვეყნის პარლამენტში ქალებს 7,5 პროცენტი უკავიათ. მხოლოდ მშობიარეთა 9 პროცენტს აქვს შესაძლებლობა, მიმართოს სამედიცინო დაწესებულებას.

დასავლეთ სუდანში, კანონების გამკაცრების მიუხედავად, ქალების მდგომარეობა კვლავაც სავალალოა — ისინი გატაცების, გაუპატიურებისა და იძულებითი გასახლების მსხვერპლნი ხდებიან. 2003 წლიდან, სუდანში ერთ მილიონზე მეტი ქალია მოკლული.

ჩადში ქალები, პრაქტიკულად, უუფლებოები არიან. გოგონების უმეტესობა 11-12 წლის ასაკში თხოვდება. ჩადის აღმოსავლეთ ნაწილში, ლტოლვილთა ბანაკებში მცხოვრები სუდანელი ქალები ყოველდღიურად სექსუალურ და სხვა სახის ძალადობას განიცდიან. უსაფრთხო არც ბანაკებს გარეთ ცხოვრებაა...



### ხმა მწერალთა კავშირიდან

გზით დავდივართ წარმართთა,
ვეფერებით ტრიბუნებს,
ძველმა სახლი წაგვართვა,
ახალი არ გვიბრუნებს.
მხოლოდ უმუშევრობა,
ეს ქვეყანა სად მიგყავთ?
გეზიზღებათ მწერლობა,
არც არავინ არ გიყვართ!

### სასიკვდილო

ვიღაც — სამოცდაათი,
ვიღაც ასი კილოა,
ცოტა ღვინო კარგია,
ბევრი სასიკვდილოა.

### „აცც“

სხვა წამლებისკენ
თვალს ნუ აცეცებ,
შენი წამალი
არის „აცც“-ე.

### ადამი და ადამი, ევა და ევა

არ მცხელა და არ მცივა,
ვისთან აღარ ვწოლილვარ,
მერე რა, რომ კაცი ვარ?!
მაინც, კაცის ცოლი ვარ!
მერე რა, რომ ქალი ვარ?!
კაცთან ახლოს არ მივალ,
მიჯაჭვულო ამირან,
ქალი ვარ და ქმარი ვარ!
მინამღერი
ადამთან და ევასთან
ვმღერით სხვა სიმღერასა,
გაუმარჯოს ევასა,
ადამი რომ ევასა!

### პამიდორი და მარილი

ალბათ, მალე
ფეხით ველარ გავივლი,
ადრე ვგავდი
რაინდსა და გოლიათს,
სხეულში მაქვს
იმოდენა მარილი,
ჩემი თავი
პამიდორი მგონია.

### ამერიკა

პირველად ვინც გააღებდა
ამ ერის კარს,
მწამს, ის კაცი დაარქმევდა
ამერიკას.







დიზაინის საავტორო უფლებები დაცულია

ISSN 2298-0024

მთავარი რედაქტორი: ჯანსულ ჩარკვიანი
მთ. რედაქტორის მოადგილე: ვანო პავლიაშვილი
სარედაქციო კოლეგია:
ჭაბუა ამირეჯიბი, მერაბ ბერძენიშვილი,
ბაჩანა ბრეგვაძე, თემო გოცაძე, ემზარ კვიტაიშვილი,
არმაზ სანებლიძე,

მედია-ჯგუფი: მარიკა კახაძე,
ნათია გოგიტიძე, ნათია ვერძეული,
ნათია ლებანიძე.
დიზაინერი და ფოტოკორესპონდენტი:
ზურა მეგრელიშვილი.

გაზეთი რეგისტრირებულია რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) მიერ. რეგისტრაციის №22851

მისამართი:
26 მაისის
მოედანი. №1
ტელ.: 272-63-90

E-Mail: qartulisityva@gmail.com

გაზეთი მოქმედებს თავისუფალი პრესის პრინციპით